საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

5 თებერვალი.

გვინდა გამოვეხმაუროთ 2021 წლის 30 იანვარს ტელეკომპანია „მთავარ არხზე" გასულ სიუჟეტს ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტ საბას (გიგიბერია) შესახებ.

ამ სიუჟეტის ბოლოს მაყურებელს ამცნეს, თითქოს მიტროპოლიტი საბა, პატრიარქის ქორეპისკოპოსთან, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორესთან (ჭუაძე) ერთად, წარსულში სასულიერო პირისათვის შეუფერებელი ბიზნესსაქმიანობით იყო დაკავებული, რაც სრული სიცრუეა.

ზოგადად, სასულიერი პირების მიმართ სხვა დროსაც არაერთი ცილისწამება, მძიმე ბრალდება თუ სიუჟეტი გავრცელებულა. ეს სიუჟეტიც ამ სერიის გაგრძელებას წარმოადგენდა.

უკანასკნელ პერიოდში გაისმის სხვადასხვა ბრალდება, რომლებიც მოკლებულია რეალურ საფუძველს და რაც სამართლებრივად მნიშვნელოვანია - ფაქტობრივ მოცემულობას. ამგვარ განცხადებებში არ ჩანს ფაქტები, რომელთაც განცხადების გამავრცელებელი ეყრდნობა. შესაბამისად, ასეთი განცხადებები მიმართულია სასულიერო პირების არაქონებრივი უფლებების შელახვისკენ. თითოეული ასეთი ფაქტების გარეშე გავრცელებული ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება და ცილს წამებს მათ.

ევროპული ღირებულებების გააზრება, რაზედაც ხშირად სწორედ ცალკეული მედიასაშუალებები აპელირებენ, უპირველესად, გულისხმობს იმგვარ სამართლებრივ მოწესრიგებას, რაც, ერთი მხრივ, მედიას საშუალებას მისცემს, გაავრცელოს ინფორმაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, როგორიცაა ღირსების უფლება, შესაბამისი პირისთვის უფლების დაცვის მოქნილ მექანიზმს განსაზღვრავს.

აღნიშნული საკითხის არასრული და არასათანადო სამართლებრივი მოწესრიგების გამო, ცალკეული მედიასაშუალებები თავიანთ ეთერში სისტემატურად არღვევენ სხვის არაქონებრივ უფლებებსა და უპირატესად - სასულიერო პირთა ღირსებას (თუ რეპუტაციას), რისი მკაფიო მაგალითიც აღნიშნულ სიუჟეტში მიტროპოლიტ საბასა და მიტროპოლიტ თეოდორეს მისამართით გაკეთებული განცხადებებია.

ისტორიის ფურცელი

მღვდელი ლონგინოზ კვიკვიძე

„მამულისადმი სამსახური გაუხდია სათაყვანო საქმეთ და დღიდან საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისა ერთგულ დარაჯად უდგას თავის ეროვნებას და წმინდა სანთელივით დნება საშშობლოს სამსხვერპლოზე"

მღვდელი ლონგინოზ ილარიონის ძე კვიკვიძე 1878 წელს ქუთაისის გუბერნიაში, რაჭის მაზრაში გლეხის ოჯახში დაიბადა. 1901 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1902 წლის 29 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 3 ოქტომბერს მღვდლად დაასხა ხელი და ლეჩხუმის მაზრაში, ჩხუტელის მაცხოვრის ამაღლების სახ. ტაძარში განამწესა. 1903 წელს იმერეთის ეპარქიის, ლეჩხუმის მაზრის სასწავლო კომიტეტის წევრად აირჩიეს და 42-ე ეპარქიულ კრებაზე დეპუტატად გამოარჩიეს. 1903 წლის 10 ნოემბერს რაჭაში, პირველი ტოლის მაცხოვრის სახ. ტაძარში გადაიყვანეს.

მღვდელი ლონგინოზი წლების განმავლობაში იყო რაჭა-ლეჩხუმის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე და დიდი წვლილი მიუძღვის ამ მხარეში სწავლა-განათლების განვითარების საქმეში. 1909 წლის 18-19 სექტემბერს, ლეჩხუმში, სოფ. საირმეში მოხდა რაჭა-ლეჩხუმის მაზრის მასწავლებელთა კრება. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით უცნობი ავტორი ფსევდონიმით „სტუმარი" თავის პუბლიკაციაში: **„მიზანი ამ კრებისა იყო, როგორც ეს გვამცნო მ. ლ. კვიკვიძემ, რათა მასწავლებელთ მოესმინათ ერთი მეორის სამაგალითო და საცდელი გაკვეთილები. თუ რამდენათ საჭიროა და სასარგებლო ასეთი კრებები მასწავლებელთათვის, ამაზე ლაპარაკი მეტად მიმაჩნია, ეს ყველასთვის ცხადია; მხოლოდ ის კი გასაკვირველია, რატომ იმერეთის საეპარქიო საბჭო არ შეეცადა, რომ ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში ერთხელ მაინც მოეწყო მასწავლებელთათვის ქუთაისში პედაგოგიური კურსები. ასეთ კურსებს უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, ვინემ მიყრუებულ სოფელში მომხდარ კრებას და ისიც მასწავლებელთა მცირე**

ნაწილისათვის და არა მთელი ეპარქიის მასწავლებლებისათვის. მაგრამ ჩვენის ფიქრით ეს კრებაც დაუფასებელ ზეგავლენას იქონიებს ჩვენზედ. რადგან კრების განკარგულებაში ძლიერ პატარა დრო (სამი დღე) იყო, ყველა მასწავლებელმა ვერ მოასწრო გაკვეთილის მიცემა, ვინც მოასწრო იმათაც ნახევარ საათიანი გაკვეთილები მისცეს, ამიტომ გამოურკვეველი დარჩა მასწავლებელთა სრული ფიზიონომია; ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ საირმის სკოლის (სადაც გაკვეთილებს ვაძლევდით) მოწაფეები დაბალი ღირსების მასალას წარმოადგენდა გაკვეთილების მისაცემად; შიშისა თუ რაღაცა სხვა მიზეზის გამო ბავშვები ხმას არ იღებდენ, შეიძლება დიდი ხვენნამუდარის შემდეგ მიიღებდი ზანტ და ყრუ პასუხს. ამ გარემოებამ დიდი „მინუსი“ დაუსვა გაკვეთილის მიმცემ ყველა მასწავლებელთ. მაგრამ ამ კრების მიზანი არ იყო მარტო შთაბეჭდილება მოეხდინა მასწავლებელს მაყურებლებზე, არამედ ეჩვენებია თითოეულ მასწავლებელს დანარჩენ ამხანაგებისათვის გადაცემის მაგალითი და აგრეთვე თავისი შეხედულება გამოეთქვა ყოველ გაკვეთილის ღირსება-ნაკლულებაზე. ამ მხრივ კი უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება ამ კრებას: ყოველ გაკვეთილის შემდეგ კრიტიკას უშვრებოდნენ დანარჩენი ამხანაგები გაკვეთილის მიმცემს, აჩვენებდენ მის ღირსება-ნაკლულევანებას; მეთვალყურეც საჭიროების დროს საღ პედაგოგიურ შენიშვნებს და დარიგებას იძლეოდა. გარდა ამისა, მასწავლებელთა ერთი მეორის გაცნობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს; ამდენ ხანს ერთი მეორეს არა თუ იმ მხრით არ ვიცნობდით, თუ ვის რის მქონე და რის მცოდნე იყო, არამედ ისიც არ ვიცოდით თუ რომელ სოფელშია სკოლა ან მასწავლებელი“. ამ კრებიდან მალევე მღვდელი ლონგინოზი გადადგა მეთვალყურის პოსტიდან. ამას გვამცნობს მღვდელი სვიმონ მჭედლიძე თავისივე გაზეთ „შინაურ საქმეებში“ 1909 წლის 3 ნოემბერს, სტატიაში „აირია მონასტერი“ იგი წერდა: „...რაჭა-ლეჩხუმის მაზრის მეთვალყურეს მ. კვიკვიძეს სამსახურისთვის თავი დაუნებებია და ამაღლების სკოლაში პირველ მასწავლებლის ადგილზე გამწესებულა. არ არის სასიამოვნო ამბავი. ერთი იმიტომ, რომ მ. კვიკვიძე არ არის უნიჭო ყმაწვილი და სკოლების ხელმძღვანელობა შეეძლო, მეორე მიტომ, რომ მეთვალყურის ასე მალ-მალე ცვლა დიდი ზიანია სკოლებისთვის...“. როგორც ვხედავთ, მღვდელი სვიმონ მჭედლიძე მამა

სტუდენტი ლონგინოზ კვიკვიძე

ლონგინოზს დადებით პიროვნებად ახასიათებს. ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია, თუ რა გახდა მიზეზი მისი გადადგომისა.

1911 წელს დაპირისპირება მოუვიდათ მთავარხუცეს, მღვდელ იუსტინე ფანცხავას და მღვდელ იეროთეოზ ნიკოლაძეს (შემდგომში — მღვდელმონამე, დახვ. 1924წ.), რომელთაც გაზეთ „შინაურ საქმეებში“ საჯარო პოლემიკა გამართეს. ამ პოლემიკაში მღვდელმა იეროთეოზმა მედიატორებად (შუამავლად) დაასახელა მასწავლებლები: ვლადიმერ ნაცვლიშვილი და მღვდელი ლონგინოზი.

1912 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში ყველასათვის საყვარელმა და დაუვიწყარმა ქართველმა პოეტმა და მწერალმა აკაკი წერეთელმა იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. ამ საინტერესო მოგზაურობასთან დაკავშირებით შემორჩენილია დოკუმენტური კინომასალა, ასევე ჩანაწერები, სადაც აღწერილია ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. პოეტს რაჭის საზღვართან საზოგადოების წარმომადგენელნი და სამღვდელოება დახდა, სადაც მას სიტყვით მიმართა მღვდელმა ლონგინოზმა: „მობრძანდი, ძვირფასო სტუმარო! ბუნებით მდიდარი, მაგრამ ბედის ანაბარად დაგდებული რაჭა სულით და გულით გეგებება ეროვნულ ლიტერატურის გამაცისკროვნებელ მგოსანს და თქვენი მობრძანების დღეს სთვლის უუბედნიერეს დღეთა რიცხვში. დარწმუნდით, ჩვენო სასიქადულო მამულიშვილო, რომ ასეთივე ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული თქვენდამი რაჭის მკვიდრი, როგორითაც ყველა ცოტათ თუ მეტად შეგნებული და გადაგვარებისაგან შორს მყოფი დანარჩენი ჩვენი მოძმეები, ამიტომაცაა, რომ გაისმა თუ არა ხმა შესახებ თქვენი მობრძანებისა, გულწრფელი მხიარულება გამეფდა ჩვენს არე-მარეში და გულის ფანცქალით მოელოდა კაცი და ქალი, დიდი და პატარა იმ სანეტარო წამს, ოდეს იგი გახდებოდა ღირსი თქვენი ხილვისა. განა ეს გასაკვირველია?! დღევანდელ დღეს რაჭა პირველად ეღირსა პირისპირ იხილოს ის, რომელსაც მამულისადმი სამსახური გაუხდია სათაყვანო საქმეთ და დღიდან საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისა ერთგულ დარაჯად უდგას თავის ეროვნებას და წმინდა სანთელივით დნება სამშობლოს სამსხვერპლოზე; იხილოს ის, რომლის ჩანგის ჟღერასა სევდის ჰანგებთან ერთად იმედის სხივებით აღუფრთოვანებია ჩვენი უსამართლობით დათუთქული გული და დამატკბობელი ნექტარივით ჩასწვეთებია ჩვენს სმენას, უთუოდ, წინასწარმეტყველებრივი სიტყვები, რომ ზამთრისაგან დაჩაგრულნი მო-

ვესწრებით გაზაფხულსა, ოღონდ კი გამოვერკვიოთ საღათას ძილს, ვიცნოთ მომაკვდინებელი ძალი შარბათისა და შევისისხლხორცოთ სულმნათი რუსთაველის ანდერძი „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი". ნება მიბოძეთ, ჩვენო ერის სიამაყევ, მოგმართოთ ერთი კალმოსანის სიტყვებით და გთხოვოთ მიიღოთ ჩვენი მადლობით აღსავსე გული სახატედ, რომელშიაც გექნება სამარადისო და ხელუხლებელი ბინა ჩვენის თანაგრძნობისა და სიყვარულისაგან აღგებული, ჩვენი თაყვანისცემისა და დიდებისაგან შეხურული. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!"

1912 წლის 22 დეკემბერს ანემპოდისტე ვასილის ძე ჯაფარიძე, რაჟდენ გრიგოლის ძე ნანუკაშვილი, მღვდელი ლონგინოზ კვიკვიძე, ელეფთერ ზაქარიას ძე ღვალაძე და კოტე დავითის ძე გოგოშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ონის განყოფილების დამაარსებელმა კრებამ ნამდვილ წევრებად აირჩია, ხოლო 1913 წელს — მღვდელი ლონგინოზი აღნიშნული განყოფილების მდივნად დაადგინა. 1913 წლის 8 აპრილს სკუფია უბოძეს. 1914 წლის 8 იანვარს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (ონის) განყოფილების თავმჯდომარემ, მღვდელმა მათე ნიკოლოზის ძე გორდეზიანმა და მდივანმა – მღვდელმა ლონგინოზმა მთავარ გამგეობას დარჩენილი 68 მანეთი და 80 კაპიკი გაუგზავნეს (20 მანეთი და 20 კაპიკი ერთი წლის წინ გააგზავნეს) და სთხოვეს, გახსნილიყო რაჭის (და არა ონის) საზოგადოების განყოფილება. 1914 წლის 21 აპრილს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რაჭის (ონის) განყოფილების მდივანს, მღვდელ ლონგინოზს მთავარი გამგეობიდან ვარლამ ბურჯანაძე სწერდა, რომ თბილისის გუბერნატორმა აცნობა ქუთაისის გუბერნატორს 19 იანვარს, დაბა ონში საზოგადოების განყოფილების გახსნის შესახებ და სთხოვდა, შეედგინათ 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა და სამოქმედო გეგმა. 1914 წლის 30 დეკემბერს, 6 საათზე, ონის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რაჭის განყოფილების საანგარიშო კრება გაიმართა. კრებამ გამგეობის თავმჯდომარედ და ხაზინადარად მღვდელი მათე გორდეზიანი აირჩია, მოადგილედ – იოსებ ჯავახის ძე მდივნიშვილი, მდივნად – მღვდელი ლონგინოზ კვიკვიძე.

1915 წლის 3 სექტემბერს ვინმე გიორგი გორდეზიანი ქართულ პრესაში წერილით „რაჭა და მისი მდგომარეობა" გადმოგვცემს იქ ასახულ მოვლენებს, ერთ-ერთი საკითხი სამღვდელოებასაც ეხება. აი, რას წერდა იგი: **„...სხვა, ადგილობრივ, გარდა მღვდლებისა (ვლადიმერ ფოფხაძე, მათე გორდეზიანი, ლონგინოზ კვიკვიძე), მძიმე ხალხია და ძნელად დაეხმარებიან საქმეს შრომით. ყველაზე უფრო ენერგიულად შეუძლია და პირნათლად შეასრულოს დახმარების საქმე ამ მღვდლებში მ. კვიკვიძეს, დაბა ონშია მასწავლებლათ. ამათ გარდა, სოფლის მასწავლებლებს და ზოგიერთ კერძო პირებს შეუძლიანთ შრომის გაწევა...".**

1915 წლის 13 დეკემბერს მღვდელმა ლონგინოზმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რაჭის განყოფილებას გამგეობის წევრობიდან მისი გათავისუფლების მოთხოვნით მიმართა.

1917 წლის 10 აგვისტოს სოფ. წესში მოხდა რაჭის მაზრის მასწავლებელთა კრება დირექტორ-ინსპექტორების ასარჩევად. კრებაზე დაესწრო ორმოცამდე მასწავლებელი და ოცამდე მღვდელი. კრება გახსნა ფილიალური განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, მღვდელმა ლონგინოზ კვიკვიძემ. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები 1) სისტემა დირექტორ-ინსპექტორების არჩევნებისა; 2) კურსების მოწყობა; 3) საამხანაგო სამსაჯულოს დაარსება; 4) დიტო უზნაძის გადაყენება; 5) დაისვა საკითხი საღვთო სჯულის მასწავლებელთა შესახებ. აი, რას წერდა ამ კრებასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართულების გაზეთ „ერთობაში" მასწავლებელი აბესალომ იობიძე: „უნდა ავღნიშნოთ, რომ მღვდელმა ლ. კიკვაძემ კრების დაუკითხავად თავჯდომარის ადგილი დაიკავა. ინსტრუქციის ძალით კი არც ერთ წევრს გამგეობისას არა აქვს უფლება საზოგადო კრებაზე იყოს თავჯდომარედ. პირველი კითხვის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და აღნიშნა უვარგისობა წამოყენებული სისტემისა, ხმის უმრავლესობით მიიღო, გატარდეს პროპორციონალური სისტემა არჩევნებისა — პოლიტიკური პარტიების მიხედვით. კურსების მოწყობა კრებამ აღიარა აუცილებელ საჭიროებად და დაადგინა გაიხსნას სოფ. წესში მოკლევადიანი კურსები. საამხანაგო სასამართლოში აირჩიეს სამი წევრი და სამი კანდიდატი. ფედერალისტ მასწავლებლებმა, რომლებსაც სულიერი მამები ხელმძღვანელობდნენ, ისარგებლეს რიცხვით და საამხანაგო სასამართლოში გაიყვანეს ყველა თავისი კანდიდატები (მათ შორის, ერთი მღვდელი). მათ ანგარიში არ გაუწიეს სოციალ-დემოკრატ მასწავლებელთა სამართლიან მოთხოვნილებას, რომ სასამართლოში შესულიყვნენ ყველა პარტიების წარმომადგენლები, ამიტომ განაცხადეს, რომ ეს სასამართლო სავალდებულო არ იქნება ჩვენთვისო. დიტო უზნაძის (დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძე, 1887-1950წწ., ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი — გ.მ.) შესახებ მოხსენება გააკეთა თავჯდომარე მღვდელმა ლ. კვიკვიძემ. მან განაცხადა: **„საქართველოს სათავეში საჭიროა ნამდვილი ქართველი პედაგოგი, ასეთი კი მხოლოდ დიტო უზნაძეა; ლეო ნათაძე** (ლევან იასონის

ძე ნათაძე, 1880-1922წწ., პედაგოგი და პოლიტიკოსი — გ.მ.) **კი ქართული ენის მტერია, არც არაფერი გაეგება და კომისარიატში რაღაც ხრიკებით ჩავარდაო, ამიტომ ჩვენ მას აუცილებლად პროტესტი უნდა განუცხადოთ, როგორც ეს თელავის მასწავლებლებმა ჩაიდინეს და მოვითხოვოთ დიტო უზნაძეო".** სულიერმა მამამ ჯიბიდან ამოიღო წინასწარ შედგენილი საპროტესტო წერილი და კრებას წაუკითხა. ფედერალისტებმა ტაშის ცემით დააჯილდოვეს თავიანთი სულიერი მამა. ამხ. დ. ჭ—შვილმა (ს.-დ.) განაცხადა, რომ ლეო ნათაძე კავკასიის ეროვნებათა წარმომადგენელია კომისარიატში და არა მხოლოდ საქართველოსი. დიტო უზნაძეს ჩვენც პატივსა ვსცემთ, როგორც პედაგოგს — მაგრამ ლეო ნათაძეც ღირსეული პედაგოგია, ჩვენ მას პროტესტს არ უცხადებთ და ამიტომ თქვენ არ გაქვთ უფლება მთელი ერების სახელით გაგზავნოთ პროტესტიო. ლონგინოზ კვიკვიძის მონა-მორჩილ მასწავლებლებმა (იგულისხმება ფედერალისტები) ყური არ ათხოვეს ს. დ. მასწავლებელთა სამართლიან მოთხოვნილებას და დაადგინეს, მთელი რაჭის მაზრის მასწავლებელთა სახელით გაეგზავნათ პროტესტი. **სოციალ-დემოკრატმა მასწავლებლებმა, თავის მხრივ, გაგზავნეს კომისარიატში დეპეშა. აღნიშნეს უსამართლო საქციელი ფედერალისტ მასწავლებელთა და სრული ნდობა განუცხადეს ლეო ნათაძეს. შემდეგი საკითხი ეხებოდა საღვთო სჯულის მასწავლებელ მღვდლებს, რომ სამღვთო სჯულის არა სავალდებულო საგნათ გამოცხადების შემდეგ მღვდლებს, როგორც სხვა პროფესიის ხალხს, არ მისცემოდათ გადამწყვეტი ხმა მასწავლებელთა პროფესიონალურ კრებებზე და არჩევნებში.** აქ ფედერალისტები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მათ არ სურდათ სულიერი მამების წინააღმდეგ გალაშქრება, თანაც, სოციალისტების სახელის შელახვისაც ეშინოდათ. აქ თავჯდომარემ გამოიჩინა „გულკეთილობა" და იხსნა ისინი განსაცდელისაგან. მან განაცხადა: „მე კრებას ვხურავო" და გაიქცა. მონა-მორჩილი ფედერალისტები გაყვნენ მას. საბრალო მასწავლებლები! ჯერ კიდევ მღვდლების მონები სოციალისტებსაც კი უწოდებენ თავს. როდის გათავისუფლდებიან „სოციალისტი" მასწავლებლები მღვდლების ოპეკიდან". ანალოგიური კრება გაიმართა კვლავ სოფ. წესში იმავე წლის 28 სექტემბერს. კრება გახსნა ფილიალის თავჯდომარემ, მღვდელმა ლონგინოზმა, რომელმაც განაცხადა: „რადგანაც ჩემს თავჯდომარეობას არა ერთხელ გამოუწვევია საყვედური, ვთხოვ კრებას, სხვა დაასახელოს თავჯდომარეთო".

კრებამ თავმჯდომარედ აირჩია მალაქია ჯაფარიძე, ხოლო მდივნად — აბელ კიკოშვილი. დღის

მღვდელი ლონგინოზი მეუღლესთან ერთად, 1907წ.

წესრიგში იყო საკითხები: 1) გამგეობის მოქმედების ანგარიში; 2) სახელმძღვანელო წიგნების შეძენა და განაწილება; 3) დელეგატების ხარჯები; 4) მღვდელ-მასწავლებელთა შესახებ და სხვა. სხვადასხვა საკითხების განხილვის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა დელეგატთა ყრილობის შესახებ (გაიმართა 3-8 სექტემბერს) მოხსენება გააკეთა მღვდელმა ლონგინოზმა და გააცნო კრებას ყველა დადგენილება, მიღებული ყრილობის მიერ. მან აღნიშნა, რომ მასწავლებლობა შემდგარია რევოლუციის გზაზე, რადგანაც ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის კომისარიატი, აშკარაა, ბრძოლას უცხადებენ დელეგატთა დადგენილებებს და სურთ, თავიანთი განზრახვანი მოგვახვიონ თავზე, ხოლო ჩვენ, რათაც უნდა დაგვიჯდეს, არ უნდა დავუთმოთო. ამის შემდეგ გაიმართა კამათი, მხარეები ვერ შეთანხმდნენ და სოციალ-დემოკრატმა მასწავლებლებმა კრება დატოვეს. სოციალ-ფედერალისტმა მასწავლებლებმა აბელ ენუქიძის პირით სოციალ-დემოკრატთ სთხოვეს, მიეღოთ მონაწილეობა სამაზრო საბჭოს არჩევნებში, მაგრამ უარით უპასუხეს. მაზრის მეთვალყურედ აირჩიეს — მ. გავაშელიშვილი, ასევე -სამაზრო საბჭო - პარტიების მიხედვით და სოციალ-დემოკრატებს ერთი ადგილი დაუტოვეს. კრებამ დაადგინა, სასწრაფოდ შეუდგეს სახელმძღვანელო წიგნების შეძენას და ეს საქმე მღვდელ ლონგინოზს მიანდეს. მღვდელ-მასწავლებელთა შესახებ კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომ მღვდელს, რომელსაც მრევლი ჰყავს, აეკრძალოს მასწავლებლობა (საერო საგნების) და მათი ადგილი თავისუფლად გამოცხადდეს. დასასრულ, დელეგატების ხარჯები კრებამ თავის თავზე აიიღო. კრებას დაესწრო 66 მასწავლებელი, ამათგან 15-16 მღვდელი იყო. რო-



აკაკის სტუმრობა რაჭაში

გორც ამ ორი კრებიდან ჩანს, მღვდელი ლონგინოზი მონაწილეობას იღებდა არა მარტო სასულიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე, არამედ აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

1918 წელს მღვდელი ლონგინოზი იყო ჭრებალოს უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი. გახლდათ აქტიური წევრი 1920 წლის 8-15 იანვარს ქ. თბილისში გამართული სრულიად საქართველოს მასწავლებელ დელეგატთა პირველი ყრილობისა, სადაც განიხილეს რამდენიმე საკითხი, კერძოდ: მასწავლებელთა კავშირის დროებითი წესდება; წაიკითხეს მოხსენებები; ისაუბრეს საქართველოში არსებულ საბავშვო მწერლობასა და საბავშვო წიგნების გამომცემლობაზე; სახალხო განათლების მართვა-გამგეობისა და კვალიფიციურ მასწავლებელთა მომზადების შესახებ.

1922/1923 წლებში და 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების დროს ხელისუფლებამ მრავალი სასულიერო პირი დახვრიტა, სავარაუდოდ, მღვდელმა ლონგინოზმა უარი თქვა მსახურებაზე, რადგან 1926 წლის 17 თებერვალს შედგენილ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ქუთაის-გაენათისა და ნიკორწმინდის ეპარქიის სასულიერო პირთა ჩამონათვალში იგი აღარ იხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებში. დარჩენილი ცხოვრება მან მხოლოდ პედაგოგიურ საქმიანობას მიუძღვნა და ჯერ რაჭაში, შემდეგ კი ქ. ქუთაისში მასწავლებლად მუშაობდა, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა განათლების განვითარების კუთხით. ყოფილი მოძღვარი ცოცხალი ჩანს XX ს-ის 40-იან წლებში. სავარაუდოდ, იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია ქუთაისის ერთ-ერთ სასაფლაოზე.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №48040; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1901წ. №14; გაზეთი „ისარი" 1908წ. №31, გვ. 4; გაზეთი „ამირანი" 1908წ. №158, გვ. 4; გაზეთი „შინაური საქმეები" 1909წ. №25, გვ. 7-8; №30, გვ. 7; 1911წ. №38, გვ. 13; გაზეთი „თემი" 1912წ. №85, გვ. 3-4; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1913წ. №11; გაზეთი „საქართველო" 1915წ. №84, გვ. 3; გაზეთი „ერთობა" 1917წ. №132, გვ. 4; №167, გვ. 4.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი ლეჩხუმისა და სვანეთის ეკლესიები და მღვდლები", ქ. ქუთაისი, 2007წ. გვ. 30; კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები", ქ. ქუთაისი, 2014 წ. გვ. 26.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

მღვდელი ივლიანე ჩლაიძე 1879-1959

მღვდელი ივლიანე ნესტორის ძე ჩლაიძე 1879 წელს ქუთაისის გუბერნიაში, რაჭის მაზრაში, სოფ. ბარში სასულიერო წოდების ოჯახში დაიბადა. 1900 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1900 წლის 10 სექტემბერს ზემო სვანეთში, სოფ. ცხმარის ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლის მასწავლებლად დაინიშნა, სადაც ოთხი წელი ნაყოფიერად და კეთილსინდისიერად იმუშავა და 1901 წლის 19 სექტემბერს სასწავლო განყოფილების მხრიდან მადლობაც გამოეცხადა.

1902 წლის 9 აპრილს გაზეთ „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნდა უცნობი ავტორის კორესპონდენცია ფსევდონიმით „მკვიდრი", რომელიც სვანეთში მომხდარ ამბებს ამცნობდა საზოგადოებას. როგორც ჩანს, წერილში გამოქვეყნებული ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, რის გამოც, 1902 წლის 28 მაისს ივლიანემ გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე თავისი წერილი გამოაქვეყნა, სადაც იგი დეტალურად აღწერს საქმის ვითარებას. იგი, როგორც პედაგოგი, კარგად იცნობდა სვანეთში ქრისტიანობის აღმდგენელ სკოლებში არსებულ ვითარებას. მისი წერილი მნიშვნელოვან მასალას წარმოგვიდგენს, თუ როგორ მუშაობდა იმდროინდელი საგანმანათლებლო სისტემა. აი, რას წერდა იგი:

„ცნობის ფურცლის" მე-1776 №-ში დაბეჭდილია წერილი სვანეთიდგან ბ-ნ მკვიდრისა, რომელიც აუწყებს საზოგადოებას სვანეთის ამბავს. კაი დაგემართოთ, ასეთის მიყრუებულ კუთხის ამბის გაგება, როგორიც არის სვანეთი — კარგი იყოს, მაგრამ, საუბედუროდ, ბ-ნს მკვიდრს თვითონაც არ სცოდნია კარგად ის, რაც საზოგადოებისათვის გასაზიარებლად მოუნდომებია. ამისთვის მსურს შევავსო ბ-ნ მკვიდრის წერილი და მკითხველს სინამდვილე ვაცნობო. სცდება ბ-ნი მკვიდრი, რომელიც ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების საქმეს გვიამბობს. „ერთ ხანს ამ სკოლების საქმე კარგად მიმდინარეობდაო, მაგრამ ამ ჟამად თან და თან უკან მიდისო". ამ სიტყვებს ბ-ნი მკვიდრი ისეთის კილოთი ამბობს, ვითომც ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლები მას ჟამსა შინა კარგად ყოფილიყვნენ დაყენებულნი, შემდეგ-კი რაღაც მიზეზებისა გამო უკან-უკან წასულიყვნენ და ამ წელიწადში კი „სამს სკოლაში მასწავლებლების უყოლელობისა გამო სწავლაც-კი შეწყვეტილიყოს და ის მასწავლებელნიც, რომელნიც სხვა სკოლებში დარჩნენ, მომავალს სამოსწავლო წელს აღარ აპირებდნენ მოსვლასა", ასე რომ, მერმის სრულებითაც უნდა შესწყდეს, ბ-ნ მკვიდრის ფიქრით ამ სკოლებში სწავლა. რამ აიძულა ბ-ნი მკვიდრი, რომ ასეთის თვალით უყურებს ქრისტ. აღმ. საზოგადოების სკოლებს, როდესაც ამ სკოლებში საქმე ძალიან კარგად მიდის და წავა ინსპექტორის მამინაიშვილის მეცადინეობით და აგრეთვე მასწავლებლების გულმოდგინე შრომით, რომელთაც ხელს უწყობს მთელი სვანეთის საზოგადოება — თავადი და გლეხი. სვანები თქვენ ძალიან უაზრო ხალხი არ გეგონოსთ. თუმცა განათლებით უკან არიან ჩამორჩენილნი, მაგრამ ავსა და კარგს, სასარგებლოსა და საზარალოს, იგინიც კარგად იცნობენ. კარგად არიან მიმხვდარი, თუ რა სარგებლობა მოაქვს და მოუტანს მათ ქრისტ. აღმ. საზოგადოების სკოლები, და ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ ამ საზოგადოების ყველა სკოლები სავსეა მოსწავლე ბავშვებით. რამდენად შეიყვარა ხალხმა და შეეთვისა სკოლებს სჩანს იქიდან, რომ ხანშესული კაცებიც-კი დაიარებიან კვირა-უქმე დღეებში იქ, რომ წერა-კითხვა და სხვა რაიმე ცოდნა შეიძინონ. თუ სამ სკოლაში წელს შეწყვეტილია სწავლა, ამის მიზეზი ის კი არ არის, ვითომც ამ სკოლების საქმე უკან-უკან წავიდა, როგორც ბ-ნ მკვიდრის სიტყვებიდგანა სჩანს, არამედ ამის მიზეზი ისაა, რომ ერთი სკოლა (ჩოლურში) საუბედუროდ დაიწვა, და მასწავლებელმა ვეღარ იშოვა ადგილი ბავშვებისათვის სწავლის გასაგრძობად. დანარჩენი ორი სკოლის მასწავლებელნი (იფარის და მესტიისა) მათის ერთგულისა და სასარგებლო მოღვაწეობისათვის, მათის თხოვნისამებრ, დაჯილდოებულ იქმნენ მღვდლად კურთხევით; და ესეც არ უნდა იყოს მავნებელი სკოლისათვის, რადგან ამით წაქეზებულნი მასწავლებელნი უფრო გულმოდგინეთ მოჰკიდებენ თავისს საქმეს ხელს და სკოლის საქმე უფრო წინ წავა. თუ იმას ჯავრობს ბ-ნი მკვიდრი, რომ ამ სკოლებში სწავლა შეწყვეტილიაო, ესეც არ შეიძლება ითქვას, რადგან ეს სკოლები სულ უყურადღებოდ არ არის დატოვებული და თვითო მასწავლებელი ორსავე სკოლაში არის, რომელთაც, თუ მოინდომეს და გაისარჯნენ, შეუძლიანთ კარგად წაიყვანონ სკოლის საქმე. რაც შეეხება დანარჩენ ოთხს მასწავლებელს, რომელნიც ბ-ნის მკვიდრის ფიქრით აღარ აპირებენ მომავალ სამოსწავლო წელიწადში დაბრუნებას სვანეთში, ესეც სიმართლეს მოკლებულია. საიდან

გაიგო ბ-ნმა მკვიდრმა ეს? — მე ვიცი, ზოგნი იმათგანი ისე გულ-მოდგინეთ ეკიდებიან საქმეს, რომ არას გზით არ მიატოვებენ თავიანთ დაწყებულს და ფეხზე დაყენებულ სკოლებს. ისეთი სიყვარული და კავშირი აქვსთ საზოგადოებასთან, რომ, სხვა არა, მარტო სირცხვილი იქნება მათთვის, თავი მიანებოს და ობლად დასტოვონ. თუ ზოგიერთს მათგანს მართლაც აქვს განზრახვა — აღარ მოვიდეს მომავალ წელიწადში, ეს სრულებითაც არ არის სამწუხარო, რადგან ამისთანა მასწავლებელს ეტყობა გული აღერღილი ექნება თავის მოვალეობაზე და ძვირად თუ მოუტანს საზოგადოებას სარგებლობას. სჯობს, ამისთანა მასწავლებლებმა მართლაც აიღონ ხელი თავიანთ მოვალეობაზე, რადგან მათ ადგილზე შეიძლება მოვიდნენ ისეთნი, რომელნიც გამსჭვალულნი იქნებიან იმ აზრით, რომ მოუტანონ რაიმე სარგებლობა საზოგადოებას და არ იზრუნონ მხოლოდ პირადის განცხრომისათვის. ისინი უკეთ გაუძღვებიან სკოლას და საქმე მათ ხელში უკეთ წავა. ბ-ნი მკვიდრი ასე აბოლოვებს თავის წერილს: „ფრიად სამწუხარო ამბავი იქნება, თუ მართლა აგრე მოხდაო". მე-კი ვიტყვი: ფრიად სასიამოვნო ამბავი იქნება, თუ მართლა აგრე მოხდა. როგორც ეტყობა, ბ-ნი მკვიდრი, „მკვიდრი" — კი არა, ძალიან ძვირი სტუმარიც ყოფილა სვანეთისა".

1904 წლის 14 სექტემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 16 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და 29 სექტემბერს ტბეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესა. იმავე წელს სამთისის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1904 წელს სამთისის წმ. გიორგის სახ. ახალი ეკლესიის ამშენებელი კომიტეტის პირველ წევრად აირჩიეს, რაც შემდგომში სწორედ მისი დამსახურებით დასრულდა. აი, რას წერდა მოგვიანებით ამასთან დაკავშირებით გაზეთ „შინაურ საქმეებში" ბარის ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებლის გამგე სანდრო ამირეჯიბი: „პირველ წარსულ დეკემბერს (იგულისხმება 1911 წელი), დღით ხუთშაბათს, ეკურთხა ს. სამთისის წმიდის გიორგის სახელზე აშენებული ქვის ეკლესია. ეს ეკლესია შენდება 1902 წლიდან. ბევრი იშრომეს სამთისელებმა ამ ეკლესიის შენებაზედ და დღეს ეღირსნენ იგინი მის დამთავრებას. ბევრ ნაირი დაბრკოლება ეღობებოდათ მათ წინ ამ საქმეშიდ: ხან უსახსრობა, ხან მოძრაობა, ხან ზოგიერთთაგან ღალატი, ხან ოსტატის ცუღლუტობა, და ხან კიდევ, ვინ იცის, რამდენი დაბრკოლებანი აძნელებდენ ამ წმიდა საქმის სისრულეში მოყვანას. დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში ადგილობრივ მღვდელს მ. ივლიანე ჩლაიძეს. სიმართლე რომ ვსთქვათ, მხოლოდ მისი მაცადინეობით დასრულდა ამ ტაძრის შენება, თორემ კიდევ რამოდენი-

იობ ისაკაძეს

მე წელიწადს გასტანდა იგი. მ. ივლიანე ჩლაიძე რომ მოვიდა სამთისში (1904წ.) საქმე დაწყებული დახვდა, მაგრამ ცოკოლის ამოყვანისთანავე უსახსრობით მუშაობა შეჩერებული იყო იმ წელშივე მიიღო მან კომიტეტის თავჯდომარეობა, და მთელის ძალღონით შეუდგა საქმის მოწესრიგებას და გამოკეთებას. სხვა რომ არა იყოს რა, იგი ძლიერ შეაწუხა იმ გარემოებამ, რომ ხალხს მაშენებელ ოსტატისათვის კომიტეტის დაუკითხავად და გაუგებლად ეძლიათ ფული. ზოგს ჩაბარების ბარათიც არ უჩნდა და ოსტატი უარს აცხადებდა მიღებაზედ. ამ გარემოებას მისვლისა თანავე მიაქცია მან დიდი ყურადღება და აუკრძალა მრევლს ამ ნაირად კომიტეტის გაუგებლად ფულის გადახდა. დიდის მაცადინეობით შეასწორა ყოველივე ანგარიშები და საქმის წარმოება სწორ ფარგალში ჩააყენა. გარდა ამისა, მამა ივლიანეს არ აცდენია ამ საქმეში არც ფიზიკური შრომა. მე თვით, ამ სტრიქონების დამწერი, ვხედავდი, როგორ მუშაობდა იგი. ერთ დროს, ხალხს რომ არ ეცალა, და თავის საქმეს აკეთებდა, დღიურ მუშას კი საშენი მასალა ეჭირვებოდა, თითქმის ერთ კვირას ზედგაბმით იგი ბეჭით უზიდავდა ოცდა ათი საჟენის მანძილზე სილას, ზელდა კირსა და აწვდიდა მუშას, რომ არ შეჩერებულიყო საქმის წარმოება. ამნაირი მუყაითობით მან მშვენივრად გააკეთა და მოაწყო ეკლესია. მშვენიერი, ახალ გეგმაზე გაკეთებული ხის კანკელი დაუჯდა მას 590 მან. და ისეც არის გაკეთებული, რომ ვერავითარი ამ საქმეშიდ დახელოვნებული ოსტატი მას ნაკლს ვერ უნახავს. ამ კანკელში არიან ჩასმულ ოქროს ვარაყით მოჭედილი ქართული ტიპის მშვენიერი ხატები (ღირებული 500 მან.). ასე რომ საყდარში შესვლისათანავე მნახველი იგრძნობს ლხენას, და სიამოვნებას. მხოლოდ სერო-

ბის ხატი მოსვლია მხატვარს ცოტა მაღალი და ჩარჩოში არ მოთავსებულა, რასაც დისსონანსი შეაქვს სიმმეტრიაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უფალი დავით ისაკაძე, რომელსაც დაუწერია ხატები, არ უარჰყოფს თავის მოვალეობას და ამ ნაკლს შეავსებს. აგრეთვე კარგად ინებებს მ. ივლიანე, რომ საკურთხევლის იატაკს გამოცვლიდეს. ვინაიდგან იგი ასეთ ლამაზად მოწყობილ ეკლესიას არ შეეფერება. კურთხევა ეკლესიისა ჰქონდა მინდობილი ადგილობრივ ბლაღოჩინს დეკანოზ მ. მიხეილ სხირტლაძეს, რომელმაც ოთხი მღვდლისა და ერთის დეკანოზის დახმარებით შნოიანად შეასრულა კურთხევის წესი. კურთხევას ურიცხვი ხალხი დაესწრო. ეკლესიაში რომ არ თავსდებოდენ, მთელი ეზო მოკავდა ხალხით. რამდენად ბევრი ხალხი დაესწრო ეკლესიის კურთხევას, მოწმობს ის ფაკტი, რომ რამოდენიმე მანდილოსანს სივიწროვის გამო საყდარში გული შეუწუხდა, და გარეთ გამოყვანა ვერ მოახერხეს. წირვაზედ გალობდენ მ. ივლიანეს მიერ მომზადებული ადგილობრივი გლეხები. ამ მოძღვარმა ადრევე მიაქცია ყურადღება საეკლესიო გალობას და კიდევაც შეასწავლა იგი რამოდენიმე მსურველთ, რომელნიც ყოველ კვირა უქმე დღეს მშვენივრად გალობენ საყდარში. ამით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ მის წირვაზე შედარებით ბევრათ მეტი ხალხი იკრიბება, ვიდრე იმ ეკლესიებში, სადაც გალობა არ არის. განიცადენის დროს მ. ივლიანე ჩლაიძემ მიმართა ხალხს (მრევლს) სიტყვით, რომლითაც ხალხი დიდათ ნასიამოვნები დარჩა. წირვის შემდეგ წაიკითხა მ. იოანე გიორგობიანმა მშვენიერი სიტყვა ტაძრის მნიშვნელობაზე".

1907-1909 წლებში მღვდელი ივლიანე იყო ბარის ოლქის სამღვდელოების მხრიდან სასულიერო დეპუტატად იმერეთის საეპარქიო კრებაზე. 1907 წელს ბარის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ დაინიშნა. 1907 წლის 14 აპრილს ბარის ორკლასიანი სამინისტრო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს. 1909 წლის 17 დეკემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა.

1910 წლის 13 მარტს იობ ისაკაძე (აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის ერთ-ერთი მოთავე, გარდ. 1913 წლის 25 მაისს — გ. მ.) ქართულ პრესაში წერდა: „ბარის საზოგადოება შვიდი სოფლისაგან შესდგება: სოფ. მრავალძალი (90 კომლი), ზემო ბარი-ქვემო ბარი (257 კომლი), სამთისი (65 კომლი), მუხლი (68 კომლი), ჩონიში (9 კომლი), სორი (82 კომლი) და გადამში ოსები (39 კომლი). სასულიერო წოდების პირნი და აზნაურნი (60 კომლი). სოფლის სასამართლო არსებობს სოფ. ბარში. ამ საზოგადოებაში ოთხი შკოლა არის: ერთი სამინისტროა და სამი სამრევლო. სამინისტრო შკოლა არსებობს სასამართლოს გვერდით სოფ. ბარში. ეს შკოლა იყო ერთკლასიანი. 1908 წ. დავადგინეთ პრიგოვორი და ვითხოვეთ ორკლასიანად გადაკეთება და მეორე მასწავლებელი ხაზინის ხარჯით. ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორისაგან მივიღეთ ცნობა, დაამზადეთ მეორე კლასისათვის შენობა და როცა კრედიტი გაიხსნება, მეორე მასწავლებელს გამოვგზავნითო. 1909 წლიდან ვლას ალექსანდრეს ძე გოცირიძემ დირექტორს სურვილი განუცხადა, - უფასოდ ვასწავლი სანამ კრედიტი გაიხსნებაო. ამ რიგათ ნოემბრის პირველიდან 1909 წ. გაიხსნა მეორე კლასი, რომლის მასწავლებლადაც იმყოფებიან ხარიტონ საგანელიძე და ვლას გოცირიძე. სამღთო სჯულის მასწავლებლათ მღვდელი ივლიანე ჩლაიძე. სამრევლო სკოლებია სორში, მუხლში და მრავალძალში. სორის შკოლა არსებობს თხუთმეტ წელიწადზე მეტი. სოფ. მრავალძალში საკუთარი ორსართულიანი ქვის შენობა ააგეს შკოლისათვის, რაც ექვსი ათასი მანეთი დაუჯდათ. ეს ფული დაიხარჯა მრავალძალის ეკლესიის შემოსავლიდან. დეკანოზმა მიხეილ სხირტლაძემ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ

სამთისის წმ. გიორგის ეკლესია (დაინგრა 1991 წლის მიწისძვრის დროს)

ორი ათასი მანეთი მისცემოდა ხსენებულ შკოლას ხაზინიდან, როგორც გავიგეთ დეკანოზის თხოვნა დაუკმაყოფილებიათ. 1909 წ. მოსავალი ძალიან ნაკლები იყო, ვენახები სულ გადახმა და ვისაც შეძლება აქვს, შეუდგა მიწის გადაბრუნებას და ამერიკული ვაზის გაშენებას. 17 იანვარს 1907 წელს ყრილობამ სასოფლო სამმართველოში სხვათა შორის საზოგადოებამ ყოველ სოფელზე აირჩია სამი გლეხი და ერთი აზნაური გზების ზედამხედველად, რომ მათი ჩვენებით გზები გაგვეკეთებინა. ხალხმა სრული თანხმობა გამოაცხადა, ამოირჩიეს ყოველ სოფელზე სამი გლეხი და ერთი აზნაური, შეადგინეს პრიგოვორი და მოაწერეს ხელი. გზების კეთებას საზოგადოება გულმხურვალედ შეუდგა და კიდევაც მალე მოაწესრიგეს თითქმის ყველა გზები".

მღვდელი ივლიანე ჩლაიძე

მღვდელი ივლიანე 1910 წლის 16 ნოემბერს იმავე სკოლის გამგედაც დაინიშნა. 1912 წლის 12 აპრილს ბარაკონის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის სახურავის გადახურვის კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1912 წელს მისი ინიციატივით სოფელ სამთისში და ბარში შეკრიბეს შეწირულება ბაგრატის ტაძრის სასარგებლოდ და გაზეთ „შინაური საქმეების" მეშვეობით გააგზავნეს ქუთაისში. აი, რას წერდა მღვდელი ივლიანე აღნიშნული გაზეთის რედაქტორს, მღვდელ სიმონ მჭედლიძეს: **„მამაო რედაქტორო! ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ზღუდისათვის კეთილ-ინებეს და სიამოვნებით შემოსწირეს თავისი წვლილი შემდეგმა პირებმა: ბარის სახალხო ორკლასიან სასწავლებლის გამგემ სანდრო ამირეჯიბმა 1 მან.; ამავე სასწავლებლის მასწავლებელმა დავით სუპატაშვილმა 50 კაპ.; ბარის საზოგადოების მამასახლისმა სიმონ კერვალიშვილმა 1 მან.; ამავე საზოგადოების მწერალმა პარმენ ბურდილაძემ 1 მან.; გლეხმა ლუარსაბ ელისეს ძე გიორგობიანმა 1 მან.; და ფერშალმა იაკინთე მასხარაშვილმა 50 კაპ.; სულ შეგროვდა ხუთი მანეთი, რომელ ფულსაც ამასთანავე გაახლებთ და უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ კუთვნილისამებრ; შემომწირველთა ვინაობა კი გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის „შინაური საქმეების" ერთ-ერთ ნომერში გამოაცხადოთ".**

1919-1922 წლებში მღვდელი ივლიანე იყო ნიკორწმინდის ეპარქიის, ბარის ოლქის მთავარხუცესი. 1922 წლის 1 ივნისს შედგენილ საბუთში იგი კვლავ მთავარხუცესად ჩანს, ხოლო 1922 წლის ივნისის ბოლოს კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს აღარ იხსენიება სამთისის ტაძრის წინამძღვრად, რადგან მიღება-ჩაბარების აქტს სამთისის ტაძრის მამასახლისი, ვინმე მუსერიძე აწერს ხელს. 1922/1923 წლებში და 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების დროს ხელისუფლებამ მრავალი სასულიერო პირი დახვრიტა, ზოგიც ამ ამბის შემხედვარე შეშინდა და უარი თქვა მსახურებაზე. მათ რიცხვში იყო მღვდელი ივლიანეც, რადგან 1926 წლის 17 თებერვალს შედგენილ საქართველოს ეკლესიის, ქუთაისგაენათის ეპარქიის (1917-1977 წლებში ამ ეპარქიაში შედიოდა ნიკორწმინდის ეპარქია) სასულიერო პირთა ჩამონათვალში იგი აღარ იხსენიება მოქმედი სამღვდელოების რიგებში. ყოფილი მოძღვარი 1959 წლის 20 აპრილს გარდაიცვალა. ჰყავდა მეუღლე - ულუმპია აბესალომის ასული (დაბ. 1885წ.) და შვილები: **გიორგი** (დაბ. 5.06.1908წ.), **პეტრე** (დაბ. 16.01.1910წ.), **მელანია** (დაბ. 30.04.1912წ.), **უჩა, შოთა, მავრა, მარიკა.**

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №57660; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №51; საქართველოს საპატრიარქის არქივი, აღწერა 1, საქმე №1463, გვ. 32; გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1902წ. №1776, გვ. 3; გაზეთი „ივერია" 1902წ. №109, გვ. 3; გაზეთი „ახალი სხივი" 1910წ. №32, გვ. 4; გაზეთი „სახალხო გაზეთი" 1911წ. №392, გვ 3; ჟურნალი „შინაური საქმეები" 1912წ. №1, გვ. 14; №17, გვ. 15-16; გაზეთი „თბილისი" 1959წ. №97, გვ. 4.

ლიტ: კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები", ქ. ქუთაისი, 2014წ. გვ. 28; გვ. 30.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კუაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

როს. ჩვენ მოწოდებული ვართ, ვიცხოვროთ საღვთო ევქარისტიის საიდუმლოებით, ვმადლობდეთ უფალს წყალობისთვის და ვასაზრდოოთ ჩვენი სასოება ბიბლიის, წმინდანთა ცხოვრებისა და მათი სწავლებების კითხვით", — აღნიშნავს ანტიოქიის საპატრიარქო.

ანტიოქიის ეკლესია ლოცულობს ყველასთვის, ვინც ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად ზრუნავს და იღვწის, მხარს უჭერს სამეცნიერო კვლევებს და ყოველგვარ ინიციატივას, რომლებიც მიმართულია კაცობრიობის განვითარებისაკენ.

ისტორიის ფურცელი

მღვდელი სოლომონ იმერლიშვილი 1848-1909

მღვდელი სოლომონ პავლეს ძე იმერლიშვილი 1848 წელს თელავის მაზრაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება სასულიერო სასწავლებელში მიიღო, რომლის დასრულების შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში თელავის მაზრაში მედავითნედ მსახურობდა. XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში ჯვარი დაიწერა ძველი გავაზის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძრის წინამძღვრის, მღვდელ მათე დავითის ასულ იანქოშვილის ასულზე — მაგდალინაზე (შინაურობაში მაგდანას ეძახდნენ). ჰყავდათ სამი შვილი: მღვდელი ვლადიმერი, ალექსანდრა (დეკანოზ გიორგი შიშნიაშვილის მეუღლე), ეკატერინე და ერთიც ვაჟი (სახელი უცნობია). მალევე სოლომონი დიაკვნად და მღვდლად დაასხეს ხელი და მსახურობდა ქართლ-კახეთის ეპარქიის სხვადასხვა სამრევლოებში.

XIX ს-ის 80-იან წლებში სამხედრო უწყებაში გადავიდა და განჯის მაზრაში, დილიჯანის ადგილობრივ სამხედრო პოლკის კაპელანად დაინიშნა. 1891 წლის 11 დეკემბერს ახლად გახსნილი ქ. ყარსის ციხესიმაგრეში მდგომი ფეხოსანი ბატალიონის კაპელანად გადაიყვანეს. 1892 წლის აღდგომას სკუფია უბოძეს. ყარსში მცხოვრებ ქართველებს დიდ ნუგეშად მოევლინათ მამა სოლომონი. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ქართული სათვისტომო და მტკიცედ მოკიდა ხელი ქართული წირვა-ლოცვის გაძლიერებას. აი, რას წერდა ქართული პრესა ამასთან დაკავშირებით: **„1893 წლის 14 მარტს ყარსში აკურთხეს ბატალიონის ეკლესია. მწირველნი იყვნენ: დეკანოზი დამიან ბორშჩი, მღვდელი ნიკოლოზ ფინიკოვი და ახლად აშენებული ეკლესიის მღვდელი სოლომონ იმერლიშვილი. წირვა და გალობა ქართულად იყო. ქართველობა ყარსისა დიდი მადლიერია მამა ს. იმერლიშვილისა, რომლის წყალობითაც ეს მეორედ მოისმინა ქართულად წირვა და გალობა ამ ცოტა ხანში"**. 1896 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა.

1896 წლის ოქტომბერში მღვდელი სოლომონი ქ. ვლადივასტოკის ციხესიმაგრის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა. მოძღვარს ძალიან გაუჭირდა სამშობლოდან ასე შორს წასვლა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო, დამორჩილდა ბედს და გაემგზავრა ქვეყნის დასალიერში. ამასთან დაკავშირებით 1896 წელს იგი ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორს, დეკანოზ დავით ღამბაშიძეს სწერდა: **„პატივცემულო მამაო რედაქტორო! ეს არის, მივემგზავრები შორეულ ქვეყანაში აღმოსავლეთისკენ; ორმოცდათორმეტი დღე და ღამე ხომალდით უნდა ვიმგზავრო. მე დავინიშნე მღვდლად ვლადივოსტოკის ციხის ტაძარში. ოცდასამი საათი არის სახალინამდის სასიარულო ვლადივოსტოკიდან. თუ ღმერთმა მშვიდობით მიგვიყვანა, უთუოდ წავალ ამ კუნძულზე, სადაც, როგორც ამბობენ, ხუთას სულამდის არიან ჩვენი ქართველები. მე თან მიმაქვს საჭირო წიგნები, რომ ამ საცოდავებს ქართული წირვა მოვასმენინო და დავმოძღვრო. გთხოვ, რომ დაგვეხმაროთ და პატარ-პატარა რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები მივაწვდინოთ ამ საცოდავ ხალხს, რომელიც მოკლებული არი ამ შორეულ ქვეყანაში ყველაფერ ჩვენს ენაზე საღმრთო საკაცებო საკითხავებს. იმედი მაქვს, კავშირი ვიქონიო თქვენს რედაქციასთან და საინტერესო ცნობები მოგაწვდინო ამ შორეული ადგილიდან"**. დეკანოზი დავით ღამბაშიძე იქვე წერდა: **„ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და ვართ, რითაც შეგვიძლია ხელი შეუწყოთ და დავეხმაროთ გაჭირვებულთ, ჩვენი ქვეყნიდან გადახვეწილთ და იმედი უნდა იქონიოს პატივცემულმა მამა სოლომონ იმერლიშვილმა, რომ ჩვენ არაფერს არ დავიშურებთ ამ გაჭირვებულთა დასახმარებლად"**.

1898 წელს „ივერიის" რედაქციაში ქ. ვლადივასტოკიდან მამა სოლომონის (მისი ფსევდონიმი გახლდათ — სოლიკო ციმბირში) ვრცელი წერილი მოვიდა, რომელშიც ის აღწერს იქაური ქართველების

ყოფა-ცხოვრებას, სახალინის კუნძულზე გადასახლებულ კატორღა ოვლილ ქართველთა სულიერ და ზნეობრივ მდგომარეობას, გაჭირვებასა და უბედობას, ჭირსა და ლხინს, რომელიც სრულად დაიბეჭდა გაზეთის ფურცლებზე. აი, რას ვკითხულობთ იქ: **„ჩვენდა დიდ უბედურებად უნდა ჩაითვალოს აქაური ტელეგრაფის უვარგისობა: თვე თუ კვირა არ გაივლის ისე, რომ არ გაფუჭდეს და არ მოვაკლდეთ რუსეთიდგან, თუ საქართველოდგან ამბების შეტყობას. ფოსტაზედ ლაპარაკი ხომ მეტი იქმნება, რადგანაც ორი და სამი თვე უნდა ველოდეთ წერილებს და კორესპონდენციებს. დროთიც განირჩევა ჩვენი კურთხეული ვლადივოსტოკი! მაგალითად, საქართველოში და აქ დროთა გარჩევა შეადგენს რვა საათს. ჩვენ რომ აქ რვა საათზედ ჩაისა ვსვამთ, საქართველოში ღრმა ძილში არიან ჩვენნი მოძმე ნათესავები. ქალაქ პეტერბურგზედ 9877 ვერსით დაშორებულნი ვართ, ხოლო საქართველოზედ ზღვის გზით 25 000 ვერსით. თქვენი უმორჩილესი მონა ბათუმიდან ვლადივასტოკამდე მისვლას გემით სულ ორმოცდათხუთმეტი დღე და ღამე მოუნდა.**

მღვდელი სოლომონი ოჯახთან ერთად. XIX ს-ის 80-იანი წლები

11 სექტემბერს, დილის 11 საათზედ, აქ ერთი საზარელი მკვლელობა მოხდა. გამოგზავნილმა რაჭის მაზრის მცხოვრებელმა, ახალგაზარდა 30 წლის მამუკა ფოჩხიძემ მოჰკლა დანით თავისი საყვარელი, 20 წლის ქალი დარია მარკოვისა და ამით დაამცირა გამოგზავნილის ქართველების დამსახურებული ნდობა და სახელი... რადგანაც გამოგზავნილებზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, მკითხველს ორიოდე სიტყვას მოვახსენებ გამოგზავნილთა შესახებ. როდესაც სახალინის კუნძულზედ კატორგაში გამოგზავნილს შეუსრულდება ვადა, ექვსის წლის შემდეგ, თუ მთავრობის ყურადღება დაიმსახურა, მას ეძლევა „გლეხობის წოდება“. ამასთან, აძლევენ ადგილს გამოგზავნილთა ახალშენებშივე, სადაც უნდა აიშენოს სახლ-კარი და დაიწყოს გლეხურად თავისის ოფლით რჩენა. ამისთანა ახალ-შენებით შენდება სოფლები კუნძულ სახალინის მდიდარს, უდაბურს ტყეებში, მთავრობის ნებართვით და ურთიერთის თანხმობით მამაკაცები ირჩევენ გამოგზავნილ დედაკაცთა შორის საცოლეებს და სცხოვრობენ, თუმცა ჯვარდაუწერელად, მაგრამ როგორც ცოლ-ქმარნი, განუყრელად ჭირსა და ლხინში. თუ ვინიცობაა ერთმანეთს ვერ შეეთვისნენ, მთავრობის განკარგულებითვე შეუძლიანთ დაშორდნენ და სხვა აირჩიონ. ამგვარს ცხოვრებაში უნდა გაატაროს გამოგზავნილმა 13 წელი. შემდეგ შეუძლიან, სათაც უნდა, იქ წავიდეს, მხოლოდ სახეში უნდა ვიქონიოთ ის, რა პირობითა აქვს გარდაწყვეტილი ვადის შესრულება. ამასთან, წასვლა-მოსვლას ფული უნდა და გამოგზავნილი პირველ ხანად სად იშოვის ფულს. თუმცა კი ვადის შესრულების შემდეგ ახლად დასახლებულს ვალად ეძლევა ხაზინიდგან ფული ან საქონელი, რომელიც წვრილ-წვრილად უნდა გადაუხადოს. თუ ვინიცობაა მოჰბეზრდა სახალინში ცხოვრება და მთავრობის ყურადღებაც დაიმსახურა, შეუძლიან, მთავრობის თანხმობით, წამოვიდეს აქეთ, ვლადივოსტოკსა და ციმბირის სხვა ქალაქებში: ხაბაროვსკში, ბლაღოვეშჩენსკში, ტომსკში, ირკუტსკში და სხვა. ამ ქალაქებში ზოგი ვაჭრობს, ზოგი რკინის გზაზედ ჰმსახურობს, ზოგი იჯარას იღებს. ჩემის აქ მოსვლის დღიდგანა, 1896 წლის 23 დეკემბრიდგან, ვაკვირდები გამოგზავნილთ და სასიამოვნოდ მიმაჩნია, რომ სხვა ხალხოსნობის გამოგზავნილთა შორის პირველი ადგილი „ქართველებს“ უჭირავთ პატიოსნობით, ნდობით და ფხიზელის ცხოვრებით. სუფთად, ევროპიულად ჩაცმულნი, თავშეკავებულნი, ზრდილობიანნი, ისინნი საზოგადოების ყურადღებასაც კი იზიდავენ. ვისთანაც-კი მქონია საუბარი, ყველა დიდად ნასიამოვნებია ქართველ

გამოგზავნილთაგან; ერთმა კაცმა მითხრა, რომ ქართველებისთანა პატიოსანს მოსამსახურეს არ შევხვედრივარო. აი, ასეთი სახელი აქვთ გამოგზავნილ ქართველებს აქ და ფოჩხაძემ-კი, თავისის საქციელით, ჩირქი მოსცხო აქაურ ქართველობას.

ვინც ჭკუით იქცევა და ვაჭრობას მისდევს, ის ფულის პატრონი ხდება. მაგ.: ქ. ხაბაროვსკაში არიან ორნი ძმანი, გამოგზავნილნი კავკავიდან, შაბაგულოვები, რომელთა შეძლება 800 000 მანეთს აღემატება, კუნძულ სახალინში ერევნელი ისაიანცია, რომელსაც 60 000 მან. შეძლება ექმნება. აქ, ვლადივოსტოკში, რაჭის მაზრის, იოსებ გომართელს — 50 000 მან. აქვე ,ახშარუმოვს, ქ. ტფილისიდგან გამოგზავნილს, 55 000 მან. და სხვა.

გამოგზავნილთ გარდა, ორი ქართველიც არის აქ — ერთი მოვაჭრე და ერთიც მზარეული. აქ მყოფ ქართველებთან მოლაპარაკება მაქვს ქართულის სამკითხველოს დაარსების შესახებ. მხოლოდ სახლის სიძვირე და უკაცობა აფერხებს საქმეს. პატარა ოთახს, სადაც თაგვი კუდს ვერ მოიქნევს, ოც მანეთ ნაკლებ ვერ იშოვნის კაცი. კაციც გვინდა, რომელმაც უნდა განაგოს სამკითხველო. აქ გამოგზავნილ ქართველების სახელით ვთხოვ ქართულის წიგნების გამომცემელთ და რედაქციებს, ნუ დაიშურებენ თითო ცალს თავიანთს გამოცემისას „ვლადივოსტოკის ქართულ-სამკითხველოს" სასარგებლოდ, რომელიც შემაერთებელი შეიქმნება საქართველოსა და აქ გამოგზავნილ, ბედისგან დაჩაგრულ და მიწა-წყალ მოკლებულ ქართველთა შორის.

მე წამოღებული მქონდა საქართველოდგან პატივცემულ დეკ. ღამბაშიძის რედაქციის მიერ გამოცემული სასულიერო შინაარსის წიგნაკები, რომლებიც ბევრს დავურიგე და დიდად ნასიამოვნებნი დარჩნენ. ბევრს ტუსაღობაში უსწავლია წერა-კითხვა. რუსულადაც ბევრი კარგად ლაპარაკობს, მხოლოდ ქართული მწიგნობრობა კოჭლობს, რაც საწყინოდ მიმაჩნია.

„ვლადივოსტოკის ქართულის სამკითხველოს" სასარგებლოდ შეიძლება გამოიგზავნოს წიგნები შემდეგის ადრესით: Въ г. Владивостокъ, Полковому священнику О. Соломону Имерлишвили".

1899 წელს სახალინის ქართულ სამკითხველოს გამგე ალ. არდიშვილი გაზეთ „ივერიაში" მღვდელ სოლომონის მოღვაწეობის შესახებ წერდა: **„ივერიის საშუალებით უგულითადესს მადლობას ვუცხადებ როგორადაც მე, ისე ყველა სახალინელი ქართველი ქალაქ ვლადივოსტოკის ჯარის მღვდელს მამა სოლომონ იმერლიშვილს, რომელმაც არ დაიზარა და თავისი სურათი გამოგვიგზავნა, რითაც დიდად გვანუგეშებს; გარდა ამისა, შეგვპირდა სახალინში მოსვლას ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვის გარდასახდელად ჩვენთვის. ყველა ქართველი ადვილად იგრძნობს, როგორც მოუთმენლად მოველით იმ სანატრელ ჟამს, როცა მამა სოლომონი შეგვისრულებს თავისს დანაპირებს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან რაც სამშობლოს მოვშორდით, მერე ქართული წირვის ღირსი არ გავმხდარვართ ჯერ".**

მღვდელ სოლომონის მეცადინეობით, თავდადებული სამსახურისა და ქადაგების წყალობით ქართული სათვისტომო შესამჩნევად გაძლიერდა და განმტკიცდა. რამდენიმე წელიწადში მათი მდგომარეობა იმ დონეზე გაუმჯობესდა, რომ ისინი საქართველოში აგზავნიდნენ გარკვეულ შეწირულობებს სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობის შესაწევნელად. 1901 წელს ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ასეთი წერილი: **„1) „გიგზავნით რა ქ. ვლადივოსტოკსა და ხაბაროვსკში ქართველთა, სომეხთა და შორის ჩემ-მიერ შეკრებილ ფულს 330 მან., უმორჩილესადა გთხოვთ, ეს ფული გაანაწილოთ შემდეგ საზოგადოებათა შორის: ა) მცხეთის ტაძრის შემკეთებელს (გამამშვენიერებელ) კომიტეტს 60 მან.; ბ) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას 70 მან.; გ) მომავალ ქართველ სტუდენტთა დამხმარებელს საზოგადოებას 100 მან.; დ) ჩვენის სამშობლო სასულიერო (საეკლესიო) გალობისა და საერო სამშობლო მუსიკის შესწავლა აღდგენისათვის მომავალს საზოგადოებას 100 მან.; ბოლოში არის სია შემომწირველთა".** თავის მხრივ, საქართველოდანაც გაუგზავნეს ვლადივასტოკის ქართველებს მათთვის საჭირო ნივთები, რაზედაც მამა სოლომონმა დიდი მადლობა გადაუხადა გაზეთ „ივერიის" რედაქციით: **„უღრმესს მადლობას ვუძღვნი პატივცემულს დეკანოზ ღამბაშიძეს, რომელმაც „ვლადივოსტოკის ქართულს სამკითხველოს" ას ცალამდის სხვადასხვა წიგნაკი რელიგიური შინაარსისა ქართულსა და რუსულს ენაზედ უფასოდ გამოუგზავნა. ესრეთვე მადლობას ვუძღვნი იოსებ ლეჟავას (უდაბურ წყალ-წმინდელს), რომელმაც ოცი ცალი სხვადასხვა წიგნები შემოსწირა და დროებით დ. აბაშაში მცხოვრებს, ბაგრატ ივანეს ძე დოლიძეს, რომელმაც შემოსწირა ცამეტი ცალი სხვადასხვა წიგნები. ვთხოვთ ყველა გულშემატკივართ, ჩვენის ჯერედ ნორჩის „ვლადივოსტოკის ქართულ სამკითხველოსთვის" ნუ დაიშურებენ თავიანთს წვლილს".**

1903 წლის 10 სექტემბრის – 3 ოქტომბრის რუსეთის უწმინდესი სინოდის ბრძანების საფუძველზე, ჩინეთის აღმოსავლეთ რკინიგზის მღვდელი სოლომონ იმერლიშვილი დაინიშნა აღმოსავლეთ ციმბირის 26-ე მსროლელი პოლკის კაპელანად. 1904 წლის 8 თებერვალს დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. იმავე წლის 14 თებერვალს მღვდელი სოლომონი აღმოსავ-

ლეთ ციმბირის მსროლელი პოლკების მე-7 დივიზიის მთავარხუცესად აირჩიეს. მღვდელი სოლომონი იყო ქ. პორტ-არტურში იაპონელების ალყის დროს, სადაც გაიმართა ყველაზე მძიმე ბრძოლები. მან გამოიჩინა დიდი გაბედულება და ბრძოლის წინა ხაზზე ამხნევებდა მეომრებს, უშიშრად წესს უგებდა გარდაცვლილებს და დაუზარელად უსრულებდა საეკლესიო წესებს. 1905 წლის 28 თებერვალს მოძღვარი აღმოსავლეთ ციმბირის 37-ე მსროლელი პოლკის კაპელანად გადაიყვანეს. 1905 წლის 22 სექტემბერს რუსეთ-იაპონიის ომის დროს გამოჩენილი სიმამაცისთვის იმპერატორის კაბინეტიდან გაცემული წმ. გიორგის ლენტიანი სამკერდე ოქროს ჯვრითა და წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1906 წლის 18 მაისს გაუქმდა 37-ე პოლკი და მღვდელი სოლომონი აღმოსავლეთ ციმბირის 34-ე მსროლელი პოლკის მოძღვრად განამწესეს. 1906 წლის 22 სექტემბერს დედაეკლესიაში 35-წლიანი უმწიკვლო სამსახურისთვის წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1907 წლის 8 იანვარს აღმოსავლეთ ციმბირის მე-9 მსროლელი დივიზიის მთავარხუცესად აირჩიეს. 1907 წლის 5 მარტს გენერალ-ლეიტენანტ დემბოვსკის მიერ ჩატარებულმა კომისიამ დაადგინა, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს ქ. პორტ-არტურში ჩადენილი გმირობისათვის, იმპერატორის ბრძანების საფუძველზე, ყოფილი აღმოსავლეთ-ციმბირის 7 მსროლელი დივიზიის მთავარხუცესი და 26-ე აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელი პოლკის, და ამჟამად 34-ე აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელი პოლკის მღვდელი სოლომონ იმერლიშვილი დაჯილდოვდეს წმ. ანას II ხარისხის ორდენით.

მღვდელი სოლომონი 1909 წლის 8 დეკემბერს ქ. ვლადივასტოკში გარდაიცვალა. მის სამგლოვიარო ნეკროლოგში ვკითხულობთ: **„ხელმწიფემ უმაღლესად ინება ვლადივასტოკში გარდაცვალებულ აღმოსავლეთ ციმბირის მეცხრე მსროლელთა დივიზიის ბლაღოჩინის სოლომონ პავლეს ძე იმერლიშვილის გვამი ვლადივასტოკიდან მოასვენონ ტფილისში, რასაც აუწყებენ განსვენებულის მეუღლე მაგდალინა მათეს ასული და შვილები: ალექსანდრა და ეკატერინე იმერლიშვილები. დღეს დილით 10 საათზე მიცვალებულის გვამს ტფილისის სადგურიდან გადმოასვენებენ ავლაბრის მთავარანგელოზის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, დაკრძალვა იქვე, ეკლესიის ეზოში“.**

მამის გზის ღირსეული გამგრძელებელი იყო მისი ვაჟი — მღვდელი ვლადიმერი. იგი 1876 წელს დაიბადა. 1892 წელს დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი. სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც არ დაუმთავრებია. 1897 წელს დიაკვნად აკურთხეს და ელიზავეტოპოლის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. ტაძარში დაინიშნა. 1898 წლის 2 მარტს სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში მედავითნის შტატში დაადგინეს. 1900 წლის 1 მაისს ვლადივასტოკის ეპარქიაში გადავიდა და ქ. ვლადივასტოკის საკათედრო ტაძრის კრებულში დაინიშნა. 1903 წელს მამა ვლადიმერის ინიციატივით ქ. ვლადივოსტოკში საფუძველი ჩაეყარა „აღმოსავლეთ ციმბირისა და მანჯურიის ქართველთა დამხმარებელ საზოგადოებას“. აი, რას წერდა გაზეთი „ივერია“ ამის შესახებ: **„ძლივს ეღირსა აღმოსავლეთ ციმბირის ქართველობას დიდი ხნის ძილისგან გამოღვიძება და თვალების მოფშვნეტა. მათ მიაწოდა მ. ვლ. იმერლიშვილმა ერთი საუკეთესო და სანეტარო აზრი, რომლის განხორციელებასაც დიდის ხალისით შეუდგნენ. ოცდასამს იანვარს თავი მოიყარა ქ. ვლადივოსტოკში მცხოვრებ ქართველობამ მ. ვლ. იმერლიშვილის სახლში, რომელმაც, ოთხიხუთი დღის წინ, კრების დღე დანიშნა და მოსაწვევი ბარათები გაუგზავნა კრების დაწყებისას, ხმის უმეტესობით, თავჯდომარედ ამოირჩიეს მ. ვლ. იმერლიშვილი, რომელმაც წარუდგინა გეგმა დასაარსებლად „აღმოსავლეთ ციმბირის და მანჯურიის ქართველთა დამხმარებელი საზოგადოებისა“. ქართველობა დიდის სიამოვნებით მიეგება ამ აზრს და თანხმობა გამოაცხადა შემწეობის აღმოსაჩენად. უმთავრეს საგნად ამ საზოგადოებას ექმნება, დაეხმაროს გონებრივად და ქონებრივად აქაურს ქართველობას, ერთს განუყრელს დასად**

მღვდელი სოლომონი.
ფოტო გადაღებულია XX ს-ის დასაწყისში

მღვდელი ვლადიმერ იმერლიშვილი

შეჰყაროს იგინი და ძმურად დააკავშიროს. შეეწიოს ციმბირის ღარიბ ქართველ სტუდენტობას, გამოსცეს ქართულს ენაზედ სხვადასხვა წიგნები, დააარსოს ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და თავ-შესაფარები კუნძულიდგან ახლად განთავისუფლებულ ქართველთათვის და სხვა. კრებამ ამოირჩია თავის შორის სამი კაცი: მ. ვლ. იმერლიშვილი, ა. დოჩანაშვილი და ს. ნიჟარაძე, რომელთაც დაევალათ წესდების ვრცლად შემუშავება. მათვე დაევალათ, შეატყობინონ ციმბირის ყველა ქართველებს და ამაზედ მოწოდება გაუგზავნონ. წესდება უნდა შემუშავდეს სხვა ადგილებშიც და შემდეგ ყველა ერთად განიხილება. იმედია, სხვა ქართველებიც დიდის სიამოვნებით მიეგებებიან ამ აზრს და მ. იმერლიშვილის მეცადინეობას მხარს დაუჭერენ. დიდის მადლობის ღირსნი არიან მ. ვლ. იმერლიშვილი და ბონი ა. ი. დოჩანაშვილი, რადგანაც პირველმა ითავა ეს დიადი საქმე, რომლისათვისაც საკმარისად მხნეობა და ძალა შესწევს და მეორემ-კი იკისრა პირველ ხნის ყველა წვრილმანი ხარჯები საზოგადოების დაარსებამდე; იგივე შეჰპირდა კრებას რავდენისამე აის მანეთის შეწირვას, თუ საქმე რიგიანად მოეწყო. თუ როგორი შედეგი ექნება ამ კრებას, შემდეგში გავუზიარებთ ქართველ საზოგადოებას. დასასრულს კრება სთხოვს ქართულ ჟურნალ-გაზეთობას ამ საგანზე თავიანთი აზრი გამოსთქვან და, თუ შეიძლება, საჭირო წესდება მოაწოდონ სახელმძღვანელოდ შემდეგის ადრესით: Г. Владивостокъ. Диакону кафедральной собоной церкви о. Владимиру Имерлишвили".

1904 წელს მღვდლად დაასხეს ხელი და 22-ე საველო ჰოსპიტალში კაპელანად განამწესეს. 1905 წელს რამდენიმე თვე იყო უშტატო მღვდელმსახური. 1905-1906 წლებში აღმოსავლეთ ციმბირის 26-ე მსროლელი პოლკის კაპელანია. 1906 წელს ამუ-დარინსკის სამხედრო კანცელარიის განყოფილების უფროსთან არსებული კარის ეკლესიის მღვდელია. 1910 წელს რამდენიმე თვე კვლავ უშტატო მღვდელმსახურია. 1910 წლის 20 აგვისტოს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1911 წლიდან ციმბირის 8-ე მსროლელი პოლკის კაპელანია. 1916 წლის წმ. ანას III ხარისხის მახვილებიანი ორდენით დაჯილდოვდა. 1918 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სამხრეთ რუსეთში, ქ. სტავროპოლში 23-ე დამატებითი ჰოსპიტლისა და მე-11 ეპიდემიური ლაზარეთის მოძღვარია. სამწუხაროდ, აქ წყდება მის შესახებ ინფორმაცია. ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია, თუ რა ბედი ეწია მღვდელ ვლადიმერს, დაბრუნდა სამშობლოში თუ რუსეთშივე გარდაიცვალა. გაზეთის რედაქცია შთამომავლებს,ან მათ, ვინც იცის რაიმე მისი შემდგომი ცხოვრების შესახებ, გთხოვთ გამოგვეხმაუროთ, რათა მოხდეს ამ ღირსეული ადამიანის ცხოვრების ბოლომდე შესწავლა.

წყარო: Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1896წ. №11; Журнал „Вестник военного духовенства" 1892წ. №5; №12; 1892წ. №13; 1898წ. №7-8; 1900წ. №11; 1904წ. №3; №12; №17; №21; 1906წ. №17; 1907წ. №6; №9; №20; 1910წ. №4; ჟურნალი „მწყემსი" 1896წ. №21, გვ. 8; გაზეთი „ივერია" 1893წ. №61, გვ. 2; 1898წ. №19, გვ. 3; 1899წ. №146, გვ. 2; 1901წ. №6, გვ. 4; №9, გვ. 4; 1903წ. №42, გვ. 3; გაზეთი „სახალხო გაზეთი" 1910წ. №4, გვ. 1; Журнал „Вестник военного духовенства" 1916წ. №11-12.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II (ბაგრატიონი)

არქიმანდრიტი ნეოფიტე კათოლიკოს ანტონ II-ის დაახლოებულ პირთა სიაში ჩანს. 1810 წლის ნოემბერში, როდესაც კათოლიკოსი რუსეთში გადაასახლეს, მამა ნეოფიტეს მის ამალაში ვხედავთ. 1811 წლის 2 ოქტომბერს რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორმა, თავადმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გოლიცინმა (1773-1844წწ.) იგი ძვირფასი თვლებით შემკული საარქიმანდრიტო ჯვრით დაჯილდოვდა. არქიმანდრიტი ნეოფიტე ერთგულად ემსახურა გადასახლებულ კათოლიკოსს 1826 წლამდე. ამ წელს მას დამბლა (პარალიჩი) დაეცა და უწმინდესმა ანტონ II-ემ იგი საქართველოში დააბრუნა. მხცოვანი მოძღვარი თბილისში, თავად დავით ბარათაშვილის სახლში ცხოვრობდა. პლატონ იოსელიანი წერდა: **„ნეოფიტე, არქიმანდრიტი და წინამძღვარი მცხეთის დაუჯდომლობისა ეკვდერისა, დაქცეულისა 1838 წელსა. მოკვდა უადგილო, თფილისს 1841 წელსა“.** საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი მის გარდაცვალებად 1834 წლის ივნისის თვეს ასახელებს. თუმცა აქ ორივე მკვლევარი ცდება. შემორჩენილია არქიმანდრიტ ნეოფიტეს 1828 წლის 26 დეკემბრით დათარიღებული წერილი, სადაც ვკითხულობთ: **„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. მოახლოვებულ ჟამსა სიკუდილისასა და მგრძნობელ უკანასკნელისა აღმოფშვვინვისა ვწერ უკანასკნელსა ამას სიტყუასა ჩემსა რათა შემდგომ ჩემს არა ვისგანმე შემოხდეს არა ვითარიმე სარჩელ ანუ დავა, ამისთვის მივანდობ ყოველსავე ჩემის დანაშთენისა განკარგუასა და დამარხუასა ჩემისა თავადსა დავით ბარათოვსა, თავადსა თორნიკე ერისთავსა და ჩემს სულიერს მოძღუარს მღუდელს ეფრემ ალექსიევს. ესრეთ რომელ რაიცა დამშთების მე შესამოსლენი თუ სხუა ნივთი ანუ ფული არის ჩემი საკუთარი ნაღუაწი და არა რაიმე არს მათს შორის გარეულ სხვისა, გარდა ჩემის საკუთარისა და არცა ვისი რამ მმართებს და ესრეთ მიმდობელი ყოვლისა ამის ჩემის განკარგულებისა თვით სიტყუითა და თხოვნითა ჩემითა ვაწერინებ ანდერძსა ამას მოძღუარსა ჩემსა მღუდელს ეფრემს ალექსიევსა სრულისა ცნობასა შინა მყოფი და საკუთარითა ხელითა ჩემითა ვაწერ ხელს“.** ანდერძს ამოწმებს თავადი, პორუჩიკი ალექსანდრე ორბელიანი, თავადი დავით ბარათაშვილი და ქართლის საეკლესიო მამულების გამგე, მღვდელ-მონაზონი პორფირი (სულხანიშვილი). ამ წერილიდან ორი კვირის შემდეგ, 1829 წლის 12 იანვარს, არქიმანდრიტი ნეოფიტე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ აღესრულა. მისი დანატოვარი ქონება, შესამოსელი, წიგნები და სხვა საეკლესიო ნივთები ინახებოდა სოფ. კარალეთში, თავად თორნიკე ერისთავის სასახლეში. ისინი აღწერილ იქნა 1829 წლის 19 აგვისტოს, რის შემდეგაც ისინი საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ ჩაიბარა.

არქიმანდრიტ ნეოფიტეს ქონების სია, რომელიც თავად თორნიკეს ერისთავის სახლში დარჩა: 1) შავი შალის მაზარა, ერთი ომოფორი ღილებით და ბრუზუმენტით; 2) სამღვდელმთავრო ბისონი ღილებით და ბრუზუმენტით; 3) სამღუდელო ფილონი, შახი ხავერდისა ბრუზუმენტით; 4) სტიხარი დარჩისა არშიით; 5) მეორე სტიხარი შავი ვალნეის ბრუზუმენტის არშიით; 6) ოლარი ფარჩისა ბრუზუმენტით; 7) ნაკერი სარტყელი ვერცხლისა ბალტებით; 8) მეორე ნაკერი სარტყელი რკინის ბალტებით; 9) ოლარი შავი ხავერდის ძველი; 10) შტოფის ნაჭერი ცისფერი ერთი ადლისა ტოლი; 11) ენქერი ხირმით ნაკერი; 12) მეორე ენქერი ფარჩისა; 13) კიდევ მწვანე ენქერი ნაკერი; 14) კიდევ შავი ენქერი ნაკერი; 15) სასარტყელე უბრალო ნაქსოვი; 16) ერთი წყვილი წითელი ხავერდის ნაკერი საბუხრენი; 17) თეთრი ხელსახოცი არშიით; 18) მეორე ნაკერი ხელსახოცი; 19) კიდევ თეთრი ხელსახოცი; 20) კიდევ ერთი წყვილი ნაქსოვი საბუხრენი; 21) ერთი წყვილი შავ ხავერდის საბუხრენი; 22) კიდევ ერთი წყვილი ნაკერი თეთრის ფარჩაზედ საბუხარი; 23) ერთი წყვილი კიდევ წითელი ფარჩზედ ნაკერი საბუხარი; 24) ყალბი არშია თეთრი შვიდი ადლი; 25) ერთი ყალან ჭრის საბნის პირი; 26) ნაჭერი შტოფი ცისფერი; 27) ერთი ფინიკ-

საპატრიარქოს ხუცესი

ისტორიის ფურცელი

არქიმანდრიტი ნეოფიტე (ხუბულური) XVIII ს-ის 40-იანი წლები — 1829

არქიმანდრიტი ნეოფიტე ხუბულური XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართლის სამეფოში, სოფ. არდისში ეთნიკურად ოსი გლეხის ოჯახში დაიბადა. იყო მედუჯის ხეობიდან და ეკუთვნოდა ქსნის ერისთავებს: გიორგი, შანშე და თორნიკე ერისთავებს. ჰყავდა ერთი ძმა, ერისკაცი, რომლის სახელი არ შემორჩა. იოანე ბატონიშვილი მის შესახებ წერდა: **„ესე ნეოფიტე ოს-ყოფილი აღზარდა ყრმა მთავარეპისკოპოსმან წერილთა შინა და მერე მიიღო რიცხვთა ბერებთასა ანტონი კათოლიკოზმან. ესე არს შესადარი ზემოხსენებულის ტრიფილესი, ვითარცა მოჟამნობითა, ეგრეთვე ეკლესიის წერილთა წარკითხვითა, მწერლობითაცა ქებული და მონაზონებითაც სრული. ამან მიიღო მეორე ანტონი კათოლიკოზისაგან არქიმანდრიტობა და აწ მსახურებს მას და სცხოვრობს მის თანა განუშორებლად“.**

ნეოფიტე, რომ ანტონ I კათოლიკოსის მოწაფეა, ჩანს ერთ-ერთი ხელნაწერიდანაც, რომელიც 1825 წელს დავით თუმანიშვილმა გადაწერა. ეს არის ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობა“, სადაც არის შენიშვნა: **„მოწაფისა მისისა ნეოფიტე მღუდელ-მონოზონის თქმული, რომელი იყო ოსყოფილი“ — „ნაწილთა შვიდთა შემპყრობავი წიგნი ესე, ესფერ უდარესად არს დატვიფრულ ხელითა...“.**

არქიმანდრიტი ნეოფიტე იყო კალიგრაფიც. ჩვენამდე მოღწეულია მისი რამდენიმე ხელნაწერი:

1766 წელს მისი გადაწერილი მიხითარ სებასტიელის „რიტორიკა“, რომელსაც აქვს შენიშვნა და ანდერძი. შენიშვნაში ვკითხულობთ: **„მიხითარ ყ-დ ბრძნისა მოძღურისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა სარგებელად ყრმათა სკოლის შინათა, ქართულსა ხმასა ზედა გარდამოღებით შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა...“.** ანდერძი: **„წელსა 1766, თუესა მაისსა 27, კზ, ნეოფიტეს მიერ იეროდიაკონისა“.**

1782 წელს გადაწერილ „ქილილა და დამანაზე“ არის გადამწერის ანდერძი: **„სრულ იქმნა წიგნი ესე, რომელ არს ქილილა და დამანა ქალაქსა ტფილისს ხელითა ყოვლად უღირსისა იეროდიაკონის ნეოფიტესითა განხორციელებითგან სიტყვისა ღვთისა ჩღპბ, თვესა ოკდომბერსა 18, ქართულსა ქორონიკონსა უო“.**

1794 წლის 3 აგვისტოს გადაწერილ კრებულზე არის შენიშვნა:**„ქ. რომელთაც ხელ-ყოთ კითხვათ, ნეოფიტეს შენდობა უბრძანეთ“.**

1795 წელს გადაწერილ „გვირგვინზე“ არის შემდეგი სახის გადამწერის ორი ანდერძი: 1) **„ღმერთო, ყოვლისა კეთილის მიზეზო! ღვთივ სულიერისა ამის წიგნისა შინა წერილთა წმიდათა შენთა მადლითა შეიწყალე სული მონისა შენისა. აღიწერა მრავალმთის უდდაბნოსა გარესჯისასა, მონასტერსა წმიდის იოვანე ნათლისმცემლისასა და იოვანე მღვთის მეტყველისასა. წელსა განხორციელებითგან სიტყვისა ჩღჟე, თვესა ივლისსა იდ, ქორონიკონსა უპზ“**; 2) **„ორმეოცნო მოწამენო, შემიწყალეთ მე, ცოდვილი ნეოფიტე ამინ“.**

1801 წელს გადაწერილ „საგალობელ-საკითხავთა კრებულზე“ გვხვდება ორი ანდერძი: 1) **„წმიდანო ორმეოცნო! მეოხ მეყვენით ცოდვილს მღვდელ-მონაზონს ნეოფიტეს. ქორონიკონს აქეთ ჩყა“**; 2) **„წმიდაო მამაო ზოსიმე! მეოხ მეყავ მე, ცოდვილსა ნეოფიტეს“.**

როგორც ხელნაწერებზე არსებული მინაწერებით ირკვევა, 1766 წლის 27 მაისსა და 1782 წლის 18 ოქტომბერს მამა ნეოფიტე ბერ-დიაკვნის ხარისხშია, ხოლო 1795 წლის 14 ივლისსა და 1801 წელს უკვე მღვდელ-მონაზონია. პლ. იოსელიანის ცნობით, არქიმანდრიტი ნეოფიტე სვეტიცხოვლის ღვთისმშობლის დაუჯდომელის სახ. ეკვდერის წინამძღვარი იყო.

1801 წელს საქართველოში დამყარდა რუსული მმართველობა. ისინი შეეცადნენ თავისი ძალაუფლება ეკლესიაზეც დაემყარებინათ, ნელ-ნელა ავიწროებდნენ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს და ერეოდნენ მის საშინაო საქმიანობაში. საეკლესიო შემოსავლების დადგენის მიზნით, 1810 წლის 2 ივლისს საქართველოს მთავარმართებელმა ალექსანდრე ტორმასოვმა საკითხის გარკვევა საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორ პლახოტინს დაავალა, რომელმაც თავისი მოხსენება რამდენიმე პუნქტად ჩამოაყალიბა. მან დაადგინა ანტონ II-ის მიერ სხვადასხვა ადამიანზე გაჩუქებული უძრავი და მოძრავი ქონება და მფლობელი, ასევე, თითქოს კათოლიკოსი ქრთამებს იღებდა საეკლესიო ჯილდოების ხარჯზე. ეს ჩამონათვალი 63 პუნქტისგან შედგება, რომელშიაც 56-ე მამა ნეოფიტეს ეხება: **„Монаха Неофита произвель вь архимандриты, и изь креста Всемилостивейше пожалованнаго предместнику его, бывшему католикосу Антонию, винуль каменья; часть изь онаго подариль племянику своему Цицианову, а некоторые заложиль разнаго звания людямь, крестже тоть отдаль монаху тому Неофиту“.**

უცხოეთის ქრონიკა

მართლმადიდებლური წირვა ტრონჰეიმში

2021 წლის გაზაფხულზე ნორვეგიის ქალაქ ტრონჰეიმში ისტორიული მოვლენა აღესრულა - საუკუნეების შემდეგ ჩატარდა პირველი მართლმადიდებლური ღვთისმსახურება სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ნორვეგიის ძველ დედაქალაქ ნიდაროსში (ამჟამინდელი - ტრონჰეიმი) წმინდა კლიმენტი რომაელის სახელობის პირველი ქრისტიანული ტაძარი იდგა, ტაძრის საკურთხეველში კი დაკრძალული იყო „ნორვეგიის მარადიული მეფე" ოლაფ ჰარალდსონი - ნორვეგიის ეროვნული გმირი, ქვეყნის გამაერთიანებელი და მეოხი. სწორედ წმინდა ოლაფის სახელთან არის დაკავშირებული თავის დროზე ნორვეგიის გაქრისტიანება. ამავე დროს, იგი მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა საერთო წმინდანია და ეკლესია მას 29 ივლისს იხსენებს. ისტორიული წყაროების თანახმად, ტაძარი თავად წმინდა მეფემ სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე ააგო.

მოგვიანებით, მე-14 საუკუნეში, ტაძარი დაინგრა, მალე კი მთლიანად მიწით დაიფარა და მიივიწყეს.

2016 წელს ტაძრის ადგილას ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუტის არქეოლოგებმა ხის ეკლესიის ქვის საძირკველს მიაგნეს. მეცნიერთა აზრით, სწორედ ესაა წმინდა კლემენტის სახელობის ეკლესია. მათ მიერ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, ტაძარი სწორედ წმინდა ოლაფის მეფობის პერიოდში აიგო. გათხრებისას მეცნიერებმა ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში მართკუთხა ფორმის ქვის პლატფორმას მიაკვლიეს. სავარაუდოდ, ეს არის ის საკურთხეველი, სადაც 1031 წელს წმინდა ოლაფის წმინდა ნაწილები დაასვენეს, მოგვიანებით კი სხვა ტაძარში გადააბრძანეს.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ადგილას მართლმადიდებლური ღვთისმსახურება თითქმის ათასი წელია არ აღსრულებულა. წირვა სამ ენაზე ჩატარდა: სლავურად, ნორვეგიულად და ბერძნულად.

ღვთისმსახურების დროს შუასაუკუნეების ქვის ტახტზე საგანგებო სანაწილით დააბრძანეს წმინდა მეფე ოლაფ ჰარალდსონის წმინდა ნაწილები, რომლებიც წმინდანის სახელობის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2014 წელს გადაეცა ნორვეგიელ მორწმუნეებს.

ლიტურგიის დასასრულს ტაძრის მუზეუმის შესასვლელთან იკურთხა ბარელიეფი წმინდა კლიმენტი რომაელის გამოსახულებით.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

მღვდელ-მონაზონი სერაპიონი (ლომიძე)

1789-1851

1851 წლის 18 ივლისს, ლეკების მიერ, დავით გარეჯის ლავრის დარბევისა და საძმოს წევრების მოწამეობრივად აღსრულების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისინი წმიდათა დასში შეიყვანა. ზუსტად უცნობია, რომელ წელს და რომელ კრებაზე მოხდა მათი განდიდება. 1928-1929, 1945 და 1946 წელს გამოცემულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საეკლესიო კალენდარში ისინი არ არიან შეტანილი, ხოლო 1947 წელს კი უკვე გვხვდება მათი ხსენება. ჩვენი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1946 წლის საეკლესიო კრებაზე, რაც გამოკვლევას საჭიროებს, რა თქმა უნდა, თუ შემორჩენილია ამ კრების ოქმები. ათეისტური რეჟიმის დროს, როდესაც იდევნებოდა ეკლესია, როგორც ჩანს, ვერ მოხერხდა ძირფესვიანად ყველა დეტალის გამოკვლევა, კერძოდ, მოწამეობრივად აღსრულებული მამების გვარებისა და სასულიერო ხარისხების დადგენა, ვინ მორჩილი იყო, ვინ მღვდელ-მონაზონი, ვინ ბერ-დიაკონი და ვინ მონასტერში სასწავლებლად მიბარებული მოწაფე.

საქართველოს ეროვნულ არქივსა და კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში რამდენიმეწლიანი კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა მოწამეობრივად აღსრულებული ყველა პირის სახელი, გვარი, სასულიერო წოდება. კვლევა-ძიების შედეგად ასევე დადგინდა შვიდივე მოწამის საერო სახელები, გვარები და სასულიერო ხარისხი. ამჟამად უკვე მზადაა მათი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი სრული მონაცემები, რომელთაც ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ.

ნაკვეთი I

წმინდა მღვდელმოწამე, მღვდელ-მონაზონი სერაპიონი, ერისკაცობაში სიმონ ლომიძე 1789 წელს იმერეთის სამეფოში, სოფ. საყულიაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. ადრეული ასაკიდან ისწავლა წერა-კითხვა, წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი. დაოჯახების შემდეგ, 1812 წელს ქუთათელი მიტროპოლიტ დოსითეოსის (წერეთელი) ლოცვა-კურთხევით, ნიქოზელმა ეპისკოპოსმა ათანასემ (მაჭავარიანი) დიაკვნად აკურთხა. 1814 წელს,

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, გაუჩნდა სურვილი ბერად შედგომისა და ამ მიზნით იმავე წელს აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა. ცხოვრობდა დავით გარეჯის მონასტერში, არქიმანდრიტ ილარიონის (ვაჩნაძე) ლოცვა-კურთხევით. 1821 წელს, ავადმყოფობის გამო, სოფ. საგარეჯოში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც პერიოდულად ადგილობრივ მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახ. ტაძარში ესწრებოდა წირვა-ლოცვას. ასე განვლო რამდენიმე წელიწადმა. ამასობაში, როგორც ჩანს, დიაკონ სიმონის უშტატოდ ყოფნის ამბავი საქართველოს ეგზარქოს იონას (ვასილევსკი) ყურამდე მივიდა და 1825 წლის 14 აპრილს ვითარების გასარკვევად საგარეჯოს ოლქის მთავარხუცესს მისი თბილისში გაგზავნა მოსთხოვა. 1825 წლის 19 აპრილს თელავის მაზრის, საგარეჯოს მთავარხუცესი მღვდელი დავით ქიტაშვილი ეგზარქოს იონას სწერდა: **„მივიღე უპატივცემულესი თქვენის მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობისა ორდერი იდ აპრილიდგან, #341, რომლითაცა მიბრძანებთ წარმოგზავნასა თქვენის მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობისადმი რაპორტითა საგარეჯოს მყოფის იმერელის სიმონ დიაკონისას. ბრძანებისამებრ თქვენის მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობისა წარმოიგზავნა ამა რაპორტისათანა“.**

თბილისში ჩასული დიაკონი სიმონი ეგზარქოსთან გამოცხადდა. მან კი, თავის მხრივ, საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორას დაავალა გამოეძიებინათ და შეესწავლათ მისი წარსული, თუ საიდან იყო წარმოშობით, ვის მიერ ეკურთხა, გარეჯში რამდენ ხანს იმსახურა და საგარეჯოში საიდან მოხვდა. შეგროვილი მასალებიდან სასინოდო კანტორამ შემდეგი მოხსენება წარუდგინა ეგზარქოსს: **„რომელ იგი დიაკონად მყოფი გადმოვიდა იმერეთიდგან საქართველოს ჩყიდ წელსა თვინიერ ნებართვისა და წერილობითისა სახისა იქაურის სასულიეროს მთავრობისაგან, და ჰსცხოვრებდა სოფელ საგარეჯოს ორს წელს ბერებთან დავით გარესჯის უდაბნოსათა; რომლისაცა შემდგომად საკუთარისა წადილისამებრ მისისა და თხოვნისა, იყო იგი შეყვანილ აღნიშნულს დავით გარესჯის უდაბნოში, ყოფილის წინამძღვრის მისის არხიმანდრიტის ილარიონის მიერ იმედითა აღჰკვეცისათა ბერად, სადაცა იმყოფებოდა მორჩილად სამს წლამდისინ; ჟამსა მიღებისა ამა უდაბნოსასა დროებითა განმგებელის არხიმანდრიტის ვიტალიოსის მიერ, რომელიცა აწ იმყოფება რუსეთს, გამოართო მან მას, რასაცა შინა ჯერ იყო ჩვენებაი, და გაუგზავნა იგი მიწერილობასთანა თვისსა იმერეთის განსვენებულს მიტროპოლიტს დოსითეოსს ქუთათელს და თუ ვითარი მიიღო მან არხიმანდრიტმა ვიტალიოსმა მისგან პასუხი მას ამასთანა ნამდვილს თარგმნითურთ რუსულსა ენასა ზედა წარმოადგენს.**

შობიდგან დიაკონი იგი არის ლვ წლისა, ქვრივია, ჰყავს ერთი შვილი — ვასილი, იგ წლისა, რომელიცა ჰსცხოვრებს იმერეთის სოფელსა საყულიას,



დავითგარეჯის ლავრის ეზო და მონამეთა ნამების ადგილზე აღმართული ძეგლი

ბიძაშვილებთან მისთა; დიაკონად ხელდასხმულ არს კურთხევითა ჰხსენებულის ქუთათელის განსვენებულის მიტროპოლიტის დოსითეოსისათა განსუენებულის ნიქოზლის ეპისკოპოსის ათანასეს მიერ ჩყიბ წელსა მთავარანგელოსის ეკლესიისადმი, მდგომარისა აღნიშნულსა მათს სოფელსა შინა საყულიას; სოფელსა საგარეჯოს ჰსცხოვრებს თერთმეტი წელიწადია, ასრულებს ხანდახან თანამდებობასა დიაკონობისასა საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესიაში მიპატიჟებითა სამღვდელო მსახურთა მისთათა; განწესებისათვის თვისისა ადგილზედ საქართუელოს შინა სნეულებისა გამო ავადმყოფობისასა, რომელიცა ახლაც ჰსჭირს, მას არაოდეს არ უთხოვნია და არც ვისმე განუწესებია სადმე“. წერილის ქვევით არის ხელმოწერა — **„ამ ჩვენებაზედ ხელს ვაწერ დიაკონი სიმონ ლომიძე“.**

როგორც ზემოთ აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ, 1818 წელს არქიმანდრიტ ვიტალის ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსისთვის (წერეთელი) უთხოვია გამოეგზავნა დამადასტურებელი ცნობა, რომ დიაკონი სიმონ ლომიძე მართლა მისი ლოცვა-კურთხევით იყო ხელდასხმული. მართლაც, 1818 წლის 22 მაისს მიტროპოლიტი დოსითეოსი აგზავნის შესაბამის ბეჭდიან დოკუმენტს, სადაც ვკითხულობთ: **„მაღალ ღირსო, სულითა ძმაო არხიმანდრიტო უფალო იტალიოსს, მოწყალეო ხელმწიფე — თქვენს მიერითა საღთოთა სიყუარულითა მოვიკითხავ მაღალ პატიოსნებასა თქუენსა და ურთიერთარს ამბორებას მიგიძღუანებ მოსურნე მშვიდობისა თქუენისა. მაღალ ღირსების თქუენისა პატივსაცე-**



დავითგარეჯის ლავრა

მი წერილი მებოძა. და რაიცა გებრძანა ყოველივე ვსცან. და მაქუს პატივ მოხსენებად თქუენდა უმწვერვალესისა საღთოისა სიყუარულისა გამო, ვიდაგან ამიერ განკუთვნილ ვიქმენ მეგობრად. და მეგობარსა ექმნების სურვილი ყოველსა ზეანთებულსა მეგობრობისასა. და აწ ამისთვისვე ვსთხოვ მეცნიერებით განათლებულს გონებასა თქუენსა, რათამცა გახსოვდე და გეგულვებოდე ვითარცა თანა ძმა და მეგობარი და რაიცა გენებოს ქუეყანის ამის მაუწყებდდე მე კმად და აღსავსედ სიყუარულისად მივიღებ: სხუა რომელიც ჩუენი სამწყსო დიაკონის ლომიძის სვიმეონის საქმე გებრძანათ. რადგან მაგას სურის მონასტერსა შინა მყოფობა. ჩვენც შენდობა და დასტური მოგვირთმევია, რომელიც ჩვენის წერილით მთავარ დიაკონად ვაკურთხებინე გარდაცუალებულს ყ-დ სამღვდელოს ნიქოზელს და ამიერიდგან ვითარცა გენებოსთ ეგრეთ ამყოფეთ. ვიდრემდის იმყოფებოდა აქ ჩუენთა სამღუდელოთა და ეკლესიასა სიმართლით მსახურებდა და სოფლის მაგის სამღუდელონი და საერონი მადრიელნი არიან, და აწ თქუენი მაღალ ღირსების საფარველს ქუეშ იმყოფება და თქვენთვის შემომივედრებია — სხუებ ვეგები მე თქუენდამი მაღალ პატივისცემით და ძმებრითა სიყუარულითა".

აქ მისი საქმის ძიება წყდება. როგორც შემდგომ წარმოებული საბუთებიდან ირკვევა, 1825 წელს მას ნება დართეს ეცხოვრა ისევ სოფ. საგარეჯოში და უწინდებურად ემსახურა პეტრე-პავლეს ტაძარში უშტატოდ, როდესაც დაუძახებდნენ იქაური მოძღვრები.

1830 წლის 3 ივნისიდან საქართველოს ეგზარქოს იონას (ვასილევსკი) ლოცვა-კურთხევით დიაკონი სიმონი ისევ დავით გარეჯის ლავრაში განამწესეს, სადაც ცამეტი წელიწადი ერთგულად და მორჩილებით იმსახურა და თავისი თავმდაბლური სამსახურით საძმოს სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. 1843 წლის 4 ნოემბერს დავით გარეჯის ლავრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა იოანემ (ავალიანი) თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარქოს ევგენის (ბაჟენოვი) დიაკონ სიმონის ბერად აღკვეცისა და მღვდლად ხელდასხმის თაობაზე. თავის მხრივ, იმავე წლის 25 ნოემბერს, ეგზარქოსმა ევგენიმ საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორას შემდეგი წერილი მისწერა: **„დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოანე, 4 ნოემბრის წერილით მთხოვს, რომ ყოფილი ეგზარქოსის მიტროპოლიტ იონას მიერ ჩემდამო რწმუნებულ მონასტერში გამწესებული ქვრივი დიაკონი სიმონი იღებს ბერდიაკვნის ჯამაგირს და ემსახურება მონასტერს. გთხოვთ, დაგვრთოთ ნება მის ბერად აღკვეცაზე და მღვდლად ხელდასხმაზე. იგი ღირსია ამ ხარისხისა თავისი კეთილსინდისიერი საქციელიდან გამომდინარე. წლების მანძილზე იგი ერთგულად ასრულებს წინამძღვრის დავალებებს და საბერო მორჩილებას გადის თავმდაბლურად და უდრტვინველად. გთხოვთ დაასხათ მღვდლად ხელი და დაინიშნოს თავისუფალი მღვდელ-მონაზვნის შტატშიო".** იქვე ეგზარქოსი წარმოადგენს დიაკონ სიმონის მცირე ბიოგრაფიულ მონაცემებს და სთხოვს კანტორას განიხილოს აღნიშნული საკითხი. 1843 წლის 13 დეკემბერს სასინოდო კანტორამ იმსჯელა და თანხმობა განაცხადა. 1843 წლის 27 დეკემბერს არქიმანდრიტმა იოანემ იგი ბერად აღკვეცა და სახელად სეპარიონი უწოდა. 1844 წლის 4 იანვარს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ევგენიმ (ბაჟანოვი) მღვდლად დაასხა ხელი.

მღვდელ-მონაზონი სეპარიონი 1851 წლის 18 ივლისს ლეკების მიერ დავით გარეჯის ლავრის აკლების დროს მონამეობრივად აღესრულა. იმ დროს, როდესაც ეს ამბავი მოხდა, მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოანე (ავალიანი) თბილისში იმყოფებოდა. შემდგომში, ადგილზე ჩასულმა ცოცხლად დარჩენილი მონასტრის წევრებისგან მოისმინა დარბევის ისტორია და 1851 წლის 25 ივლისს სინოდალურ კანტორას ოფიციალური წერილი წარუდგინა: **„1851 წლის 18 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მონასტრის ერთ-ერთმა მოსწავლე ილია მჭედლიშვილმა ეზოში დაინახა რამდენიმე ადამიანი, შევიდა მონასტერში და მოახსენა, რომ იქ იდგნენ უცხო ადამიანები, რის გამოც მაშინვე ჩაკეტეს დიდი კარები. შეკითხვაზე, თუ ვინ იყვნენ, ლეკებმა უპასუხეს რომ უნდოდათ წყლის დალევა. მონასტრის ხაზინადარმა გადააწოდა მათ წყალი დასალევად. ამავდროულად, აღმოსავლეთი მხრიდან ლეკები მოადგნენ ერთ-ერთ კარებს, შეშინებული ხაზინადარი შევარდა თავის კელიაში. ერთ-ერთმა მოწაფემ აიღო იარაღი თავის დასაცავად, მაგრამ ლეკებმა სწრაფად დაჭრეს ის ფეხში, და ამის შემდეგ შეამტვრიეს ორივე კარი. ამ დროს მონასტერში იმყოფებოდნენ 9 მონასტრის წევრი და 7 მოსწავლე. აქედან ორი მოსწავლე - ალექსი ყანდარელი და გიორგი დალბაშვილი წასული იყვნენ წყლის მოსატანად, და როგორც კი დაინახეს ესეთი ამბავი, მაშინვე გაიქცნენ მაშველის დასაძახებლად ნათლისმცემლის მონასტერში. ორმა მოწაფემ — საბა გილაშვილმა და ილია მჭედ-**

ლიშვილმა მოასწრეს კიბის ქვეშ არსებულ ორმოში დამალვა, ხოლო დავით დოლმაზაშვილმა მოასწრო დამალვა დიდ ეკლესიაში. ტყვედ აიყვანეს: ხაზინადარი მღვდელ-მონაზონი მაკარი, მღვდელ-მონაზონი ისააკი (დოღონაძე), დიაკვანი საბა გველესიანი, მიხეილ დოლმაზაშვილი, ვასილ მოსიაშვილი, ხოლო დანარჩენი — მღვდელ-მონაზონი სერაპიონი (ლომიძე), მღვდელ-მონაზონი გერასიმე (გერონტი ვაჩნაძე), ბერი გერმანე, მორჩილი ოთარ ელიოზიშვილი, ანაფორიანი მორჩილი ბესარიონი, მიხეილ ქართველიშვილი და მოსწავლე სვიმონ ლომიძე დახოცეს. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კარები შეამტვრიეს, ტრაპეზის მორთულობა, საეკლესიო შესამოსელი და ტაძრის ინვენტარი დაიტაცეს. აღსავლის კარები დაამტვრიეს".

ჩვენამდე მოღწეულია გარეჯელი მოწამეების „მარტვილობის" ორი რედაქცია, ერთი აღწერილია უშუალო მომსწრე მღვდელ-მონაზონ ისააკის (დოღონაძე) მიერ, 1853 წელს, გელათის მონასტერში და მეორე მორჩილ სპირიდონ გძელიშვილის, რომელიც შემდგომში მღვდელ-მონაზონი სვიმონი გახდა და გარეჯის ლავრაში მოღვაწეობდა. მან ეს წამება 1862-1873 წლებში შეადგინა, რადგან იგი გარეჯში 1862 წლის 7 ივლისს მიიღეს მორჩილად და იქ 1873 წლის 9 აგვისტომდე დაჰყო.

მღვდელ-მონაზონი ისააკი მამა სერაპიონის წამებას ასე აღწერს: **„სერაპიონ იერომონახსა უხეთქეს მახვილი თავსა და აღესრულა"**; მორჩილი სპირიდონ გძელიშვილი კი სწერს: **„ეგრეთვე შეიპყრეს მამა მღუდელ-მონაზონი სერაპიონ, დაუხეთქნეს მახვილითა ორპირითა თავი და გარამოსწვეთდა სისხლი, ვითარცა ღვარი ნაპრალისა და იღებებოდა სპეტაკი თმა თავისა და წვერი მისი და იქსოებოდა პორფირი მეწამული მისთვის".**

ქართველი ისტორიკოსი პლ. იოსელიანი თავის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა" გადმოგვცემს გარეჯში მღვდელ-მონაზონ სერაპიონთან შეხვედრის ამბავს და იხსენებს მის მოყოლილ ისტორიას, რომ თითქოსდა იგი იცნობდა მეფე გიორგი XII-ს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ამ მონათხრობში ცნობილი ისტორიკოსი ცდება (მას ამ ნაშრომში სხვა შეცდომებიც ბევრი აქვს — გ.მ.) და ჩვენი აზრით, ზუსტად არ ახსოვს ვინ მოუყვა ეს ამბავი, ან მამა სერაპიონმა მას ერთ-ერთი ძველი გარეჯელი ბერის გადმოცემული ისტორია მოუყვა და პლატონ იოსელიანმა იფიქრა, რომ იგი თავის თავზე უყვებოდა მას. აი, რას ვკითხულობთ მის წიგნში: სოფრონისა თანა მყოფმან (იგულისხმება, იმ დროს გარეჯის მონასტერში სასჯელის ქვეშ მყოფი ყოფილი შუამთის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი სოფრონი ერისთავი — გ.მ.), დროსა ამბავისა ამის მოთხრობისა, ბერმან სერაპიონ (მოკლული ლეკთაგან 1855 წელსა მონასტერსა, აქ ისტორიკოსს წელიც ეშლება — გ.მ.) დავით გარესჯის უდაბნოსა, კაცმან მცოდნემან ძველისა და ახლისა ფილოსოფიისაცა დაუმატა ესე: **„მე ვიყავ 18 წლისაო ჯერეთ მორ-**

გარეჯელი მოწამეები

ჩილად, ოდეს მობრძანდა დავით გარესჯას დიდისა ამალითა და ინება, რათა სატრაპეზოსა სადილსა ჟამსა წარეკითხათ ექვსთა დღისა რაიმე. წინამძღვარმან მიბრძანა გამორჩევა წიგნიდამ ვითარცა მე თვით დავინახავდი ღირსად, რათა მოესმინა მეფესა. აღვედ მკითხველთა სადგურსა და წარვიკითხე სრულად მეცხრე სწავლა ვასილისა დაბადებისათვის ქვეყნისა ცხოველთა და თვით კაცისა. ოდეს დავასრულებდი კითხვასა, შევსცვალე ხმა ჩემი და ვიტყოდი წიგნისა ამის დასასრულსა ამას: „ესრეთ მწუხრი ესე და დრო მზისა დასვლისა გვიბრძანებს დუმილსა. შევსდგეთ და მივცეთ შესვენებასა საუბარი ჩვენი... წარვედით აწ სიხარულითა, აქა შეკრებილნო, მეგობარნო ქრისტესნო, და ნაცვლად საზრდოთა მდიდართა, და საჭმელთა მრავალგვართა, განაშვენეთ და განწმინდეთ ტრაპეზი თქვენი სიტყვათა ჩემთა მოხსენებითა". ესე იყო ვგონებო, 1794 წელსა, წინათ აღა-მაჰმად-ხანისაგან თფილისის აოხრებისა, დღესა ხუთშაბათსა, დღესასწაულსა თვით დავით გარესჯელისსა ამაღლებისა სწორსა. მეორესა დღესა შემდგომად წირვისა დილითისა და პარაკლისისა გამოეთხოვა ძმათა და წარვიდა მტკვრისა გზით ბორჩალოსა და თანა უძღოდენ ყაზახისა და ბორჩალოსა თათარნი.

პირველი იყო ჩემგან მეფის ძისა ნახვაო და ჭეშმარიტად ვიტყვი, დღემდე მომხსენებელი მისი, ვეკვირვები მისსა ღრმად სწავლასა სამღთოთა წიგნთა შინა, წმიდათა მამათა წერილთა დახელოვნებასა მისსა, ბრძნად მსჯელსა, ტკბილად და რიტორულებ მოუბარსა, ნამდვილ მეფესა, ტანითა ახოვანითა, ჭკუითა, ზრდილობითა, მოთმინებითა, აუჩქარებლობითა, დიდსა მორწმუნესა, ქრისტეს ეკკლესიისა მოყვარესა და ვიტყვი მონაზონთათვის მაგალითსა.

კითხვა ჩემი დიდად მოეწონა მეფესაო; — გამომკითხა ვინაობა ჩემი, სადაობა, წელი ცხოვრე-

ბისა და წელი უდაბნოსა შინა შესვლისა. ერთისა კვირის შემდეგ შემაყენეს ბერად; მიკურთხეს ჩოხაო და მიწოდეს სახელად ნაცვლად სვიმონისა სერაპიონი. სახელი წინამძღვრისა ჩემისაო, რომელმანცა მაღალითა სიწმინდითა განატარა ქვეყნიერი ესე ცხოვრებისა სარბიელი“, — ასე სრულდება ეს ისტორია, რაც არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან არსებობს მღვდელ-მონაზონ სერაპიონის რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი, მისივე ხელით დაწერილი, სადაც ის წერს, რომ დაიბადა 1789 წელს და გარეჯში მივიდა 1814 წელს, ასე რომ, 1794 წელს იგი ვერანაირად ვერ იქნებოდა მონასტერში და ვერც მეფე გიორგის იხილავდა.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №1354; საქმე №3540; საქმე №3837; საქმე №13369; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №8706; საქმე №14131.

ლიტ: იოსელიანი პლ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ქ. თბილისი, 1978წ., გვ. 131-132; თ. ჯოჯუა „1851 წელს მოწყვედილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ გელათური და გარეჯული რედაქციები“ (ჟურნალი „მრავალთავი“ ქ. თბილისი 2010წ., გვ. 134-151).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ მე-6 ნომერში გამცნეთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 1 აპრილს საპატრიარქოს ფონდ „გაამწვანე საქართველოს“ ორგანიზებით დაიწყო სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ეზოს გამწვანების მასშტაბური ღონისძიება. აღნიშნული პროექტი ფონდ „გაამწვანე საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის გოჩა არონიშიძის ხელმძღვანელობით და სხვადასხვა დარგის მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მონაწილეობით 4 წლის განმავლობაში მზადდებოდა და ხორციელდება იუნესკოს ნებართვით. პროექტის ავტორები არიან: გენრიეტა ლოლუა, ლიკა ქურციკიძე; კონსულტანტები: დეკანოზი ბესარიონ მენაბდე, შალვა ისაკაძე და ნიკოლოზ ზაზუნიშვილი. ტაძრის ეზოს გამწვანება რამდენიმე ეტაპად განხორციელდება.

20 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ეზოში ზეთისხილისა და უთხოვარის ხეები დარგო. მისმა უწმინდესობამ დალოცა პროექტის ავტორები, ორგანიზატორები, მხარდამჭერები და მონაწილეები.

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavananal@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ბაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ელასი ჯიბლაძე;
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ვანიშნებენ: „ანდრიაწმინდა“ და „ანდრიას წვერი“ მესხეთში, „ანდრიას გორა“ მარტყოფში და სხვ.

ქადაგების ადგილებში მოციქულს ჯვრები აღუმართავს.

კახეთში 7/20 მაისის დღესასწაულს ჯვარსა და წმინდა ანდრიას უკავშირებენ. გადმოცემით, ამ დღეს ამაღლდა ჯვარი და 7 (20) მაისსაც ამიტომ უწოდებენ ძელიცხოვლობას.

ქართლში 7/20 მაისს თხოთის ჯვრის დღეს და ნინოობას აღნიშნავენ; საქართველოს სამოციქულო ეკლესია ამ დღეს ასევე წმინდა იოანე ზედაზნელს და მის 12 მოწაფეს იხსენიებს.

როგორც ცნობილია, სწორედ 7/20 მაისს იერუსალიმში ჯვრის გამოჩინების დღეს წმინდა ნინოსა და პირველი ქრისტიანი მეფე მირიანის მიერ მცხეთის მოპირდაპირე მთაზე ჯვარი აღიმართა, რომელიც მცხეთის ჯვრის სახელითაა ცნობილი. სულთმოფენობის ოთხშაბათს კი ამ ჯვრის სასწაული აღესრულა. წყაროს მიხედვით, 7/20 მაისი იერუსალიმის ჯვრის გამოჩინების დღე სულთმოფენობის დღესასწაულის დღეებს დაემთხვა. მოგვიანებით მცხეთის ჯვრის დღესასწაული

საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ეროვნულ დღესასწაულად იქცა.

* * *

უძველესი დროიდან წმინდა ანდრია პირველწოდებული მიჩნეულია ასევე რუსეთისა და შოტლანდიის მფარველად. შოტლანდიაში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენებას 30 ნოემბერს აღნიშნავენ, როგორც სახალხო დღესასწაულს. XI საუკუნიდან X ფორმის წმინდა ანდრიას ჯვარი შოტლანდიის ნაციონალურ ემბლემადაა მიჩნეული. მისი გამოსახულებები იყო აღბეჭდილი შოტლანდიურ მონეტებზე, XV საუკუნიდან კი — შოტლანდიის დროშაზეც გამოსახეს.

გადმოცემის თანახმად წმინდა ანდრიას ბალკანელებისთვისაც უქადაგია.

ისტორიული წყაროების თანახმად, წმინდა ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის გეოგრაფია გადის შავიზღვისპირეთზე, კავკასიასა და უკრაინაზე, კერძოდ, — დნეპრის მთებზე, ბალკანეთსა და შოტლანდიაზე. ამგვარად, როგორც ჩანს, წმინდა მოციქულს ძირითადად მთიან რეგიონებში უხდებოდა მოღვაწეობა.

გადმოცემის მიხედვით, წმინდა ანდრიას საფლავიდან ზეციური მანანა და კეთილსურნელოვანი მირონი გადმოდიოდა.

ზოგიერთ ევროპელ ხალხში არსებობდა ასეთი ტრადიცია თუ ერთგვარი დაკვირვება: წმინდა ანდრიას ხსენების დღეს, 30 ნოემბერს/13 დეკემბერს ზამთარი დგებოდა, ხოლო წმინდა გიორგის დღესასწაულზე 23 აპრილს/6 მაისს კი გაზაფხული. ამიტომ ასე ამბობდნენ: „ანდრია ყინულს დგამს, გიორგი კი ამსხვრევსო.“

როდესაც კუნძულ როდოსზე პირველად გათოვდება, ბერძნები ამბობენ: „წმინდა ანდრიამ წვერი შეივერცხლაო“. საბერძნეთში წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენებას განსაკუთრებით ქ. პატრაში აღნიშნავენ. ამ ქალაქის მფარველად წმინდა ანდრია არის მიჩნეული, რადგან წმინდა მოციქული სწორედ პატრაში აღესრულა.

მოამზადა
მარიამ გაგუამ

ისტორიის ფურცელი

მღვდელ-მონაზონი გერასიმე (ბებურიშვილი-ვაჩნაძე) 1783-1851

მღვდელ-მონაზონი გერასიმე, ერისკაცობაში — გრიგოლ სვიმონის ძე ბებურიშვილი-ვაჩნაძე 1783 წელს კახეთში, სოფ. კარდენახში თავადის ოჯახში დაიბადა. 1822 წელს და სხვა წლებში შედგენილი ნამსახურებათა სიის მიხედვით დაიბადა 1789/1790 წელს, ხოლო დეკ. პ. კარბელაშვილის ცნობის მიხედვით — 1783 წელს.

იგი იყო უკანონო შვილი საქართველოს ეროვნული გმირის სვიმონ ბებურიშვილი-ვაჩნაძისა, რომელიც ღრმად მოხუცებული მოკლეს რუსებმა 1812 წლის თებერვალში, კახეთის აჯანყების დროს, ყარაღაჯის ციხის აღებისას. 1792 წელს პატარა გრიგოლი მამამისმა გაუგზავნა ბოდბელ მიტროპოლიტ იოანეს (მაყაშვილი) წმ. ნინოს სახ. მამათა მონასტერში გასაზრდელად. იმ პერიოდში ბოდბის მონასტერში ლოტბარობდა ჩინებული მგალობელი, მღვდელი საბა ათანელაშვილი (გარდ. 1833წ.), რომელიც თავის ძმისწულებს ლაზარე ათანელიშვილს და კიდევ სხვებს ქართულ საეკლესიო გალობას ასწავლიდა. პატარა გრიგოლმა გარედან ყურის გდებით მშვენივრად შეისწავლა გალობა სხვებზე უკეთესად.

საეკლესიო ისტორიის მკვლევარი, წმ. აღმსარებელი პოლიევქტოს კარბელაშვილი შემდეგნაირად გადმოგვცემს მომავალი წმინდანის აღზრდის ამბავს: **„იმ ხანებში რაღაც მონდობილებით გერონტი არხიმანდრიტი (სოლოღაშვილი, ერეკლე მეფის კარის მოძღვარი — გ.მ.) მივიდა იოანე ბოდბელთან და საყდრის სამხროში ყური მოჰკრა**

— პატარა გრიგოლი როგორ მშვენივრად ღიღინებდა თვითხმოვანს „ცისკარს მსთვად მოვიდა“. შინ შემოსრულმა არქიმანდრიტმა ნახა, რომ საბა მგალობელი თავის მოწაფეებს აგალობებდა სწორედ ამ საგალობელს („ცისკარს მსთვად მოვიდა“) და ძალიან უჭირდათ დასწავლა. სადილად დასხდნენ. არხიმანდრიტმა გერონტიმ იკითხა პატარა გრიგოლის ვინაობა და სთხოვა იოანე ბოდბელს, მოეყვანათ იგი. მოიყვანეს უნებურად. გერონტიმ უბრძანა — აბა, წეღან რომ გალობდი საყდართან, აქაც იგალობე, შვილო! პატარა გრიგოლმა თამამად დაიწყო და იგალობა შეუშლელად სრული „ცისკარს მსთვად“. თვით გერონტიმ ბანი მიაყოლა, საბამ მოძახილი. გაკვირდნენ იოანე ბოდბელი და საბა, გარედან ყურის გდებით ასე მალე როგორ დაისწავლაო. ბოდბელმა ერთი აბაზი აჩუქა და თავზე ხელი გადაუსვა წაქეზების ნიშნად. სწავლის დროს გერონტიმ ჰსთხოვა ბოდბელს — ეს ბავშვი მე მომეცით, წავიყვან და ჩემი სულის გულისთვის გავზრდიო. დათანხმდა ბოდბელი. გერონტიმ წამოიყვანა თან პატარა გრიგოლი ხუთექვს წელიწადში შეასწავლა მწერალ-მწიგნობრობა და გალობა. უკანასკნელი თავისთან დააბინავა დავით გარესჯის უდაბნოში და ბოლოს უკურთხა საბერო ჩოხა და თავისი სახელი (გერონტი) უწოდა“.

1822 წლის 9 თებერვალს დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილარიონი (ბებურიშვილი-ვაჩნაძე) საქართველოს ეგზარქოს იონას (ვასილევსკი) უგზავნის დავით გარეჯის უდაბნოს საძმოს წევრების მოკლე ნამსახურებათა სიებს, სადაც მომავალი წმინდანის შესახებ ვკითხულობთ: **„იერო დიაკონი გერონტი; კახეთის ქუეყანისა; ერისკაცთაგანი; კითხვა იცის და წერა, და კანონნი ღრამმატიკისა და რიტორებისანი უსწავლიეს; შემოსრულ არს უდაბნოსა შინა სასოებითა აღკვეცისათა 1791-ს წელსა, ანაფორა შეუმოსიეს არხიმანდრიტის ილარიონისაგან 1802 წელსა და ამავე წელსა ხელდასხმულ არს დიაკონად ყ-დ სამღვდელო იოანე ბოდბელისაგან; 32 წლის; კეთილ შემძლებელ არს სამსახურისა“.**

შემდგომი წლების საბუთებში დაზუსტებულია მისი მცირე სქემაში აღკვეცისა და დიაკვნად კურთხევის რიცხვებიც. 1802 წლის 6 ივნისს მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ილარიონმა (ბებურიშვილი-ვაჩნაძე) ანაფორა და კამილავკა უკურთხა და თავის მოძღვრის საპატივცემულოდ სახელად გერონტი უწოდა. იმავე წლის 2 ივლისს ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ (მაყაშვილი) დიაკვნად აკურთხა. თუ რატომ მოხდა მისი გვიან ხელდასხმა, ამ საკითხზე კვლავ დეკ. პ. კარბელაშვილს მოვუსმინოთ: **„თუმცა ბერობაზედ გული არ მისწევდა: მთელი ოცი წელიწადი უარს ამბობდა. ხან მკლავს აიტკიებდა, ხან ფეხს...“.** როგორც ვხედავთ, მას თავად არ სურდა მღვდლის ხარისხის მიღება და მთელი 30 წლის მანძილზე სხვადასხვა მიზეზებით ირიდებდა ხელდასხმას. თუმცა, საბოლოოდ მაინც დათანხმდა.

გარეჯელი მონამეები

1832 წლის 6 ივნისს მღვდელ-მონაზონმა თეოფანემ (მაჩაბელი) ბერ-დიაკონი გერონტი ბერად აღკვეცა და სახელად გერასიმე უწოდა. იმავე წლის 14 სექტემბერს სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა მოსემ (ბოგდანოვ-პლატონოვი) ბერ-დიაკონ გერასიმეს მღვდლად დაასხა ხელი.

მღვდელ-მონაზონ გერასიმეს უამრავი მოწაფე ჰყავს აღზრდილი, რომლებიც შემდგომში სასულიერო პირები გახდნენ. ესენი იყვნენ: მარტყოფელი ექვთიმე ჭილაშვილი, მღვდელი აბრაამ დემურიშვილი, ბერი გრიგოლი ონანაშვილი-ვაჩნაძე და სხვ. მისი გამოკვეთილია დავით გარეჯში ორი სენაკი. პირველ სენაკში ჭერის არშია და ბუხრის თავი ისეთი ხელოვნებით იყო ალებასტრისაგან გაკეთებული, რომ ყოველი მნახველი განცვიფრებაში მოყავდა. ამ სენაკში ორი წარწერაა მისი ხელით გაკეთებული: **„უფალო, აქა დაგვწვენ ცეცხლითა შურისძიებითა შენისათა და მუნ საუკუნოისა შურისძიებისა შენისაგან განგვარინე“** და 2) **„ჰოი მე, რამეთუ წარწყმდა განკრძალული ქვეყანით და კაცთა შორის წარმართებული არა არს“.** მეორე სენაკი იყო საგარეჯოს მხრით მისავალში, მარჯვნივ, მეტად მოხერხებული (ხელოვნურად) საბოსტნე ადგილით, ზედ მაღლა მშვენიერი სასხდომი ბანით. შიგ სენაკში ყურადღების ღირსია კუთხეში კლდისაგან გამოყვანილი პატარა, ერთი კაცის საწოლი ტახტი სასთუნალით ისე, როგორც მადლის წყალთან დავით გარეჯელისა.

მისი გვიანდელი ცხოვრების შესახებ ცნობების კვლავ დეკ. პ. კარბელაშვილი გვაწვდის, რომელსაც გარეჯში მოღვაწე მამებისგან ჰქონდა ცნობები მღვდელ-მონაზონ გერასიმეს შესახებ. აი, რას

დავით გარეჯის ლავრის ძველი ეზო

გვიამბობს იგი: **„ძალიან უყვარდა ღვინის სმა და 1840 წ. ხმა წაუვიდა. 1842 წ. 5 აპრილს ეპისკოპოსად აკურთხეს ნიკიფორე (ჯორჯაძე) და როგორც გალობის ტრფიალმა გერონტი ჩააყვანინა ტფილისში საწამლებლად, დააბინავა დარიის მონასტერში და საუკეთესო ექიმები მიუჩინა ხმა როგორმე მოჰბრუნებოდა** (ოფიციალური საბუთების მიხედვით ეს მოხდა 1843 წლის 26 ივნისს, როდესაც გარეჯის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოანეს (ავალიანი) თხოვნით, გორის ეპისკოპოსმა ნიკიფორემ (ჯორჯაძე) მღვდელ-მონაზონი გერასიმე თბილისში, მაცხოვრის ფერისცვალების სახ. მამათა მონასტერში გადაიყვანა — გ.მ.) **უწამლეს, როგორც იყო ხმა მოჰგვარეს ექიმებმა, მაგრამ ღვინის სმა სასტიკად აუკრძალეს. პატარა ხანს გააჩაღა კიდეც გალობა ტფილისში, მაგრამ ბოლოს, 1849 წ. აღარ დადგა, ისევ დავით გარეჯაში წავიდა და თავისთვის დაბინავდა და ღვინის სმისაგან ისევ წაუვიდა ხმა. ეს მყოფი მოხუცი, შესანიშნავი მგალობელი, მწერალ-მწიგნობარი, ხუროთმოძღვარი, მეჩუქურთმე — გერონტი 1851 წ. ლეკთა თარეშმა აკუწეს ხანჯლით დანარჩენ მონასტრის კრებულთან ერთად“.**

მღვდელ-მონაზონი ისააკი მამა გერონტის წამებას ასე აღწერს: **„ამისა შემდგომად იწყეს ტანჯვად მამათა და ძმათა... შემდგომად იერომონახსა გერონტის თავი წარკვეთეს“;** მორჩილი სპირიდონ გძელიშვილი კი სწერს: **„და მოკლეს სანატრელი მღუდელ-მონაზონი გერონტი, კაცი ფილოსოფოსი, განთქმული ყოველთა შორის, სრული მგალობელი. იყო სანატრელი იგი მდებარე სარეცელსა ზედა, უძლური და მოხუცი ფრიად და არა ძალედვა, არამედ დაითხია სისხლი მისი, ვითარცა სისხლი ლტოლვილის ზაქარიასი, ძისა ბარუქისა, რომელი მოიკლა საკურთხეველსა შინა“.**

როგორც ვხედავთ, მისი ცხოვრების ორივე აღმწერელი მას გერონტით მოიხსენიებს, რადგან იგი მთელი 30 წელი ბერ-დიაკვნის ხარისხით ამ სახელით მოღვაწეობდა და ასე ეძახდნენ კიდეც მონასტერში. მსგავსი შემთხვევა რამდენჯერმე გვხვდება XIX ს-ის ქართულ საეკლესიო ისტორიაში. მაგ.: სამეგრელოს ეპისკოპოსი ბესარიონი (ჩიჩუა), რომელსაც სინამდვილეში აღკვეცის დროს ბართლომე დაარქვეს; მოწამეთას მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ბესარიონი (ახვლედიანი), რომელსაც აღკვეცისას ბენიამენი ეწოდა და მღვიმევის დედათა მონასტრის წინამძღვარი, ილუმენია ელენე (ჭუმბურიძე), რომელსაც აღკვეცისას ელისაბედი უწოდეს.

სწორედ ამან განაპირობა 1946 წელს საეკლესიო კალენდარში მღვდელ-მონაზონ გერასიმეს ნაცვლად გერონტის სახელის შეტანა.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №717; საქმე №894; საქმე №1371; საქმე №2325; საქმე №3837; საქმე №13369;

ლიტ: კარბელაშვილი პ. „ქართლ-კახური საერო და სასულიერო კილოები“ ქ. ტფილისი 1898წ. გვ. 81-83; თ. ჯოჯუა „1851 წელს მოწყვეტილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ გელათური და გარეჯული რედაქციები“ (ჟურნალი „მრავალთავი“ ქ. თბილისი 2010წ., გვ. 146; გვ. 148).

დასასრული შემდეგ ნომერში

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

„და განავრცო პირი მიწამან ვითარცა მწყურვალმან“

მწირმონაზონნი: გერმანე (გილაშვილი) და გესარიონი; მორჩილი ოთარ ელიოზიშვილი; მოსწავლე სვიმეონ ლომიძე და მიხეილ ქართველიშვილი

1851 წლის 18 ივლისს, ლეკების მიერ, დავით გარეჯის ლავრის დარბევისა და საძმოს წევრების მოწამეობრივად აღსრულების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მოხდა მათი წმიდათა დასში შერაცხვა. ზუსტად უცნობია, თუ რომელ წელს და რომელ კრებაზე მოხდა მათი განდიდება. 1928-1929, 1945 და 1946 წელს გამოცემულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საეკლესიო კალენდრებში ისინი არ არიან შეტანილი, ხოლო 1947 წელს უკვე გვხვდება მათი ხსენება. ჩვენი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1946 წლის საეკლესიო კრებაზე, რაც გამოკვლევას საჭიროებს, რა თქმა უნდა, თუ შემორჩენილია ამ კრების ოქმები. ათეისტური რეჟიმის დროს, როდესაც იდევნებოდა ეკლესია, როგორც ჩანს, ვერ მოხერხდა ძირფესვიანად ყველა დეტალის გამოკვლევა, მოწამეობრივად აღსრულებული მამების გვარებისა და სასულიერო ხარისხების დადგენა, ვინ მორჩილი იყო, ვინ მღვდელ-მონაზონი, ვინ ბერ-დიაკონი და ვინ მონასტერში სასწავლებლად მიბარებული მოწაფე.

საქართველოს ეროვნულ არქივსა და კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში რამდენიმეწლიანი წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა მოწამეობრივად აღსრულებული ყველა პირის სახელი, გვარი, სასულიერო წოდება. ასევე, კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა შვიდივე მოწამის საერო სახელები, გვარები და სასულიერო ხარისხი. ამჟამად უკვე მზადაა მათი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი სრული მონაცემები. წინა ორ ნომერში შემოგთავაზეთ მღვდელ-მონაზვნების:სერაპიონისა (ლომიძე) და გერასიმეს (ვაჩნაძე) ღვაწლი, ხოლო მესამე ნაწილში გთავაზობთ დარჩენილი ხუთი მოწამის ცხოვრებას.

მწირმონაზონი გერმანე, ერისკაცობაში — გაბრიელ გილაშვილი 1806 წელს გორის მაზრაში, სოფ. ნიქოზში საეკლესიო გლეხის ოჯახში დაიბადა. იყო სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ყმა. 1830 წელს, 24 წლის ახალგაზრდამ, გადაწყვიტა მონასტერში წასვლა და დავით გარეჯის უდაბნოს მიაშურა. საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორამ მის შესახებ ინფორმაციის მოძიება დაიწყო და ამისთვის, მცხეთის ყოფილი ეპარქიის მამულებისა და საეკლესიო გლეხების მმართველს, შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტ საბას (ბარათაშვილი-გოსტაშაბიშვილი) მიმართეს. მანამდე, 1830 წლის 22 დეკემბერს, მისი ძმა, გიორგი გილაშვილი, რომელმაც წერა არ იცოდა, მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის დიაკონ ქრისტეფორე პეტრეს ძე იაშვილის ხელით არქიმანდრიტ საბას სწერდა: **„ჩემმა ძმამ მტკიცედ გადაწყვიტა სულის საცხოვნებლად მონაზვნად შედგომა და ამის გამო, მონასტერში წასვლა განიზრახა. რადგანაც ჩვენ ვითვლებით საეკლესიო ყმებად და ვიხდით გადასახადს სვეტიცხოვლის ტაძრის სასარგებლოდ, მე ვკისრულობ, რომ ჩემი ძმის წილი გადასახადი მე ავიღო ჩემს თავზე, რათა მას ამით ხელი არ შეეშალოს საბერო მოღვაწეობაში“.**

თავის მხრივ, არქიმანდრიტმა საბამ მოიძია და შეაგროვა ინფორმაცია გაბრიელ გილაშვილის შესახებ და 1831 წლის 28 მარტს სასინოდო კანტორას გაუგზავნა. იგი წერდა: **„თქვენს შეკითხვაზე საეკლესიო ყმების: გაბრიელ და გიორგი გილაშვილების შესახებ გაუწყებთ, რომ ისინი ტყვეობიდან გამოიხსნა კონსტანტინეპოლიდან კათოლიკოსმა ანტონმა და შეწირა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარს, და გვაქვს ამ შეწირულობის სიგელი. 1818 წელს შედგენილ კამერალურ ჩანაწერებში ისინი აღრაცხული არიან გორის მაზრის სოფელ ნიქოზაში. მათ დაკისრებული აქვთ სამი მანეთი ვერცხლის გადახდა სვეტიცხოვლის ტაძრის სასარგებლოდ. არ გააჩნიათ თავისი პირადი მიწა და ქონება. არსებობენ დღიური ლუკმა-პურით. ერთმა მათგანმა, გაბრიელ გილაშვილმა მოინდომა დავით გარეჯის მონასტერში მორჩილად შესვლა, მონაზვნად აღკვეცის იმედით“.** წერილის ბოლოს არის მისი თხოვნა ეგზარქოს იონასადმი (ვასილევსკი), სადაც სთხოვს მიწეროს გარეჯის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ანტონს (ფედოროვი) დართოს ნება გაბრიელ გილაშვილს იცხოვროს მონასტერში მორჩილის შტატში, რადგან მისი ძმა გიორგი კისრულობს მისი გადასახადის გადახდას ეკლესიის სასარგებლოდ.

1831 წლის 1 აგვისტოს ეგზარქოს იონას ლოცვა-კურთხევით გაბრიელი მიიღეს დავით გარეჯის მონასტერში მორჩილის შტატში, სადაც რამდენიმე წელიწადში ქართულ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, ტიბიკონი და გალობა ისწავლა.

1845 წლის 5 სექტემბერს დავით გარეჯის ლავრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოანე (ავალიანი) სა-

დავით გარეჯის ლავრა

სინოდო კანტორას წერდა: **„ჩემს მონასტერში მყოფი საეკლესიო ყმა, მორჩილი გაბრიელ გილაშვილი მონასტერში განწესდა 1831 წელს. მთელი ამ ხნის მანძილზე პატიოსანი სამსახურით გამოირჩევა. მისი ყოფაქცევა დამაკმაყოფილებელია, ხოლო მორჩილებას აღასრულების სიმდაბლით და უდრტვინველად. გთხოვთ, დაგვრთოთ ნება მის მონაზვნად აღკვეცაზე“.** იმავე წლის 14 ოქტომბერს არქიმანდრიტ იოანეს (ავალიანი) ლოცვა-კურთხევით, გარეჯის ლავრის ხაზინადარმა, იღუმენმა თეოფანემ (მაჩაბელი) იგი მონაზვნად აღკვეცა და სახელად გერმანე უწოდა.

ანაფორა ნაკურთხი მორჩილი ბესარიონი 1792 წელს იმერეთის სამეფოში, გლეხის ოჯახში დაიბადა. საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცულია მისი სხვადასხვა წლებში შედგენილი ნამსახურებათა სიის რამდენიმე ვერსია. ერთ საბუთში, მისი დაბადება 1772 წლით თარიღდება, რაც სავარაუდოდ ბიოგრაფიის შედგენის დროს დაშვებულ შეცდომას ჰგავს.

1822 წლის 9 თებერვალს დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილარიონი (ბებურიშვილი-ვაჩნაძე) საქართველოს ეგზარქოს იონას (ვასილევსკი) უგზავნის დავით გარეჯის უდაბნოს საძმოს წევრების მოკლე ნამსახურებათა სიებს, სადაც მომავალი წმინდანის შესახებ ვკითხულობთ: **„მორჩილი ბესარიონ; იმერეთის ქვეყანისა; ერისკაცთაგანი; კითხვა იცის; შემოსრულ არს უდაბნოსა შინა სასოებითა აღკვეცისათა 1809-ს წელსა, ანაფორა შეუმოსიეს არხიმანდრიტის ილარიონისაგან 1809 წელსა; შემძლებელ არს სამსახურისა; ასაკი 29 წლის“.**

იგივე წერია 1823 და 1824, 1825 და 1828-1829, 1835 წლის ნამსახურებათა სიებშიც, იმ განსხვავებით, რომ გვიანდელ ჩანაწერში ჩანს, რომ მან წერაც იცის. მხოლოდ ერთ ნამსახურებათა სიაში დაფიქსირებულია სხვა წელი და თარიღი, სადაც ჩანს, რომ 1810 წლის 7 იანვარს არქიმანდრიტმა ილარიონმა (ვაჩნაძე) ანაფორა და კამილავკა უკურთხა.

1819 წელს საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორის ბრძანებით მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს მონასტრის შტატების აღწერა და დალაგება. მონასტერში მცხოვრებ ბერებს სახელმწიფო ხაზინიდან ოფიციალურად ხელფასები დაენიშნათ. 1819 წლის 7 მარტს გარეჯის მონასტრის ხაზინადარმა, მღვდელ-მონაზონმა ზოსიმემ მონასტრის საძმოს გამოუცხადა ამის შესახებ, რასაც მამები უარყოფითად შეხვდნენ. მონასტრის მთელი საძმო, იმ დროს 24 კაცისაგან შედგებოდა და მათგან მხოლოდ ოთხი კაცი იყო თანახმა, ხოლო დანარჩენი წინააღმდეგი. მწირმონაზონ ბესარიონის გრაფაში წერია: **„მე ბესარიონ ბერი ხელს ვაწერ, არ მინდა ჯამაგირი“.** თუმცა, მალევე, 1819 წლის 15 აპრილს თითქმის მთელი საძმო დათანხმდა ჯამაგირების დაწესებას.

1847 წელს შედგენილ დავით გარეჯის ნამსახურებათა სიაში, იგი უშტატო წევრად იხსენიება მღვდელ-მონაზონ გერასიმესთან (ვაჩნაძე) ერთად.

მორჩილი ოთარ ელიოზიშვილი 1815 წელს გორის მაზრაში საეკლესიო გლეხის ოჯახში დაიბადა. სწავლობდა თბილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებლის უფროს განყოფილებაზე. 1836 წელს გორის მაზრაში, ჯავის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის უშტატო მედავითნეა. 1840 წლის 15 მარტს ჯავის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მედავითნედ დაინიშნა, სადაც იმავე წლის 6 სექტემბრამდე იმსახურა. 1845 წლის 8 ოქტომბერს დავით გარეჯის მონასტრის საძმოში მორჩილის შტატში მიიღეს, სადაც წლების მანძილზე ერთგულად და პატიოსნად ემსახურებოდა მონასტერს.

მოსწავლე მიხეილ ქართველიშვილი. იგი დაბადებული იყო თბილისში, მოქალაქის ოჯახში. მის შესახებ ოფიციალური მონაცემები არ მოიპოვება, რადგან მაშინდელი საეკლესიო პრაქტიკიდან გამომდინარე, მოწაფეები მონასტრის ოფიციალურ წევრებად არ ითვლებოდნენ და ამიტომაც მათი ბიოგრაფიული მონაცემები ნამსახურებათა სიებში არ შეჰქონდათ. 1895 წელს საეკლესიო ისტორიის მკვლევარი, დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი დავით გარეჯის ლავრაში სტუმრობის დროს წერდა: **„საყდრიდან გამოსრულმა არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს საშუალ ეზოსა პატარა ნიშსა — ძეგლსა, ეს გახლავთ საუკუნო განსასვენებელი ადგილი — ლუსკუმა იმ ცხრა მოღვაწე ბერ-მონაზონთა, რომელნიც 1851 წ. ლეკებმა დახოცეს: მათგანში იყვნენ — სახელოვანი მგალო-**

გარეჯელი მოწამეები

ბელი და მწერალ-წიგნობარი გერონტი ვაჩნაძე მღ.—მონაზონი და მიხეილ ქართველიშვილი, რომელიც უცოლო იყო და 1844 წ. მონასტერში დაბინავდა".

მოსწავლე სვიმონ ლომიძე. იგი გახლდათ იმერეთიდან, სოფ. საყულიადან და თავის ბიძასთან იზრდებოდა დავით გარეჯში. იგი რომ მღვდელ-მონაზონ სერაპიონის ძმისშვილია, დასტურდება მინაწერით, რომელიც გაკეთებულია 1892 წელს მოსკოვში გადაწერილ „კრებულზე", რომლის გადამწერია მიხეილ (გობრონი) საბინინი. აი, რას ვკითხულობთ კრებულის 277-ე გვერდზე: **„წელსა 1851, აგვისტოსა, დავით გარეჰსჯის უდაბნოსა შინა იწამნენ ლეკთაგან: მღუდელ-მონაზონი გერონტი (დიდი), მღუდელ-მონაზონი სერაპიონ, მონაზონნი გერმანე და ბესარიონი, მორჩილნი: მიხაილ-ოთარ, მოწაფე სვიმეონ, ძმისწული სერაპიონისა. აღუშენე მე ძეგლი 1886 წელსა, ოკდომბერს".**

მღვდელ-მონაზონი ისააკი (დოღონაძე) მათ წამებას ასე აღწერს: **„გერმანე მწირ-მონაზონსა განუპეს მუცელი და მერმეთ თავი წარკვეთეს. ბესარიონ მწი-მონაზონსა მყის თავი წარკვეთეს. სვიმეონ დიაკონი მან** (აქ საუბარია მოსწავლე სვიმონ ლომიძეზე — გ.მ.), **რომელი იყო ჭაბუკი ასაკითა, იწყო სილტოლვა და უჩინოთა მახვილითა ტყორცნილმან ვერღაღა უძლო სვლად და მერმეთ თავი წარკვეთეს. ხოლო რომელი იყო მიხაილ დუმილ-შეწყნარებული და ფრიად მორჩილი კრებულისა და მონასტრისა, სხვათა უმეტეს სტანჯეს და შეკრეს რა საბლითა და მიყვანდათ. ხოლო მან შენერწყვა უსჯულოთა მათ და ამისა შემდგომად უხეთქეს თავსა მახვილი. შემდგომად მუცელი განაუპეს და დასჭრეს უწყალოდ ასოეულად";**

მორჩილი სპირიდონ გძელიშვილი კი ასე გადმოგვცემს: **„კვალად შეიპყრნეს მწირ-მონაზონი გერმანე, და ბესარიონ და მოკლნეს იგინი. კუალად მოკლეს სანატრელი მიხაილი ქართველოვი, რომელმან დუმილით და ფრიადი მორჩილებითა აღასრულა ცხოვრება თვისი, კუალად მოკლეს მორჩილი ოთარ საბერო ელიოზოვი; კუალად მოკლეს სვიმონ მოსწავლე, ლომიძე, და დაითხივა სისხლი იმათი, და განავრცო პირი მიწამან ვითარცა მწურვალმან და შესვა ვითარცა მწყურვალმან და ძველთაგან ჩვეულმან...".**

მღვდელ-მონაზონი ისააკი მათი წარმომავლობის შესახებ წერდა: **„ესენი იყვნენ რა სხვათა და სხვათა ადგილთაგან შემოკრებულნი: გერონტი — კახეთისა, სერაპიონ — იმერეთისა, გერმანე — ქართლისა, რცხილოვანისა, ბესარიონ — რაჭისა, სიმეონ კერძო დიაკონი — იმერეთისა, ოთარ და მიხაილ — ტფილისის ქალაქისა".**

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №299; საქმე №717; საქმე №894; საქმე №1371; საქმე №2325; საქმე №2434; საქმე №2777; საქმე №3837; საქმე №10946; საქმე №13369; საქმე №22416; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №41371; ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარებელი" 1868წ. №3, გვ. 82; გაზეთი „ივერია" 1895წ. №179, გვ. 2.

ლიტ: „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა" (H) კოლექცია, ტ. I, ქ. თბილისი 1946წ., გვ. 34; თ. ჯოჯუა „1851 წელს მოწყვეტილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის" გელათური და გარეჯული რედაქციები" (ჟურნალი „მრავალთავი" ქ. თბილისი 2010წ., გვ. 146; გვ. 148).

სტატიის დასასრული

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ტურული, ეთნიკური და საეკლესიო იდენტობის შენარჩუნებას.

„რუმინელების დღეს ძმური და მამობრივი სიყვარულით მოვუწოდებთ რუმინეთის გარეთ მცხოვრებ ყველა რუმინელს, მუდმივად დაუკავშირდნენ თავიანთ საყვარელ ადამიანებს, რათა შეინარჩუნონ რუმინეთის ოჯახი და ერთობა", _ ვკითხულობთ რუმინეთის პატრიარქის მიმართვაში.

ვატიკანმა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში მუდმივი დამკვირვებლის სტატუსი მიიღო

2021 წლის 31 მაისს ვატიკანმა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში მუდმივი დამკვირვებლის სტატუსი ერთხმად მიღებული კენჭისყრის შემდეგ მიიღო, თუმცა მას ხმის მიცემისა და კანდიდატების დასახელების უფლება არ ექნება და მხოლოდ კონსულტაციებით შემოიფარგლება, იუწყება catholicnewsagency.

ეს ნიშნავს, რომ „წმინდა საყდარი" იქნება დამკვირვებელი და არა ჯანმოს წევრი ქვეყანა, რომელსაც უფლება ექნება, დაესწროს შეხვედრებს და მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვაში. ჯანმოს სრულუფლებიანი წევრი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ვატიკანს არ შეეძლება ხმის მიცემა და კანდიდატების წარდგენა.

საინტერესოა, რომ ვატიკანი ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის დამკვირვებელია 1953 წლიდან, ხოლო მუდმივი დამკვირვებელი _ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1964 წლიდან. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში „წმინდა საყდრის" მუდმივ დამკვირვებლად დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების პროექტი იტალიამ წარადგინა და მას 71 ქვეყანამ დაუჭირა მხარი.

აღნიშნული ფაქტი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუიჯი დი მაიომ დადებითად შეაფასა და ბრძანა, რომ ვატიკანს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია.

„დარწმუნებული ვარ, „წმინდა საყდარი", რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ეხმარებოდა მილიონობით გაჭირვებულ ადამიანს მთელ მსოფლიოში თავისი საქველმოქმედო ორგანიზაციების მეშვეობით, დიდ სარგებელს მოუტანს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას და კიდევ უფრო გააძლიერებს სოლიდარობის სულისკვეთებას, მისი კეთილშობილური სამსახური კი მისაბაძი მაგალითი იქნება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნისთვის", — განაცხადა მინისტრმა.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი გრიგოლ გამდლიშვილი 1861-1921

დეკანოზი გრიგოლ გიორგის ძე გამდლიშვილი 1863 წელს ქ. თბილისში დაიბადა. 1921 წელს თბილისის მმაჩის მიერ გაცემულ გარდაცვალების ცნობაში წერია, რომ იგი 60 წლის იყო, ე. ი. ამ ცნობის მიხედვით იგი 1861 წელს დაბადებული გამოდის. მისი ორი გვარის შესახებ დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე სწერდა: **„ტფილისის სამღვდელოების მთავარხუცესი გრიგოლ გიორგიძე (ყოფილი გამდლიშვილი, ეს გვარი გიორგიძეთ გადაიკეთა მან ნიკოლოზ იმპერატორის წინაშე უქვეშევრდომილეს შუამდგომლობით — იუკადრისა ეს ძველი გვარი!)".**

1886 წელს გრიგოლმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1887 წლის 7 ივლისს გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 11 ივლისს მღვდლად დაასხა ხელი და თბილისის მაზრის სოფელ ახალსოფლის წმ. ნინოს სახ. ტაძარში დანიშნა. 1887 წლის სექტემბრიდან 1892 წლის იანვრამდე უსასყიდლოდ, საკუთარი ხარჯით ასწავლიდა საღვთო სჯულსა და ყველა სხვა საგანს ტაძართან გახსნილ სამრევლო-საეკლესიო სკოლაში. 1892 წლის 10 იანვარს ქაშვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მეორე მღვდლად განამწესეს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) თავის მოგონებებში მის თბილისში გადმოსვლაზე წერდა: **„... აღმოჩნდა, რომ არქ. მაკარის უნდოდა ახალსოფლიდან (მარტყოფის რაიონი) გადმოეყვანა ტფილისში თავისი ძმისწულის ქმარი მღ. გრ. გამდლიშვილი, რომელსაც უნდა მიეღო (და შემდგომ მიიღო კიდეც) ტფილისში ადგილი თავისი „ტეტიაობით" (ამ საქმის გარიგებისათვის განსვენებულს ბევრჯერ ეთხოვნა ალექსანდრე ეპისკოპოზისათვის). ამ სულელურმა საკითხმა პრესაშიაც კი ამოყო თავი ამ საუკუნის პირველ ათეულ წლებში".**

1892-1899 წლებში მღვდელი გრიგოლი ქაშვეთის ტაძართან არსებულ სამრევლო-საეკლესიო სკოლაში საღვთო სჯულს ასწავლიდა. 1892 წლის 1 ნოემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1893 წლის 12-13 იანვარს საეგზარქოსო წმ. ჯვრის სახ. კარის ეკლესიისა და სასახლის კუთვნილი ქონების აღმწერი კომისიის წევრია. 1897-1899 წლებში იყო ქაშვეთისა და ვერის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრებთან არსებული საკვირაო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგი. 1897 წელს სკუფია უბოძეს. 1899 წლის 23 თებერვალს საქართველოს

ეგზარქოსმა ფლაბიანემ (გოროდეცკი) სასწავლო დარგში ნაყოფიერი სამსახურისათვის მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1899 წლის 25 თებერვალს დავით გარეჯისა და წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. მონასტრების სარევიზიო კომიტეტის წევრია.

როგორც ვხედავთ, მღვდელი გრიგოლი აქტიურად მონაწილეობდა ქ. თბილისის საეკლესიო ცხოვრებაში. აქ ისევ უწმინდეს კალისტრატეს მოვუსმინოთ: **„ჩემი მღვდლობის პირველსავე დღეებში შევამჩნიე, რომ თბილისის სამღვდელოება გათიშულად ცხოვრობდა. მღვდლები ერთმანეთს ან საკეთილმოწესო ოლქის ოფიციალურ კრებებზე ხვდებოდნენ (წელიწადში ორჯერ) ან ტაძარში სამეუფო პარაკლისებზე, ან აღდგომასა და შობას ეგზარქოსის მილოცვისას, ან ქელეხებში — შეძლებულ პირთა ოჯახებში. არც ერთ ამ შეხვედრაზე არ შეიძლებოდა გესაუბრა მღვდელმსახურებაზე, მქადაგებლობაზე, სასკოლო საქმის გაძღოლაზე და სხვ. ამიტომ ახალგაზრდა მღვდლების (თოთიბაძის, გამდლიშვილის, მაჭავარიანისა და სხვათა) ინიციატივით გადაწყდა, შექმნილიყო სრულიად ლეგალური დაწესებულება — „თბილისის სამღვდელოების ურთიერთდახმარების სალარო“, რომელიც მღვდლებს შესაძლებლობას შეუქმნიდა, ერთად შეკრებილიყვნენ და ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ გამოცდილება და ცოდნა მღვდელმსახურების საკითხებთან დაკავშირებით. შეიმუშავეს „სალაროს“ წესდება და დასამტკიცებლად მიართვეს ეგზარქოს ვლადიმერს, რომელმაც ცოტა იყოყმანა, მაგრამ მაინც დაამტკიცა იგი. წესდების ერთი მუხლი საზოგადოებას უფლებას აძლევდა, რელიგიურ-ზნეობრივი შინაარსის წიგნაკები გამოეცა“.**

1899 წლის 8 აგვისტოს ვერის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1899 წლის 1 სექტემბრიდან იმავე ტაძართან არსებული სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგე და საღვთო სჯულის პედაგოგია. 1900 წლის 5 მაისს სკოლაზე გაწეული ღვაწლისათვის ეგზარქოსმა მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1901 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1901 წლის 21 ივნისს კიდევ გამოეცხადა მადლობა. 1902 წლის 31 იანვარს საქართველოს ეპარქიალურმა სასწავლო საბჭომ ნება დართო საბურთალოზე გაეხსნა ვაჟთა და ქალთა სკოლები და მასვე დაევალა მეთვალყურეობა. 1904 წლის 9 ივლისიდან თბილისის სასულიერო სასწავლებლის მმართველი საბჭოს წევრია. 1905 წელს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა გადასცა მადლობის ფურცელი, სიგელის გარეშე. 1906 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

1910 წელს ვერის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის სამზრუნველოს ერთ-ერთმა წევრმა, ვინმე დიმიტრი კახნიაშვილმა, პრესის ფურცლებზე მღვდელ გრიგოლს უჩივლა და მასზე ცილისმწამებლური წერილი გამოაქვეყნა. აი, რას წერდა იგი რედაქტორს: **„ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, საშუალება მომცეთ, ვაუწყო ყველას ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდლის გრიგოლ გამდლიშვილის საქციელი.**



მღვდელი გრიგოლი ოჯახთან ერთად

მღვდელმა გამდლიშვილმა ეკლესიის გალავანში გააჭრევინა უწმინდურების ადგილისათვის სასაფლაო. ადგილი არ უნდა გაჭრილიყო, რადგან საფლავის ქვა სჩანდა, მაგრამ მღვდელმა მაინც გააჭრევინა სასაფლაო, საიდანაც ადამიანის ძვლები ამოიღეს. როგორც სამზრუნველოს წევრმა, პოლიცია მივიყვანე და ვაჩვენე, რომ მღვდელი საფლავს ათხრევინებდა უწმინდურების ადგილისათვის. იმედია, სხვა წევრებიც ხმას ამოიღებენ და ყურადღებას მიაქცევენ მოძღვრის ამ შეუფერებელ საქციელს“.

მღვდელმა გრიგოლმა იმავე გაზეთში პასუხი გასცა აღნიშნულ წერილს და თავი ასე იმართლა: **„ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ მცირე წერილს, საპასუხოდ იმ წერილისა, რომელიც დაიბეჭდა თქვენივე გაზეთის მე-42 ნომერში.**

წერილის ავტორი დიმიტრი კახნიაშვილი გთხოვთ საშუალებას, თქვენი გაზეთით აუწყოს ყველას, ვითომ მე ვერის ეკლესიის გალავანში გავაჭრევინე უწმინდურობის ადგილისათვის სასაფლაო, რომელიც არ უნდა გაჭრილიყო, რაკი საფლავის ქვა სჩანდა; მაინც გავაჭრევინე სასაფლაო, საიდანაც ადამიანის ძვლები ამოიღეს. ამაზედ იგი ხმას იღებს, როგორც ეკლესიის სამზრუნველოს წევრი, და იმედოვნებს, რომ სხვა წევრებიც ხმას ამოიღებენ. მსგავსი რამ ამისი არა მომიხდე-

ნია-რა ეკლესიის გალავანში, რომელიც ჩემს ზედამხედველობის ქვეშაა. ეს არის სრული ჭორი და ცილის-წამება.

მე ბევრთან უსიამოვნება შემმთხვევია იმისთვის, რომ შეხებიან სასაფლაოს და ეხლა მევე შევეხე? და თუ შევეხებოდი, კახნიაშვილი გაზეთს არასოდეს არ მიმართავდა, არამედ თვით ჩემ მთავრობას და აი, რისთვის: კახნიაშვილმა ვერის სასაფლაოს მახლობლად აიშენა ერთი ოთახი, რომელიც გაადიდა 1907 წ. საკუთარი საშუალებით; ადგილი აქვს ოთხმოცდაათი (90) საჟენი. მაგრამ არ დასჯერდა ამას, ისარგებლა „დროთი" და ძალმომრეობით უკანა კედელი სახლისა ააგო ეკლესიის ადგილზე; დააყოლა კარი-აკოშკა, ეკლესიის ადგილი ეზოთ გაიხადა და საფლავების ნიშნები წაშალა. იგი ითვლებოდა სამზრუნველოს წევრად და, ამ საქციელისა გამო, სამზრუნველომ დაადგინა (აპრ. 8-ს 1910 წ.) გამორიცხულ იქმნას იგი სამზრუნველოდან, რაიცა ეცნობოს სასულიერო მთავრობას; ეკლესიის ადგილის დაჩემებისათვის კი სამსახურის ვალდებულობისა გამო და თანახმად სინოდალურ კანტორის ბრძანებისა (მარტის 12-ს 1908წ. #3946). საჩივარი არის მიცემული რაზედ ტფილისის ოლქის სასამართლოში, სადაც პირველი დაბარება მოხდა 24 ამ ივნისს და ცხადია, რომ სასარგებლოდ არ გადაწყდებოდა საქმე. მაშასადამე, მას სურს სიცრუით და ცილის დაწამებით სამაგიერო გადამიხადოს, მეტი არაფერი.

როდესაც ეკლესიის გალავანში კეთდება რამე, უეჭველად იცის სამზრუნველომ, რომელიც შესდგება თორმეტი კაცისაგან; ყოველივე გაკეთებას უნდა მთავრობის ნებართვა; ჩვენ არც ნება აგვიღია, არც რამე გაგვიკეთებია; და თუ მაინც რამეს გავაკეთებდით, უეჭველად ეცოდინებოდა სამზრუნველოს წევრს ბ. ს. კლდიაშვილს, როგორც ხუროთმოძღვარს, ურომლისოდაც ეკლესიის გალავანში არაფერი გაკეთებულა ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში, არც 26 ივნისს.

ბ. დ. კახნიაშვილის წერილი, როგორცა სჩანს, თავიდან ბოლომდე ცილისწამებაზეა აგებული და ეხლა კი ვაცხადებ, რომ რაც უნდა დასწეროს გაზეთში, პასუხს არ გავცემ".

1912 წლის 15 მაისს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1915 წლის 6 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1918 წელს თბილისის მაზრის I ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა.

1921 წლის 25 თებერვალს, როდესაც კომუნისტებმა ქ. თბილისი აიღეს და ქალაქში შეიჭრნენ, წინა დღეს დედაქალაქი დატოვა და ქუთაისში გადავიდა კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე). ამასთან დაკავშირებით შეიკრიბა ქალაქის სამღვდელოება, მთავარხუცეს დეკანოზ გრ. გამდლიშვილის თავჯდომარეობით და იქონიეს მსჯელობა შექმნილ უმძიმეს ვითარებაზე. ქალაქი და ეპარქის უეპისკოპოსოდ და უმმართველოდ იყო დარჩენილი. როგორც გამოირკვა, უწმინდეს ლეონიდეს არავისთვის

მღვდელი გრიგოლ გამდლიშვილი

არ მიუნდვია ეპარქიის მართვა-გამგეობაც კი, არ კი უფიქრნია ამაზე ვინმეს, ეგონათ, რომ ბოლშევიკები ქვა-ქვაზე არ დასტოვებდნენ თბილისში არაფერს, ეკლესიებს გაძარცვავდნენ, მღვდლებს გაულიტავდნენ და ვის რაღათ ენდომებოდა ან ეპისკოპოსი, ან ეპარქიის მმართველი. სამღვდელოების გადაწყვეტილებით დროებით ხელმძღვანელობა დეკ. გრიგოლს მიენდო.

დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე თავის მოგონებებში დეკანოზ გრიგოლის შესახებ წერდა: **„წასვლისას კონტრიძემ ყოფილი მთავარხუცესი გიორგიძე, რომლის ადგილი დაიჭირა თოთიბაძემ ვერაზე, ვერ მოიხსენია კარგად. მე ამაზე უპასუხე: „მართალია, გიორგიძე მძიმე კაცი იყო, სასტიკი კრებულში, ოჯახშიც, მაგრამ მტკიცე ხელი ჰქონდა საქმეში, ის იჭერდა ხალხს ხელში, არ უშვებდა მათ, ვერა „საზოგადო სასაფლაოდ" გაეხადა, როგორც კერძო-პრივილეგიურ სასაფლაოს, უვლიდა მას, ის ციხე-გალავანი აგურისა მან შემოავლო ამ ვებერთელა ადგილს. სიკვდილის შემდეგ დასტოვა 25 მილიონი ნაღდი ფული, ხოლო ათი ფუთი სანთელი".**

1921 წლის ივნისში დეკანოზ გრიგოლს უბედურება ეწვია. გარდაიცვალა მისი ვაჟი, უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც იყო კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ნათლული. წირვას დაესწრო თავად პატრიარქი, მხოლოდ მწირველი არ ბრძანდებოდა. წირვაზე მგალობლები არ იყვნენ და საკურთხეველში

სვეტიცხოველი. მიტროპოლიტ ამბროსის (ხელაია) კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა. 1921 წლის 14 ოქტომბერი. მარჯვნივ ზის დეკანოზი გრიგოლი (№ 11)

მყოფმა უწმინდესმა ლეონიდმა, დეკანოზებმა: დიმიტრი ლაზარიშვილმა და ნიკიტა თალაქვაძემ მთელი წირვის წესი იგალობეს. წირვის შემდეგ, წესის აგებაზე თავად პატრიარქი შეიმოსა და მაშინაც თავადვე გალობდა.

დეკანოზი გრიგოლი 1921 წლის 27 ოქტომბერს (ახ. სტ. — 9 ნოემბერს) „გულის სიგანივრით" გარდაიცვალა. 29 ოქტომბერს, შაბათს, დაკრძალვაზე, მწირველი იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი (ხელაია), რომელმაც გრძნობიერი სიტყვაც წარმოსთქვა. დაასაფლავეს ვერის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად ვერის ჭადრაკის სასახლე და დასასვენებელი ბაღი მდებარეობს, რის გამოც მისი საფლავი დაკარგულია. ყავდა მეუღლე -ეკატერინე მათეს ასული მატათაშვილი (დაბ. 1867წ., არქიმანდრიტ მაკარის ძმისშვილი) და შვილები: **გიორგი** (დაბ. 1889წ.); **მარიამი** (დაბ. 1890წ.); **მიხეილი** (დაბ. 1893წ.); **დავითი** (დაბ. 1896წ.); **გრიგოლი** (დაბ. 1900წ.).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №41682; საქმე №42062; საქმე №48566; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 723, აღწერა 2, საქმე №9; გაზეთი „სახალხო გაზეთი" 1910წ. №42, გვ. 4; №44, გვ. 4.

ლიტ: ცინცაძე კ. „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში" თბ. 1994წ., გვ. 83; კ. ცინცაძე „რაც გამახსენდა" ქ. თბილისი 2007წ., გვ. 84-85; გვ. 358; დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან" 2013წ. გვ. 89; გვ. 124; გვ. 146; გვ. 341.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაძვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ამ ცოდვილი მინიდან, დღეს მაღლდება ჩვენგან, მიბრძანდება ბატონი რევაზი, დღეს მას ჩვენ ფიზიკურად ბოლოჯერ ვნახავთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, რაც უფრო შორს გადაინაცვლებს მისი სხეული ჩვენგან, მით უფრო ახლოს მოვა მისი სული, მისი სიყვარული.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ თუ ერთი სიტყვით შეიძლება დახასიათდეს ბატონი რეზო გაბრიაძის შემოქმედება, მთავარი ეს არის სიყვარული, უდიდესი სიყვარული და ის არის ყველა ჩვენგანის მასწავლებელი ამ სიყვარულისა.

ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა ნათელში დააწესოს მისი სული და ღმერთმა თქვენ დაგლოცოთ".

ეპისკოპოსმა გრიგოლმა (კაცია) ბატონი რევაზის ჭეშმარიტ მორწმუნეობაზე ისაუბრა და ბრძანა:

„ნეტარ არიან წმინდანნი გულითა, ნეტარ არიან მშვიდნი, ნეტარ არიან გლახაკნი სულითა. აი, ბატონი რევაზი ასეთი ადამიანი იყო — სიყვარულითა და სიხარულით სავსე, ჭეშმარიტი მორწმუნე. უფალი გვეუბნება, რომ თუ თქვენ შორის იქნება სიყვარული, ჭეშმარიტი ქრისტიანები იქნებითო. ბატონი რევაზი იყო აღმსარებელი, მაზრიარებელი და ჭეშმარიტი მორწმუნე ადამიანი. დღეს, ამაღლების დღესასწაულზე, როცა უფალი ამაღლდა ზეცად, ჩვენ ვლოცულობთ, რომ ბატონი რევაზის უკვდავი სული ამაღლდეს უფალთან, სადაც ჩვენი წმინდანები არიან, ხოლო მისი სხეული ამაღლდება ჩვენს წმინდა მთაზე, მთაწმინდაზე, სადაც აღესრულება ყოველდღიური ლოცვა და პანაშვიდი მისი უკვდავი სულისათვის".

იმავე დღეს ბატონი რევაზ გაბრიაძე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს.

მოამზადა თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

მიტროპოლიტი იონა (გედევანიშვილი) 1737-1821

I ნაწილი

მიტროპოლიტი იონა, ერისკაცობაში — იოანე გაბრიელის ძე გედევანიშვილი 1737 წელს, ქართლის სამეფოში, თავადის ოჯახში დაიბადა. ეკუთვნოდა გედევანიშვილების უძველეს თავადურ გვარს, რომლის დამაარსებელი, ლეგენდის თანახმად, იყო გედეონი, რომელიც ძმასთან, ელიოზთან, ერთად მსახურობდა რომის იმპერიის ჯარებში და ქრისტეს ჯვარცმის დროს გოლგოთის მთაზე იმყოფებოდა. ძმებმა ჩამოიტანეს უფლის კვართი საქართველოში და მისცეს თავის დას, მართალ სიდონიას, რომელმაც ეს კვართი გულში ჩაიკრა და გარდაიცვალა.

წყაროების თანახმად, გედევანიშვილები ცხოვრობდნენ საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, ფლობდნენ მიწებს სოფელ გოროვანში, სასხორსა და ქორდში (ეს უკანასკნელი სოფელი იონას მშობლებს და ახლო ნათესავებს ეკუთვნოდა), რომლებიც მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ საქართველოს სამეფო კარსა და აღმოსავლეთ საქართველოს (მცხეთის) კათოლიკოს-პატრიარქების კარზე. **სარდალები იყვნენ იონას ბაბუა გიორგი** (ქართლის მეფის ერაკლე I-ის კარზე; 1688-1703), **მამა - გაბრიელი და ბიძა - ზაზა** (ვახტანგ VI-ის კარზე; ქართლის ჯანიშინი 1703-1714, ქართლის მეფე 1720-1724 წლებში), **ძმები -შიოშ, გიორგი და იოსები; ხოლო ბიძას — პაატას — მოლარეთუხუცესის პოსტი ეკავა.**

პატარა იოანემ სწავლა-განათლება ქ. თბილისში, კათოლიკოს ანტონ I-ის (ბაგრატიონი) უშუალო ხელმძღვანელობით მიიღო. აქ მან საფუძვლიანად შეისწავლა წმინდა წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი, ასევე, სამეცნიერო-საფილოსოფოსო საგნები. 1753 წელს კათოლიკოსმა ანტონ I-მა 16 წლის იოანე მცირე სქემაში აღკვეცა და დიაკვნად აკურთხა. 1756 წელს, ანტონის გასამართლების გამო, დიაკონი იოანეც მის თანმხლებთა სიაში აღმოჩნდა და მასთან ერთად გაემგზავრა რუსეთში. 1757 წლის 17 მარტს ისინი სანკტ-პეტერბურგში ჩადიან. რუსეთში ჩასულმა ანტონმა უწმიდესი სინოდის წინაშე წარდგენილი ბრალი გააქარწყლა და 1757 წლის 1 დეკემბერს ანტონ I ვლადიმირის ეპარქიის მმართველად განამწესეს. იგი ეპარქიას 1762 წლის ჩათვლით განაგებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მამა იოანეც მასთან იმყოფებოდა. სავარაუდოა, რომ მისი მონაზვნად აღკვეცა იონას

კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I (ბაგრატიონი)

სახელდებით და მღვდლად ხელდასხმაც ამავე პერიოდში მოხდა. 1763 წელს, უკვე მღვდელ-მონაზონი, იონა კათოლიკოსთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. კათოლიკოსმა ანტონ I-მა მღვდელ-მონაზონი იონა მცხეთის წმ. ჯვრის სახ. მამათა მონასტრის წინამძღვრად დანიშნა და არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა. 1775 წელს ეპისკოპოსად დაასხა ხელი და რუისის კათედრაზე მიტროპოლიტის პატივით დაადგინა. თ. ჟორდანიას ქრონიკების III ტომში ვკითხულობთ: **„1780 წელს განჰკვეთეს იონა მროველი (გედევანოვი), ერთად მიქაელ თფილელთან და გაიოზთან“.** როგორც ჩანს, 1780 წელს საეკლესიო კრებამ მეუფე იონას ეპარქია და ხარისხი ჩამოართვა და მღვდელმსახურება აუკრძალა. იგივე ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ეს დასჯა გამოწვეული იყო მეუფე იონას **„მეფის ქალიშვილებისადმი უღირსი დამოკიდებულობის გამო“.** დასჯილი მღვდელმთავარი დავით გარეჯის ლავრაში გამოკეტეს. მიტროპოლიტყოფილი იონა იქიდან გაიპარა და იმერეთში ჩავიდა, მაგრამ არც იქ შეიწყნარეს და ისევ ქართლს დაბრუნდა. ახლა მას გარეთუბნის წმ. გიორგის სახ. ტაძრის ეზოში (იგულისხმება ახლანდელი ქაშვეთის ეკლესია, რომელიც იმ დროს თბილისის უბნად არ ითვლებოდა — გ.მ.) მიუსაჯეს ცხოვრება. იგი აქედანაც გაიპარა და ახალციხეში წავიდა. ახალციხის ფაშამ კი კონსტანტინეპოლს გააგზავნა. ეს დაახლოებით 1782 წელს მოხდა. საქართველოში იმჟამად არსებული ინფორმაციით, ანტიოქიის პატრიარქი მისი ჯავახეთის ეპარქიის მმართველად დანიშვნას აპირებდა. ამასთან დაკავშირებით ანტონ კათოლიკოსი კონსტანტინეპოლის პატრიარქ პროკოფი I-ს (პელეკასისი) წერილს უგზავნის და აფრთხილებს, რომ „მღვდლობისაგან განშიშვლებულმა“ იონამ ვერ მოახერხოს მისი და ანტიოქიის პატრიარქთა მოტყუება.

შემორჩენილია წერილის ასლი, რომელიც ანტონ კათოლიკოსმა კონსტანტინეპოლის პატრიარქ პროკოფის გაუგზავნა:

„ყოვლად უწმიდესს მეუფეს, მსოფლიო პატრიარხს და საზოგადოს მამას, უფალს:

ყოვლადუწმიდესო მეუფეო, მიიღე პატივისცემაი მამობრივი ჩვენ მდაბალთაგან, და შემდგომად ყოვლითურთ კუალთა საღმრთოთა მოძღვრებისა თქვენისათა, ესე ვითარითა ჰაზრითა, ვითარ იგი შედგომილ იყო ტიმოთე საღმრთოთა მოძღვრებათა პავლესთა: ვითხოვ სამსახურებელისა მიმართ და თაყვანის საცემელისა სულისა, რომელნიცა გცხო შენ საცხებელითა სამოციქულოითა, რათა ეგოს საღმრთო ეგე უმაღლესი იერარხობითი კათედრა თქუენი შეუძვრელად და ეკლესიაში, რომელ ააგო მოძღვარმან შენმან კლდესა ზედა უჭეშმარიტესის სარწმუნოებისასა, და გარწმუნა შენ, რათა დაცვულ იქმნას განურყვნელად ენათაგან მწვალებელთასა, რომელ არიან ბჭენი ჯოჯოხეთისანი, ვითარ იგი აღთქმულ არს სიძისაგან ეკლესიისა: მიზეზი აწინდელისა ყ-დ უწმიდესობის თქვენისადმი წიგნის ამის მორთმევისა ესე არს: მიტროპოლიტი რუისისა იონა, რომელი იყო ერთის რომელიმე ზემო ივერიასა შინა ეპარხიისა, შეკრებულთა ეპისკოპოსთა პალატსა შინა სამეფოსა, რომელთა შორის პირველ მჯდომარე ვიყავი, სიბოროტეთა თანა ჰხსენებულის მის იონასთა, რომელსაცა აქუნდეს შემასმენელნი წარმოდგომილნი, წინაშე კრების შემწამებელნი, წინაშე ჩვენსა სხუა და სხვათა ბრალთანი, და ჩვენ განმსჯელთა შესმენათასა, შედგომილთა ხმათა მამათა კანონთათა დამხობილ ვჰყავით იონაი სამღვდელმთავროსაგან პატივისა, და განკვეთილ მღვდელობისაგან, დაღათუ ანათემას არა მივეცით: ხოლო შემდგომად დამხობისა წარვგზავნეთ იგი მონასტერსა შინა ღირსისა მამისა დავითისსა უდაბნოს გარესჯისასა, რომლისაცა განჩინებას უმოწყალესობამან მეფის ჩვენისაგან ქვე მოაწერა, და სამეფოითა ბეჭდითა თვისითა დაამტკიცა: მაგრამ, თქმული იგი იონა, განპარულ იქმნა მონასტრით იდუმალ, და წარვიდა იმერეთად,

არარად მრაცხველი ღირსად მის ზედა განჩინებულისა, სადაცა მისრულ არა შეიწყნარეს, არცა მეფემან იმერეთისმან, და არც ეპისკოპოსთა მუნებურთა, და ქართლად ესე წარმოგზავნეს: და ოდეს იგი მოვიდა ქართლად, არა დავაყენეთ ქართლსა შინა ყოფისაგან, რათა არა უმეტესითა მწუხარებითა დაინთქას ეგე ვითარი იგი, და ჰსცხოვრებდა იგი ეზოსა შინა ეკლესიისა წმიდისა მთავარ მოწამისა გიორგისსა გარეგან ქალაქის ტფილისისა, განკვეთული მღვდელობისაგან: ხოლო განკვეთა მღვდელობისაგან იონასი და განშიშვლება სამღვდელმთავროისაგან პატივისა, არა დროებითა განვაჩინეთ, არამედ ვიდრე სიკვდილადმდე იონაისი, რომელიცა შესაფერ იყო ბრალთა მისთა: კვალად განიპარა იონა მუნითგანცა სადა იგი სცხოვრებდა და წარვიდა ახსიხად (იგულისხმება ახალციხე — გ.მ.), რომელიცა შეწყნარებულ იქმნა ახსიხის ფაშისგან ვეზირის, და მისგანვე წარმოგზავნილ კოსტანტინეპოლიდ, და გვესმა ვითარმედ ესე ვითარი ჰაზრი კაცსა მას განკვეთილსა და არღარა მღვდელსა, ვითარმედ ჰნებავს შეტყუებით მიღებაი ეპარხიისა ახსიხისა, ანუ ჯავახეთისა, უნეტარესობისაგან მისის პატრიარხის ანტიოხიისა: ხოლო ჩუენ სარწმუნოდ მსმენელთა მისი ესე ვითარითა ჰაზრითა წარმოსვლისათა, ვაუწყებ სიმდაბლით ყ-დ უწმინდესსა მეუფებას თქუენსას, ვითარმედ კაცი იგი იონა განკვეთილ არს მღვდელობისაგან, და განშიშვლებულ მღვდელმთავრობითისა პატივისგან, და რათა არა კაცმან ესე ვითარმან, ჰქმნას შეტყუებაი რაიმე მზაკუარი წინაშე ყ-დ უწმიდესობისა თქუენისა და წინაშე უნეტარესობისა მისის ანტიოხიელ პატრიარხისა".

იერუსალიმის პატრიარქი აბრაამი

სამწუხაროდ, კონსტანტინეპოლის პატრიარქმა პროკოფიმ (1784-1789) და იერუსალიმის პატრიარქმა აბრაამმა (1775-1787) არ გაითვალისწინეს კათოლიკოს ანტონის წერილი და თხოვნა, იონას მღვდელმთავრის ხარისხი დაუბრუნეს და შესაბამისი წერილებიც გამოგზავნეს საქართველოში. მიტროპოლიტმა იონამ ოთხი თვე დაჰყო სტამბოლს, 1785 წლის დეკემბერში მას მიტილინიაში ვხედავთ, შემდეგ შემოივლის თითქმის მთელ მართლმადიდებლურ აღმოსავლეთს, ქალაქებს - იაფასა და იერუსალიმს, ათონის მთას, კუნძულებს: პატმოსს, სამოსს, ლესბოსს, ქიოსს, ლემნოსს, კვიპროსს, როდოსს, თენედოსს, კეფალონიას და სხვ., ასევე, ამავე წლებში იგი მოივლის ევროპას. ჩავა ვენეციაში, ვენასა და პოლონეთში; 1787 წელს — საბერძნეთში, ნეაპოლსა და ტრიესტში, აქ იგი შეხვდება საღვთო რომის იმპერიის იმპერატორ იოსებ II-ს (1765-1790), აქედან ვენეციაში ჩავა, შემდეგ ქ. ალექსანდრიაში, სადაც ინახულებს ალექსანდრიის მომაკვდავ პატრიარქ გერასიმ III-ს (გიმარისი 1783-1787/1788), პატრიარქი გერასიმ III ასევე „გაათავისუფლებს" **მას სასჯელისაგან.** ის კი გააგრძელებს მოგზაურობას. მოინახულებს ბეირუთს, დამასკოს, ეგვიპტეს, ესტუმრება სინას ნახევარკუნძულს. წმ. დიდმოწამე ეკატერინეს მონასტერში მიტროპოლიტმა იონამ, მონასტრის ძმების თხოვნით, რამდენიმე ბერი აკურთხა დიაკვნად და მღვდლად; წმ. ეკატერინეს მონასტერში მან ოთხი თვე იცხოვრა. 1790 წლის ოქტომბერში კი ის უკვე ვენაში ჩანს. აქედან ქ. იასის გავლით მოლდავეთში ჩადის, სადაც შეხვდა იმერეთის მეფე დავით გიორგის ძის ელჩს, ცნობილ პოეტ ბესიკ გაბაშვილს. ასევე, მოლდავეთში, გრაფ გრიგოლ პოტიომკინის კარზე შეხვდება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ელჩს, არქიმანდრიტ გაიოზს (ბარათაშვილი). გრიგოლ პოტიომკინის ნებართვით, მოლდოვა-ვლახეთის ეგზარქოსმა, ეპისკოპოსმა ამბროსიმ (სერებრენიკოვი, 1789-1791) მეუფე იონას სამართავად გადასცა ქ. იასის მახლობლად მდებარე წმ. პანკრატის მონასტერი. მიტროპოლიტ იონას მმართველობისას ეს მონასტერი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სავანე მოლდავეთის სამთავროში. 1791 წლის დეკემბერში რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ისგან მეუფე იონამ მიიღო კიევში ჩასვლის ნებართვა. იგი დაინიშნა მძიმედ დაავადებული კიევის მიტროპოლიტ სამუელის (მისლავსკი; 1783-1796) ქორეპისკოპოსად, ცხოვრობდა კიევ-პეჩორის ლავრაში და აქედან ხელმძღვანელობდა ეპარქიის საქმეებს,

კიევ-პეჩორის ლავრა. 19 ს-ის ფოტო

მათ შორის აღასრულა სასულიერო პირთა ხელდასხმები (1792 წლის დასაწყისი — 1794 წლის გაზაფხული). კიევშივე დაენიშნა მას წელიწადში 600 მანეთი პენსია.

პირველი ნაწილის დასასრული

წყარო: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, **H** — ფონდი, საქმე 2510, ანტონ I კათალიკოსის წერილები, გვ. 24; გაზეთი „მწყემსი" 1898წ. №4, გვ. 6.

ლიტ: იოსელიანი პლ. „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა" ქ. ტფილისი 1852წ.; „ლიტერატურული ძიებანი" (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა), ქ. თბილისი 1944წ. №2, გვ. 244-246; ჟორდანია თ. „ქრონიკები" ტ. III, ქ. თბილისი, 1967წ. გვ. 369; კეკელიძე კ. „ქართული ლიტერატურის ისტორია" ტ. I, ქ. თბილისი, 1980წ. გვ. 385-386; ბერძნიშვილი მაქსიმე „მასალები XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის". ქ. თბილისი, 1980წ., ტ. II, გვ. 53; ავთ. იოსელიანი „ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები" ქ. თბილისი 1990წ., გვ. 325; გვ. 333; „საღვთისმეტყველო კრებული" 1, 1991 წ., გვ. 85 (საქართველოს მართლმაიდებელი ეკლესიის საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ორგანო); **Авторский проект Александра Колодина „Иона Гедеванишвили Иоане".**

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

საპატრიარქოს წყებანი

ისტორიის ფურცელი

მიტროპოლიტი იონა (გედევანიშვილი) 1737-1821

II ნაწილი

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ მიტროპოლიტ იონას ჰქონდა გარკვეული დიპლომატიური სტატუსი, რომელიც მას ანტონ I-მა ან ერაკლე II-მ მისცეს, რაც ცოტა საეჭვოა, რადგან სწორედ ერეკლეს ბრძანებით დასაჯა იგი ანტონ კათოლიკოსმა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთში მოგზაურობისას იგი შეხვდა მართლმადიდებლური ეკლესიების თითქმის ყველა მეთაურს და ყველგან დიდი პატივით იქნა მიღებული; მკვლევარები აქ ითვალისწინებენ არა მხოლოდ მეუფე იონას პიროვნულ თვისებებს: განათლებას, პრაქტიკულ ინტელექტს, კომუნიკაბელურობას, მომხიბვლელობას, დიპლომატიურ შესაძლებლობებს, არამედ ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის დიდ ავტორიტეტს, რომელიც მას მოპოვებული ჰქონდა მთელ აღმოსავლეთსა და ევროპაში. მიტროპოლიტი იონა განსაკუთრებით საზეიმოდ მიიღეს ათონის წმიდა მთაზე. ათანასეს დიდი ლავრის მოლოცვის შემდეგ, იგი ეწვია ივერონის მონასტერს, სადაც ერთი თვე დაჰყო და ქართულ ხელნაწერებზე იმუშავა. საბერძნეთში სტუმრობის შემდეგ, მეუფე იონა დამასკოში გაემგზავრა, სადაც მიიღო შენდობის ფურცელი ანტიოქიელი პატრიარქ დანიელისგან (1767-1791), რომელმაც, ეს, თავის მხრივ, წერილობით აცნობა ანტონ I-ს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიევში ცხოვრებისას მას მთავარეპისკოპოსად აღიარებდნენ და არა მიტროპოლიტად. ამისთვის მან რუსეთის უწმიდეს სინოდში წერილი გააგზავნა და ითხოვა, რომ არ წართმეოდა მიტროპოლიტის პატივი. მას მოწმეებად დაუდგნენ იმჟამად რუსეთში მყოფი სხვა ქართველი მღვდელმთავრები, ეპისკოპოსი გაიოზი (ბარათაშვილი) და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მაქსიმე (აბაშიძე). 1793 წლის 1 სექტემბერს სინოდმა შეკითხვა გაუგზავნა ეპისკოპოს გაიოზს, რომელმაც დაამოწმა, რომ როდესაც იგი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა, მართლაც ნახა იქ იონა რუისისა და სურამის მიტროპოლიტის ხარისხში, ხოლო 1793 წლის 22 დეკემბერს კათალიკოსმა მაქსიმემ მოახსენა სინოდს, რომ იმერეთიდან ქართლში გადასვლის დროს, იხილა **„იგი იონა მროველი რუისისა, დაისადგურა მასთანვე, ვითარცა მიტროპოლიტთან. ამა ხარისხზე იგი ნამდვილ იყო აღყვანილ კათოლიკოზისა და მეფისაგან“.**

1795 წლის აპრილში მიტროპოლიტი იონა თხოვნით მიმართავს სინოდს, რომ დროებით, კიევიდან მოსკოვში სამკურნალოდ გადასვლის ნება დართონ. როგორც ჩანს, იგი მძიმედ დასნეულებულა. ექიმებს

ჩუდოვის მონასტრის მიქაელ მთავარანგელოზის სობორო

განუცხადებიათ მკურნალობას ხანგრძლივი დრო დასჭირდებაო. ყოველივე ამის გამო, მეუფე იონას მოსკოვში სამუდამოდ დარჩენა გადაუწყვეტია. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მოსკოვში დროებით ჩასული იონა ადგილობრივ მოსკოვისა და კოლომენსკის მიტროპოლიტ პლატონს (ლევშოვი) სთხოვს ღვთისმსახურების შესრულების ნებართვას, მაგრამ მას განუმარტეს, რომ მისი თხოვნა იმ შემთხვევაში იქნებოდა შეწყნარებული, თუ სინოდი მოსკოვში მუდმივად ცხოვრების ნებას მისცემდა. ამის შემდეგ, კიევის მიტროპოლიტ სამუელის რჩევით, მეუფე იონა მოელაპარაკა რუსეთის ეკლესიის სინოდის წევრსა და ნოვგოროდის მიტროპოლიტ გაბრიელს (პეტროვი; 1775-1800), რომლის შუამდგომლობის საფუძველზე, 1795 წლის 25 ნოემბერს იგი მოსკოვში ჩავიდა და ჩუდოვოს მონასტრის, მთავარანგელოზ მიქაელის მიერ კოლასეს შინა (რომელ არს ხონა) ქმნილი სასწაულის სახ. ტაძართან არსებულ კელიაში დასახლდა, ხოლო მსახურებას კრემლის ღვთისმშობლის მიძინებისა და ხარების ტაძრებში აღასრულებდა. მაგრამ იქვე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ იონას არ შეეძლო მოეთხოვა გასამრჯელო და უნდა დაკმაყოფილებულიყო თავისი პენსიით. სინოდის ეს განკარგულება მოსკოვში მიუღიათ 1795 წლის 24 დეკემბერს, სინოდის კანტორის 31 დეკემბერის განკარგულების თანახმად, იონასთვის ხელწერილი ჩამოურთმევიათ, რომ ღვთისმსახურებისათვის გასამრჯელო არ მოეთხოვა. ამრიგად, 1795 წლის აპრილის შემდეგ მეუფე იონას მოსკოვში დროებით ცხოვრების ნებართვა მიუღია, ხოლო 1795 წლის 31 დეკემბრიდან იგი მუდმივად დასახლდა ქ. მოსკოვში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეუფე იონას საარსებო წყაროს შეადგენდა მხოლოდ 600 მანეთიანი პენსია, რომელსაც იგი 1814 წლამდე იღებდა. 1814

წელს მას პენსია 1000 მანეთამდე გაეზარდა. 1817-1819 წლებში მისი პენსია 2000 მანეთს შეადგენდა, ხოლო 1819 წლიდან გარდაცვალებამდე იგი 4000 მანეთს იღებდა.

დავით ბატონიშვილი

1803 წელს მიტროპოლიტი იონა მოსკოვში შეხვდა საქართველოდან გადმოსახლებულ სამეფო ოჯახის წევრებს: დავით ბატონიშვილს, (ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ვაჟს), დარეჯან დედოფალს და სხვებს. იგი დაესწრო დარეჯანის დასაფლავებასაც, რასაც 1807 წლის 24 ნოემბერს წერილით ატყობინებს მის შვილს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს (ბაგრატიონი).

1813 წელს მიტროპოლიტი იონა საცხოვრებლად მოსკოვის ნათლისღების სახ. მონასტერში გადავიდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სადღესასწაულო საეკლესიო მსახურებებზე და სხვა ღონისძიებებზე: კერძოდ, ის ესწრებოდა 1818 წლის 14 ივლისს არქიმანდრიტ ევგენის (კაზანცევი) და 1821 წლის 10 მარტს არქიმანდრიტ ათანასეს (ტელიავევა) ეპისკოპოსად ხელდასხმის მსახურებას. 1821 წლის 5 ივნისს მონაწილეობდა მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ჯილდოების გადაცემაში და ა.შ. მოსკოვში ცხოვრების პერიოდში მეუფე იონა აქტიურად იყო დაკავებული საგამომცემლო საქმიანობით: კერძოდ, მისი მხარდაჭერითა და მეცადინეობით, 1805 წელს მოსკოვში, სინოდის სტამბაში, დაიწყო და 1808 წლამდე გაგრძელდა „სადღესასწაულოს" ბეჭდვა ვარლაამ მთავარეპისკოპოსის თაოსნობით, დიმიტრი ბაგრატიონის, იონა მროველ მიტროპოლიტ გედევანიშვილის და აზნაურ გიორგი პაიჭიძის შრომით. 1812 წელს ნაპოლეონის მიერ მოსკოვის აღების და გადაწვის გამო წიგნების ბეჭდვა დროებით შეფერხდა, მაგრამ მოკლე დროში ქალაქის აღდგენასთან ერთად აღდგა სტამბაც და 1815 წელს დაიბეჭდა „ლოცვანი", რომელზეც ვკითხულობთ: „გედევანიშვილის სარდალ გაბრიელის ძის საფასით, იონას მიტროპოლიტისათა სტამბაში მუშაობითა პეტრე ქებაძის შვილისათა". 1816 წელს მოსკოვშივე დაიბეჭდა „ახალი აღთქმა" რუსეთის ბიბლიური საზოგადოების ხარჯით. ამ ბიბლიური საზოგადოების წევრი იყო მიტროპოლიტი იონა მთავარეპისკოპოს დოსითეოსთან (ფიცხელაური) და მოქვის მთავარეპისკოპოს პაფნუტისთან (ხოზიაშვილი) ერთად. ის კულტურულ საქმიანობასაც ეწეოდა. ყოველ შემთხვევაში, იმ დროის ცნობილი ემიგრანტი, დიმიტრი ბაგრატიონი მის შესახებ წერდა:

„საღმრთო წერილთა ტრფიალი სტამბით გვიმრავლებს ლოცვებსა, წამკითხველთაგან გულმხურვლად ცოდვათა აღსახოცებსა, მადლობა შევსძღვნათ სანუქფოდ ამის მომრთმევსა, მბოძებსა, იონას მიტროპოლიტსა, სიუხვით გასაოცებსა".

მიტროპოლიტი იონა 1821 წლის 4 აგვისტოს, ღამის სამ საათზე დამბლის დაცემით გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს მოსკოვის ღვთისმშობლის საფარველის სახ. მონასტერში. 1821 წლის 17 აგვისტოს სპეციალურმა კომისიამ აღწერა განსვენებულის ქონება. აღწერის დროს იპოვეს იონას ანდერძი, რომლის ორიგინალი არ შენახულა. ანდერძის სრული თარგმანი შესრულებულია ქართველი მთავარეპისკოპოსის დოსითეოსის (ფიცხელაური) მიერ. იგი 1821 წლის 20 ივნისით თარიღდება (დაცულია რუსეთის ძველი საბუთების სახელმწიფო არქივში). შემორჩენილია, აგრეთვე, მეუფე იონას ქონების აღწერილობაც. როგორც ამ აღწერილობიდან ჩანს, იგი დაჯილდოვებული ყოფილა წმ. ანას I ხარისხის ორდენით. იმავე აღწერილობაში, სხვათა შორის, აღნიშნულია „книг грузинских больших и малых – 9, да в типографий имеется молетвенников на грузинском языке без переплета – 230". სამწუხაროდ, იონას წიგნებიდან მხოლოდ რამდენიმე ცალი შემორჩა. აქ შეგვიძლია დავასახელოთ, მაგ., „სადღესასწაულო", დაბეჭდილი ხუცური შრიფტით 1805წ. „სადღესასწაულოს" დაბეჭდვის საქმეში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ იონას ანდერძში მოხსენებულ პოეტ დიმიტრი ბაგრატიონს და თვითონ იონას, რომელიც ამ შემთხვევაში ცენზორი ყოფილა. აგრეთვე შემორჩენილია მისი ნაქონი „საღმრთო მსახურება". წიგნი მომცრო ზომისაა, შეიცავს ქართულ-ოსურ პარალელურ ტექსტებს. ორივე ტექსტი ნუსხა-ხუცური შრიფტითაა დაბეჭდილი. საყურადღებოა, რომ მეუფე იონას არ ჰქონია არცერთი რუსული წიგნი, არ მოიპოვება მისი ხელით რუსულად დაწერილი არცერთი დოკუმენტი. დაცულია მხოლოდ მისი რუსული ხელრთვა, სადაც შეცდომებია. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იონა რუსულ ენას მცირედ ფლობდა.

მიტროპოლიტმა იონამ დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ჩანაწერები, სადაც აღწერილია მისი მოგზაურობა. თხზულება იწყება თბილისიდან კონსტანტინოპოლამდე მგზავრობის აღწერით, ამას მისდევს კონსტანტინოპოლისა და მთაწმიდის მონასტერთა მიმოხილვა. მერე ავტორი აგვიწერს იერუსალიმამდე მგზავრობას. იერუსალიმს და ქრისტეს საფლავს, არქიპელაგოსის კუნძულებს, ვენეციასა და მისთა გარემოს, ალექსანდრიასა და ეგვიპტეს. სინას მთას, ქ. ვენას, პოლონეთსა და მის ქალაქებს, მოლდავეთს და კერძოდ ქ. იასას. ამის შემდეგ იწყება მიმოხილვა და აღწერა რუსეთის



მოსკოვის ნათლისღების მონასტერი

იმ ქალაქების, სადაც მას ცხოვრება მოუწია. ესაა კიევი, დიდებული ლავრით და მოსკოვი.

საინტერესოა აკადემიკოს კ. კეკელიძის აზრი ამ თხზულებასთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ: **„თხზულება საინტერესო შრომას წარმოადგენს; მას ატყვია ბეჭედი ნამდვილი ტურისტის ნაწარმოებისა: იონა გვიხატავს ბუნების სურათებს, ვაჭრობა-მრეწველობას, მცხოვრებთა ზნეჩვეულებას, შესანიშნავ შენობებსა და ნაშთებს, მოგვითხრობს ყველა საყურადღებო ამბავს, რომელიც ამა თუ იმ ადგილთანაა დაკავშირებული. ხანდახან ის კრიტიკულ ნიჭსაც იჩენს: ყველაფერი რაც მას გაუგონია, ბრმად როდი სჯერა, ხან ვრცლად მოგვითხრობს, ხან მოკლედ, მაგრამ შემთხვევას არ უშვებს რომელიმე ღირსშესანიშნავ ადგილს ან ფაქტს შეეხოს. მისი ენა საკმაოდ მხატვრულია, მას ეტყობა რუსულის მძლავრი გავლენა. თხზულებაში გხვდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „ლოდკა, კროვატი, კარეტა, ოსტროვი, პრიხოდი, რუნკა, ოტკა, აფონსკი, პეჩერსკი, კნიაზი“ და სხვ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ერუდიციითა და მეცნიერული ორიენტაციის მხრივ იონას შრომა საყურადღებო და მნიშვნელოვანია ანალოგიურ თხზულებათა შორის“.**

1852 წელს ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა ეს ნაშრომი წიგნად გამოსცა სახელწოდებით: „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა.“ იონას მოგზაურობა დაწერილი უნდა იყოს 1807 წლამდე, რადგან დარეჯან დედოფალი ცოცხლად არის მოხსენიებული (დარეჯანი გარდაიცვალა 1807 წლის 8 ნოემბერს). ამავე დროს იგი საქართველოს მთავარმართებელ პავლე ციციანოვს გარდაცვლილად მოიხსენიებს (ციციანოვი 1806 წლის თებერვალში მოკლეს ბაქოსთან). შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია 1806-1807 წლებში.

სტატიის დასასრული

წყარო: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, **H** — ფონდი, საქმე 2510, ანტონ I კათალიკოსის წერილები, გვ. 24; გაზეთი „მწყემსი“ 1898წ. 4, გვ. 6.

ლიტ: იოსელიანი პლ. „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“ ქ. ტფილისი 1852წ.; „ლიტერატურული ძიებანი“ (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა), ქ. თბილისი 1944წ. 2, გვ. 244-246; ჟორდანია თ. „ქრონიკები“ ტ. III, ქ. თბილისი, 1967წ. გვ. 369; კეკელიძე კ. „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. I, ქ. თბილისი, 1980წ. გვ. 385-386; ბერძნიშვილი მაქსიმე „მასალები XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“. ქ. თბილისი, 1980წ., ტ. II, გვ. 53; ავთ. იოსელიანი „ქართული მწიგნობრობის წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები“ ქ. თბილისი 1990წ., გვ. 325; გვ. 333; „საღვთისმეტყველო კრებული“ 1, 1991 წ., გვ. 85 (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ორგანო); Авторский проект Александра Колодина „Иона Гедеванишвили Иоане“.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონები: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41
რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი დიმიტრი ვარდიაშვილი 1871-1924

ვაგრძელებთ 1924 და 1937-1938 წლებში საქართველოში რეპრესირებულ სასულიერო პირთა ამსახველი ცხოვრების მოძიებასა და მათზე ინფორმაციის შეკრებას. ულმობელმა ეპოქამ უამრავი კეთილშობილი და ერისათვის თავდადებული მამულიშვილის სიცოცხლე შეიწირა. მათ რიგებშია დეკანოზი დიმიტრი ვარდიაშვილი.

I ნაწილი

დეკანოზი დიმიტრი ნიკოლოზის ძე ვარდიაშვილი 1871 წლის 12 ოქტომბერს, თბილისის გუბერნიაში, თელავის მაზრის სოფ. საბუეში, დეკანოზის ოჯახში დაიბადა.

ვარდიაშვილები წარმოშობით სოფ. ალმატიდან იყვნენ, წოდებით — გლეხები. მისი დიდი პაპა, **მღვდელი სტეფანე ზურაბის ძე ვარდოშვილი** (ასე იხსენიება იგი საეკლესიო საბუთებში, ხოლო მისი შვილები უკვე ვარდიაშვილებად დაეწერნენ), თავად იოანე ჯორჯაძის ყოფილი ყმა იყო. სასულიერო განათლება სოფლის მღვდელ იოანესთან (გვარი უცნობია) მიიღო. 1806 წელს ნეკრესელმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ (მიქაძე) დიაკვნად აკურთხა. 1808 წელს მღვდლად დაასხა ხელი და ტურისციხის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში განამწესა. 1812 წელს ბრინჯაოს ჯვარი მიიღო. XIX ს-ის 20-იან წლებში ვეფხისციხის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში გადაიყვანეს, მაგრამ ავადმყოფობის გამო, 1829 წელს იქიდან გათავისუფლდა. მღვდელი სტეფანე 1836 წლის 10 დეკემბერს ბუასილის ავადმყოფობით გარდაიცვალა. დარჩა მეუღლე — ქეთევან გოგიას ასული და შვილები: **მღვდელი ისააკი** (დაბ. 1821წ.), **მედავითნე იოსები** (დაბ. 1822წ.), **მღვდელი მიხეილი** (1833-1913წწ.).

პაპა — **მღვდელი ისააკ სტეფანეს ძე ვარდიაშვილი** — 1817 წელს (სხვა ვერსიით, 1820 წელს) დაიბადა. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. XIX ს-ის 40-იან წლებში დიაკვნად და მღვდლად დაასხეს ხელი და საბუეს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში განამწესეს. 1868 წლის 21 მაისს „შტატიდან გავიდა" და თავისი ადგილი უფროს ვაჟს – ნიკოლოზს — დაუთმო. ჰყავდა შვილები: დეკანოზი ნიკოლოზი, მარინე, ვასილი, ანდრია, თეოდოტე, ბართლომე.

მამა — **დეკანოზი ნიკოლოზ ისააკის ძე ვარდიაშვილი** — 1845 წლის 25 მაისს დაიბადა. დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი. 1869 წელს ჯერ დიაკვნად და შემდეგ მღვდლად დაასხეს ხელი და საბუეს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძრის წინამძღვრად დანიშნეს. XIX ს-ის 80-იან წლებში სამხედრო უწყებაში გადავიდა და კასპიისპირეთის პირველი „ტუზემნი" მსროლელი „დრუჟინის" კაპელანად დაადგინეს. 1892 წლის 30 სექტემბერს კასპიისპირეთის მე-7 მსროლელი ბატალიონის კაპელანად გადაიყვანეს. 1896 წლის 15 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1901 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1905 წლის 6 მაისს დეკანოზის წოდება მიენიჭა. იმავე წლის 22 სექტემბერს სამღვდელო ხარისხში 35-წლიანი ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1906 წლის 15 აგვისტოს, თავისი თხოვნის საფუძველზე, გათავისუფლდა შტატიდან. სიცოცხლის უკანასკნელი წლები პენსიაზე იმყოფებოდა და მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა, სადაც გარდაიცვალა 1913 წლის 13 ივლისს. მისი ცხედარი 16 ივლისს სოფ. საბუეს ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე დეკანოზმა ნიკოლოზმა შეადგინა ანდერძი, რომელიც დაცულია ქუთაისში, წმ. მღვდელმოწამე ნაზარის (ლეჟავა) შთამომავლების ოჯახში (წმ. მღვდელმოწამე ნაზარის ძმის, ბენედიქტეს, მეუღლე გახლდათ ანა ვარდიაშვილი). **ანდერძი** მეტად საინტერესოა და მოგვყავს სრულად:

„სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ.

ათას ცხრას ცამეტსა წელსა, მაისის თორმეტსა დღესა. ე, ქვემორე ხელის მომწერმა დეკანოზმა ნიკოლოზ ისაკის ძე ვარდიევმა, სრულს ჭკვასა და გონებასა შინა მყოფმა, მომლოდნემ სიკვდილისა, კეთილგანვიზრახე დავადგინო განკარგულება შესახებ ჩემის მოძრავის და უძრავის ქონებისა, ჩემის სიკვდილის მემრე, შემდეგი:

1) ფული, რომელიც ნაღდად და სარგებლიანი ქაღალდებით მაქვს შენახული სახელმწიფო შემნახველ კასსებში წიგნაკებით, აგრეთვე ორასი თუმანი (2000 მანეთი), რომელიც მღვდელს ქრისტეფორე ზურაბის ძე ჯიოევს მართებს სესხობრივ, უნდა

დარჩეს საუკუნოთ ხელუხლებელი. ამ ფულიდამ დაიხარჯოს მხოლოდ იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება ჩემი დასაფლავებისთვის. როდესაც მღვდელი ჯიოევი მოიცემა ამ ორას თუმანს, მაშინ ეს ფულიც უნდა მიემატოს კასსაში შენახულ ფულს და იქ ინახებოდეს სარგებლით;

2) მთელი ფულის სარგებელი უნდა იყოს ჩემნი ვაჟიშვილის, მღვდლის დიმიტრის ვარდიევის, მფლობელობაში მის სიცოცხლეში, შემდეგის პირობებით: ა) ამ სარგებლიდამ ჩემს ცოლს უნდა ეძლიოს საკმარისი საზრდო ვიდრე ხაზინიდამ პენსია დაენიშნებოდეს; ბ) ამ სარგებლიდამ უნდა ეძლიოს ჩემს შვილის შვილს, ირაკლი ჯაჯანიძეს, საკმარისი ღონისძიება სწავლა-განათლების დასამთავრებლად ათი წლის განმავლობაში, დღეის რიცხვიდამ დაწყობილი, რომელი ვადაც საკმარისია განათლების მისაღებად საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. ხოლო უკეთუ მან ამ ვადაზედ ადრე დაამთავრა სწავლა, ანუ თავის სიზარმაცის გამო დაანება თავი სწავლას, მაშინ მოესპოს შემწეობის მიცემა;

3) ჩემი ასული თამარი, უკეთუ თვით სურვილი ექნება, იცხოვრებს ჩემს სახლში თავის დედასთან ერთად და ყოველისფრით უზრუნველი უნდა იქმნას, ვიდრე ამისი შვილი ირაკლი შეიძლებს ამის შენახვას;

4) სახლი თელავში, თავისი ეზოთი, რომელიც ეკუთვნოდა ობლებს ჯაჯანიძეებს და რომელიც მე შევიძინე ბანკიდამ საჯარო ვაჭრობით, იქმნება ჩემი ცოლის მფლობელობაში მის სიკვდილამდის, ხოლო ამის სიკვდილის შემდეგ — ჩემი შვილის, მღვდლის დიმიტრის, მფლობელობაში საუკუნოთ. უკეთუ მემკვიდრეთ ჯაჯანიძეებმა მოისურვეს კვალად შეძენა ჩემგან ამ სახლის, მაშინ დაუბრკოლებლად უნდა დაუბრუნდეთ მათ იგი და გამოერთოთ ის ფული, რაიცა იქმნება დახარჯული სახლის გამოყიდვაზედ და მის გამართვაზედ. ამის ანგარიში დაწვრილებით იქმნება შედგენილი ჩემ მიერ. ამათგან მიღებული ფულიც მიეკეროს ხაზინაში შენახულს ფულს (პუნქ. 1);

5) ათი წლის შესრულების შემდეგ (პუნქ. 2, ასო – ბ) მთელი ფულის სარგებელი დარჩება ჩემი შვილის შვილის, მღვდლის დიმიტრის ასულის, ანნას მფლობელობაში, ვიდრემდის იგი დაბინავდება და შეიქმნება ცხოვრებით უზრუნველი, მთელი სარგებელი ამის საჭიროებას მოეხმაროს;

6) ჩემი შვილის შვილის, ანნა დიმიტრის ასულის დაბინავების შემდეგ, სოფელს ალმატში უნდა გაიხსნას ამ ფულის სარგებლით შესაფერი სახელოსნო შკოლა და ამ ფულის სარგებლითვე ინახებოდეს ეს შკოლა. ხოლო უკეთუ რაიმე მიზეზით არ მოხერხდა ამ შკოლის გახსნა, მაშინ ამ სარგებლიდამ დაინიშნოს სუბსიდიები ღარიბი სასულიერო წოდების შვილებისთვის, მიუხედავად სქესისა და სასწავლებლისა;

7) დანარჩენი ჩემი მოძრავი და უძრავი ქონება დარჩება ჩემის ცოლის მფლობელობაში თავის სიცოცხლეში, ხოლო შემდეგ ამის სიკვდილისა — ჩემი ვაჟიშვილის, დიმიტრის საუკუნო მფლობელობაში;

8) ვინაიდგან შემდეგ ჩემი ვაჟიშვილის და მისი ასულის, ანნას, სიკვდილისა არა ვინ იქმნება, რომ ეს ჩემი სურვილი აღსრულებაში მოიყვანოს, ამისთვის მათ ეს უფლებები თავის დროს გარდასცენ ქართულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას;

9) ჩემი დამარხვა უნდა შესრულდეს სულ უბრალოთ და ღარიბულათ, დიდი ფული არ დაიხარჯოს. თუ სახლში მოვკვდი — ალმატის სასაფლაოში დავიმარხო და თუ სახლს გარეთ, სხვაგან აღვსრულდი, — იქვე დავიმარხო;

10) დამარხვის შემდეგ არ გაიმართოს ჩემთვის არც ერთ დროს ქელეხები, არამედ გარდახდილ იქმნეს ყოველთვის პანაშვიდი, სიკვდილის დღიდამ ორმოცი გაუწყვეტელი, ჩემი დაბადების დღეს (25 მაისს), ჩემი სიკვდილის დღეს და ჩემი ანგელოზის დღეს (6 დეკემბერს); ამ დღეებში და უიმისოთაც ყოველთვის ღარიბებს მოწყალება გაეცეს;

11) ჩემი სულის საუკუნოთ მოსახსენებლათ გაიგზავნოს ა) შუამთის უდაბნოში ხუთი თუმანი (50 მანეთი); ბ) შიომღვიმის უდაბნოში — ხუთი თუმანი; გ) დავით გარეჯის უდაბნოში — ხუთი თუმანი; დ) პერტომინის უდაბნოში (მთავარანგელოზთა სახ. მონასტერი არხანგელსკის გუბერნიაში) — ხუთი თუმანი და დაევალოთ ჩემი სულის საუკუნოთ მოხსენება;

12) ჩემი სულის მზრუნველად ვნიშნავ ჩემს შვილს, მღვდელს დიმიტრი ვარდიევს, და ვალად ვსდებ ყოველივე ზემორე მოხსენებული უნაკლულოდ შეასრულოს.

დასასრულ, ვითხოვ ყოველთაგან სულგრძელად მოტევებას, უკეთუ ვისთვისმე რაიმე ზიანი მიმირგუნია და გევედრებით ილოცოთ, რათა ღმერთმა შენდობილ ჰყოს უბადრუკი სული ჩემი ყოველთა ცოდვათაგან. მეც, ცოდვილსა მონასა ღვთისასა, მიმიტევებია ყველასთვის, თუ ვისმე რაიმე ზიანი ნებით ანუ უნებურად ჩემთვის შეუმთხვევია. დავუტევებ ყველას მშვიდობას". — ანდერძს უზის საბუეს წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ბეჭედი და დეკანოზ ნიკოლოზის სულიერი მოძღვრის, დეკანოზ დავით გოგიაშვილის ხელმოწერა.

მას ჰყავდა მეუღლე — ანა იაკობის ასული და შვილები: **თამარი** (დაბ. 1869წ., მღვდელ ნიკოლოზ ჯაჯანიძის მეუღლე); **დეკანოზი დიმიტრი** (1871-1924წწ.); **სოფიო** (დეკანოზ ქრისტეფორე ჯიოევის მეუღლე); **ქეთევანი** (ექიმ ბენედიქტე ანდრიას ძე ლეჟავას მეუღლე).

დეკანოზი ნიკოლოზ ვარდიაშვილი კახეთის „დრუჟინასთან" ერთად. XIX ს-ის 70-იანი წლები

პატარა დიმიტრი (მას ოჯახში მოფერებით — ტიტოს ეძახდნენ) სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, რის შემდეგაც სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა, რომელიც მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა. სემინარიის სწავლის პერიოდში ჩამოაყალიბა ქართველ მგალობელთა გუნდი, რომელიც თბილისის სხვადასხვა ტაძრებში გალობდა. მაგ.: 1893 წლის 17 იანვარს, როდესაც გარდაიცვალა დიდუბის ტაძრის აღმშენებელი და მისი, პირველი წინამძღვარი, დეკანოზი ბესარიონ ზედგენიძე, დიდუბის ტაძარში წირვაზე, სადაც იგი მიწას მიაბარეს, მწირველი იყო ალავერდელი ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი), ხოლო გალობდა სემინარიის ქართული „ხორო" ტიტო ვარდიაშვილის ლოტბარობით.

1895 წლის 18 დეკემბრიდან 1897 წლის 24 აგვისტომდე მღვდელი დიმიტრი დიდუბის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. 1897

**ვარდიაშვილების ოჯახი
ბრემის ტაძრის ფონზე**

დეკანოზი ნიკოლოზ ვარდიაშვილი

წლის 23 მაისს რუსეთის იმპერიის სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერის წარდგინებით ერევნის გუბენიაში, სოფ. კენაკირახში მდგარი ყუბანის კაზაკთა პოლკის I პოლტავის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. სამხედრო ეკლესიის წინამძღვრად გამოარჩიეს. 1897 წლის 8 ივლისს გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 15 ივლისს მღვდლად დაასხა ხელი. 1897 წლის 8 სექტემბერს მღვდელი დიმიტრი დანიშვნის ადგილზე ჩავიდა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა. 1899 წლის 21 იანვარს საქართველოს ეპარქიალური სასწავლო საბჭოს ერევნის განყოფილების წევრად აირჩიეს. 1900 წლის 25 აგვისტოს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1902 წლის 3 დეკემბერს სკუფია უბოძეს. 1903 წლის 1 ოქტომბერს ერევნის ვაჟთა გიმნაზიის საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1903 წლის 9 ივნისიდან ამავე წლის 11 სექტემბრამდე დროებით იყო წარგზავნილი სპარსეთის საზღვარზე ახლად შექმნილი პოლკის მოძღვრად.

1905 წლის 14 იანვარს დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა ქ. ერევანში წმ. ნინოს დღესასწაული. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ივერია" წერდა: **„14 იანვარს, ქ. ერევნის ქართველმა საზოგადოებამაც იდღესასწაულა წმ. მოციქულთა სწორის, ქართველთ განმანათლებელი ნინოს დღესასწაული. ქართულად წირვა და პარაკლისი გარდახდილ იქმნა საკრებულო ტაძარში. დიდძალი ხალხი დაესწრო წირვას. სამხედრო წოდების მღვდლის, დ. ვარდიაშვილის, თხოვნით, განთავისუფლებულ იქმნენ ყველა ქართველი ჯარისკაცნი, რომელთაც უცხო ქვეყანაში გარემოებისა და სამსახურის გამო გადმოხვეწილთ, წირვა მოისმინეს თავიანთ სამშობლო ენაზედ. განთავისუფლებულ იქნენ, აგრეთვე, ყველა სასწავლებელში ქართველი მოსწავლე ქალნი და ვაჟნი. მწირველი იყო დეკანოზი მამა ი. იორდანაშვილი, რომელმაც იმ დღეს შესაფერისი სიტყვაც წარმოსთქვა. მადლობის ღირსია მამა იორდანიშვილი, რომ ყოველ წელს, 14 იანვარს, ერევნის ქართველობას აძლევს საშუალებას, წირვა მოისმინონ ქართულს, სამშობლო ენაზედ. მადლობის ღირსნი არიან აგრედვე ქ-ნნი ა. ზედგენიძისა, ქ. ვარდიაშვილისა; ბ-ნნი კასრაძე, ი. ზედგენიძე და მღვდელი დ. ვარდიაშვილი, რომელნიც ქართული სასიამოვნო გალობით, ყოველწლივ, ნინოობა დღეს, ატკბობენ ერევნელ ქართველთა ყურთასმენას".**

1906 წლის 6 მაისს კამილავკა ეწყალობა. 1908 წელს მღვდელმა დიმიტრიმ ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა ორი ქართული ხელნაწერი. 1910 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1911 წლის 22 სექტემბრიდან 1912 წლის 19 ნოემბრამდე დროებით იყო კავკასიის მეორე კაზაკთა დივიზიის მთავარხუცესი.

პირველი ნაწილის დასასრული
ავტორი დიაკონი
გიორგი მაჩურიშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონები: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ზაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

მოსწონდა. ახალგაზრდა მღვდელმთავარს ცილი დასწამეს და ნახევარი წლის შემდეგ ეგვიპტიდან განდევნეს. წმინდა ნექტარიოსი სამშობლოში დაბრუნდა. მართალია, ცილისწამება და შეურაცხყოფა კვლავ თან სდევდა, მაგრამ მოგვიანებით მეუფე გამართლდა. ამის მიუხედავად, იგი იქ არცერთ კათედრაზე აღარ დაუდგენიათ.

1904 წელს მეუფე ნექტარიოსმა ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულ ეგინაზე დედათა სავანე დააარსა. თუმცა აქაც ბევრ სირთულეს გადააწყდა როგორც საეკლესიო იერარქების მხრიდან, ასევე მშობლებისგან, რომელთაც არ სურდათ მათი ქალიშვილები მონაზვნად აღკვეცილიყვნენ. მეუფემ სიცოცხლის უკანასკნელი წლები ამ მონასტერში გაატარა და აქტიურად იყო ჩართული მონასტრის მშენებლობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. მონასტერში ყველაზე მძიმე მორჩილებებს თავად ასრულებდა და მაგალითს აძლევდა სხვებს. „ეგინა ქალთა მონაზვნობის ათონი იქნება", — ამბობდა მეუფე.

ყოველდღიური მძიმე სამუშაოს გარდა, მეუფე ნექტარიოსი წერდა წიგნებს. მას ეკუთვნის მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი, მათ შორის, „განხეთქილების შესახებ", რომელიც მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის არსებულ განხეთქილებას ეხება, ასევე: „საეკლესიო ქადაგებანი", „შვიდი მსოფლიო კრების მნიშვნელობის შესახებ", „სულისთვის ზრუნვა", „ჭეშმარიტი და ცრუ ცოდნის შესახებ", „ქრისტიანული ეთიკა", „სამოძღვრო ღვთისმეტყველება", „კატეხიზმო", „ქრისტოლოგია", „სულის უკვდავების შესახებ", „სახარების ისტორია", „მონანიების შესახებ", „აღსარების შესახებ", „ევქარისტიის საიდუმლოს შესახებ", „წმინდანთა შესახებ", „ერთიანი სამოციქულო ეკლესიის შესახებ", „სქიზმის მიზეზთა ძიება", „მარხვების შესახებ" და სხვ. ხშირად მეუფე ნექტარიოსი მთელი ღამის განმავლობაში შეუსვენებლად წერდა, დილით კი ღვთისმსახურებაზე მიდიოდა.

სიცოცხლის უკანასკნელი 2 თვე მეუფემ საავადმყოფოში გაატარა. სიდუხჭირის გამო, იგი მოათავსეს უმწეოთა პალატაში, სადაც 1920 წლის 8 ნოემბერს გარდაიცვალა კიდეც. პალატა, სადაც იგი აღესრულა, კეთილსურნელებით აივსო და სასწაული აღესრულა. მოგვიანებით იქ წმინდა ნექტარიოსის სახელობის საექიმო კაბინეტი გახსნეს.

მეუფის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო მეტი სასწაული მოხდა. მისი გარდაცვალებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ მას მთელ საბერძნეთსა და უცხოეთში მიაგებდნენ პატივს.

1961 წელს მსოფლიო საპატრიარქომ ნექტარიოსი ოფიციალურად შერაცხა წმინდანად, რასაც კუნძულ ეგინაზე ოთხდღიანი ზეიმი მოჰყვა. 1961 წლის 3 ნოემბერს მონასტერში, კუნძულის ყველა ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში დღესასწაულობდნენ, წირვა ჩატარდა წმინდანის სახელობის ტაძარში. ამ დღეს ეგინაზე ათასობით მომლოცველმა მოიყარა თავი.

1998 წელს კი ალექსანდრიის საპატრიარქომ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში წმინდანის უსამართლოდ დევნის გამო.

კუნძულ ეგინაზე, წმინდა ნექტარიოსის საფლავზე, დღესაც მრავალი სასწაული აღესრულება, მომლოცველები აქ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან, პატივს მიაგებენ და შემწეობას სთხოვენ წმინდანს.

მოამზადა
თამარ ასათიანმა

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი დიმიტრი ვარდიაშვილი
1871-1924

ვაგრძელებთ 1924 და 1937-1938 წლებში საქართველოში რეპრესირებულ სასულიერო პირთა ამსახველი ცხოვრების მოძიებასა და მათზე ინფორმაციის შეკრებას. ულმობელმა ეპოქამ უამრავი კეთილშობილი და ერისათვის თავდადებული მამულიშვილის სიცოცხლე შეიწირა. მათ რიგებშია დეკანოზი დიმიტრი ვარდიაშვილი.

II ნაწილი

1911 წელს ქართულ პრესაში ატყდა დაპირისპირება დიდუბის ეკლესიის გარშემო. საკითხი ეხებოდა დიდუბის ეკლესიაში რუს მგალობელთა გუნდის შექმნას და ტაძარში შერეული ქართულ-სლავური გალობის დაწესებას. წერილის ავტორი ამ გუნდის შექმნას დეკ. კალისტრატე ცინცაძეს აბრალებდა, თავად კალისტრატე ცინცაძე კი დეკ. ბესარიონ ზედგენიძეს ადანაშაულებდა, ასევე გამოითქვა აზრი, რომ დიდუბის ეკლესიის მნათე ა. სემინოჟენკო იყო ამაში დამნაშავე. მღვდელმა დიმიტრიმ, რომე-

ლიც თვალყურს ადევნებდა ამ პოლემიკას, პრესაში თავისი წერილი გამოაქვეყნა ვითარების განსამუხტად. აი, რას წერდა იგი:

„გაზეთებში ატეხილი კამათის გამო დიდუბის ეკლესიის წარსულ-აწმყო მდგომარეობაზე ორიოდე სიტყვა მსურს გავუზიარო მკითხველებს.

დიდუბის საეკლესიო სკოლაში ორ წელიწადს ვმასწავლებლობდი. შეგირდებს შევასწავლე ქართულად ისეთი რთული საგალობლები, როგორიც მაგ.: „წყალობა მშვიდობა“, „შენ გიგალობთ“, „ღირს არს ჭეშმარიტად“, „მამაო ჩვენო“. ყველა ამ საგალობლებს პატარა მოწაფეები, ყველა ტომისა და სარწმუნოებისა, ვისაც კი კარგი ხმა ჰქონდა, გალობდნენ წირვაზე კვირა-უქმე დღეებში. ყოველ ორშაბათობით კი მთელ წირვას ვაგალობებდი რუსულ-ქართულად. ერთი მალაკნის დედაკაცი წამეჩხუბა კიდეც, რათ აგალობებ ჩემ შვილს თქვენს ლოცვებსაო.

ამის გარდა, საბაღოსნო სკოლის ქართველმა შეგირდებმა მთხოვეს, გვასწავლე ქართული საერო-საეკლესიო სიმღერა-საგალობლები, ხანდახან გამოვიყენებთ სოფელში, ან ქალაქშიო. მე დიდი სიამოვნებით მოვკიდე ხელი ამ საქმეს. ჩქარაც შეისწავლეს და დიდუბის ეკლესიაში ჩემ შეგირდებთან ერთად ვაგალობებდი. თუმცა რუსული გუნდი ცალის თვალით გვიყურებდა, რომ საგალობლებს შუაზე უყოფდით, მაგრამ ხმას ვერა გვცემდნენ, რადგანაც წინამძღვრის განკარგულებით ვგალობდით და საგალობლებსაც მისი ნებართვითვყოფდით.

ორშაბათობით, მრავალ მლოცველთა შორის, ქართველებიც მოდიოდნენ დიდუბის ეკლესიაში, ქართულად პარაკლის-პანაშვიდების გადახდას თხოულობდნენ. მე ჩემის ნებაყოფლობით ვასრულებდი დიაკვნის თანამდებობას, რადგან მოყვარული ვიყავი გალობისა. ვშველოდი როგორც მ. კალ. ცინცაძეს, აგრედვე მ. იროდიონ გურგენიძეს და არ მახსოვს ან ერთს, ან მეორეს უარი ეთქვათ ვისთვისმე, ქართულად კი არა, რუსულად სხვებთან ერთად გადაგიხდითო პანაშვიდ-პარაკლისსაო“.

1913 წლის 3 თებერვალს საქართველოს ეპარქიალური სასწავლებლის საბჭოს ერევნის განყოფილების წევრად ყოფნის 12-წლიანი ერთგული სამსახურისთვის წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1914 წლის 17 დეკემბერს აირჩიეს 2-ე კავკასიის კაზაკთა დივიზიის მთავარხუცესად. 1915 წლის 10 ივნისს წმ. ანას II ხარისხის მახვილებიანი ორდენით დააჯილდოვეს. 1915 წლის 9 აგვისტოს დეკანოზის წოდება მიენიჭა.

შემორჩენილია წერილი, რომელიც დეკანოზმა დიმიტრიმ 1914 წელს ფრონტის ხაზიდან გამოუგ-



დეკანოზი დიმიტრი ვარდიაშვილი

ზავნა თავის შვილს — ანას: **„საყვარელო და ძვირფასო ანიჩკავ! გაკოცებთ ყველას, დიდსა და პატარას, ამ შრომას შენ გავალებ, დაუარე ყველას და დალოშნე! ჩემ წერილს, ფულს და ამანეთებს მიიღებდით. ვიცი, ომის გამოცხადება რა შთაბეჭდილებას მოახდენდა თქვენზე; გეგონებოდათ თქვენ გაკრეჭილ მღვდელს, რომელსაც ამ სურათში იცნობთ, ოსმალოები ან ნემენცები ასო-ასო ასჭრიდნენ. ჩემი დარდი ნუ გექნებათ. მე ხელს ვერავინ მახლებს ამ ვეშაპივით ბიჭების პატრონს, რომლებიც გარს მახვევიან. დაგიგვიანეთ წერილი იმისთვის, რომ ივლისის 8-დან 19-მდე ბაქოში ვიყავ, სადაც არც ტელეგრამაა, არც ფოშტა, 19-დან ამ თვის 2-მდის არ ვიცი, რას ჰქვიოდა ძილი, რას ჰქვიოდა ჭამა და სმა. მთელი ეკლესია და სახლი დავაბარგე, შევკარ, შევბეჭდე და ჩავაბარე პოლიციას 96 იაშიკი. ბიჭი გიამბობთ ჩემს ამბავს. კიდევ კარგი, რომ ყოჩაღი ბიჭები მყვანდნენ. ეხლა აქ ვართ, ხიოშში, არ ვიცით, წავალათ სადმე, მოგვიხდება ვისთანმე „ჩიხუბის“ გაკეთება თუ ვიჯდებით დოყლაპიებისავით. ენკენისთვიდგან შენ თელავის ხაზინიდგან მიიღებ ხოლმე ხუთმეტ თუმანს თვეში. ჩემ ჯამაგირს ვიტოვებ, სანამ ომი გათავდება. მომწერეთ თქვენი ამბავი ძველი ადრესით. შენი მამა ტიტო“.**

1916 წელს დეკანოზმა დიმიტრიმ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა თავის ოჯახში დაცული ისტორიული ხელნაწერები და ნივთები, მათ შორის: „1) ნეკრესელი მღვდელმთავრის ნაბოძები სიგელი მღვდლის სტეფანე ვარდოშვილსა; 2) პატიების ბარათი, რომელიც უბოძებია სტეფანე მღვდლისათვის ელეფთერ არქიმანდრიტს; 3) ფარნაოზ ბატონიშვილის მხლებელ-

თა გადასახლება რუსეთში (ხელნაწერი პაწია ტანის წიგნი); 4) სძლისპირი და ღვთისმშობლისანი (პაწია ტანის წიგნი ხავერდის ყდაში); 5) ქართული გრამატიკა (ხელნაწერი); 6) ანდრია სალოსის ცხოვრება და მოქალაქეობა (ხელნაწერი); 7) ორი ფურცელი კურთხევანიდან (ხუცური ხელნაწერი); 8) ძველებური ლექსთა კრებული, ისაკ ვარდიაშვილის გადმოწერილი 1841წ.); 9) ეპისტოლე გიორგი ერისთავისა (ხელნაწერი წიგნი); 10) ტიბიკონი გელათის დედათა მონასტრისა (ხელნაწერი წიგნი); 11) სამადლობელი პარაკლისი ტროფიმე იღუმენის მიერ 1774წ. ქ. ყიზლარში გადმოთარგმნილი რუსულიდან; 12) განმარტება იგავთა სახარებიდან და ცხოვრება დავით და კონსტანტინესი, გადმოწერილი ისაკ ვარდიაშვილის მიერ; 13) ისაკ ვარდიაშვილის გადმოწერილი დაუჯდომელი, ყდაში; 14) სამასეული — სწავლანი წმიდა მამათა, 1797 წელს გადმოწერილი ნიკოლოზ ვაჩნაძის მიერ ყდიანი; 15) სასიამოვნო მოთხრობა „მიმოსვლისათვის ქერეოსისა და კალიროიასი", იაკინთე ალექსიევისაგან ჩყლ წელსა რუსულიდან გადმოთარგმნილი, ყდიანი; 16) გვირგვინი და ასი მოთხრობა, ისაკ ვარდიაშვილის გადმოწერილი 1841 წელი, ყდიანი; 17) მარგალიტიანი ხუცური ხელი, ყდიანი; 18) ნაბეჭდი წიგნი: თამარ მეფესი და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა; 19) ჩახსაკრავის საქსოვი ჩხირები, მაქოები (წყვილი) და ტყავის ფირფიტა".

1916 წლის 6 მაისს იგი კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. იმავე წლის ბოლოს დაჯილდოვდა იმპერატორის კაბინეტიდან გაცემული გამშვენებული ჯვრით.

1917-1918 წლებში პირველი მსოფლიო ომის დროს დასავლეთ ფრონტის ლაშქრის სამღვდელოების უფროსი მღვდლის თანამდებობა ეკავა. 1919 წელს, ომის დასრულების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა და თელავის მაზრის, სოფ. საბუეს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1920 წელს ენქერით დაჯილდოვდა. 1921 წლის 5 აგვისტოს თელავის მაზრის II ოლქის სამღვდელოების კრებამ იგი თავის სულიერ მოძღვრად აირჩია. 1922 წლის ივნისში, კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს, საბუეს წმ. იოანე ნათლისმცემლისა და ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძრების წინამძღვრად იხსენიება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) დეკანოზ დიმიტრიზე წერდა: **„იგი იყო საუკეთესო მცოდნე ქართული გალობა-სიმღერისა. თბილისში პედაგოგად მუშაობის დროს სამრევლო სკოლის მოწაფეებს შეუერთა საბალოსნო სკოლის მოწაფეები და შექმნა ჩინებული გუნდი, რომელიც მეტოქეობას უწევდა საეკლესიო გუნდს".**

დეკანოზი დიმიტრი 1924 წლის 1 სექტემბერს აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად.

საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა დეკანოზ დიმიტრის შესახებ ქართველმა კრიტიკოსმა და მწერლმა, პირველი საკათალიკოსო საბჭოს წევრმა **იპოლიტე პეტრეს ძე ვართაგავამ** (1872-1967), რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიაში მისი ჯგუფელი იყო. აი, რას წერდა იგი: **„სიონის საკათედრო ტაძრის ცნობილ პროტოდიაკონ კონსტანტინე კარგარეთელს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა სემინარიის მოწაფეთა შორის, მაგრამ ყველაზე უფრო მასზე შეყვარებულნი იყვნენ ტიტო ვარდიაშვილი და კოტე დათაძე. ისინი მზად იყვნენ კონსტანტინეს შესახებ მთელი დღე ელაპარაკათ. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ტიტო და კოტე მომღერალ მგალობლები იყვნენ. მთელი ექვსი წლის განმავლობაში ისინი ამშვენებდნენ სემინარიის ქართულ და რუსულ გუნდებს. ტიტოს უბადლო ტენორი ჰქონდა. ზარივით გაისმოდა მისი ხმა ქართველ გუნდში. მთელი ექვსი წლის მანძილზე მას არამცთუ მეტოქე, შემცვლელიც არ ჰყოლია. ის იყო პირდაპირი ბურჯი ქართული გუნდის და ამ უკანასკნელის გამოცდილი ლოტბარი. დათიკო დავითაშვილი დიდად აფასებდა მას და უცვლელად მეგობრობდა.**

ტიტო კახელი იყო. კახური „მრავალჟამიერის" მასავით ლაზათიანად შემსრულებელი, გარდა სანდრო კავსაძისა, მე არ მომისმენია. სანდროს ტკბილი და მოქნილი ხმა ჰქონდა, ტიტოს — ძლიერი და ზარივით წკრიალა.

ტიტო თელავის სასულიერო სასწავლებლიდან გადმოვიდა. თავიდანვე ყველაფერში ეტყობოდა, რომ შეძლებული ოჯახიდან იყო. ფული მუდმივ ბლომად ჰქონდა ჯიბეში; ტკბილეულობაში ან ხილში თუ დახარჯავდა, თორემ არც ლუდს, არც ღვინოს და არც თამბაქოს არ ეკარებოდა. თვითონ ტიტო ამბობდა, რომ ბავშვობიდან ერთი წვეთი ღვინო არ დამილევია, თუმცა ღვინის კუთხეში დაიბადა და მამამისსავე საკუთარი ზვარი ჰქონდა.

საკვირველი ის იყო, რომ ტიტო მოწაფეების „ორგიებში" ხშირად იღებდა მონაწილეობას: მღეროდა, მხიარულობდა. გარეშე მაყურებელს ეჩვენებოდა, რომ ისიც ზარხოშად იყო და ქეიფობდა. ნამდვილად ერთ წვეთსაც არ ჩაისხავდა პირში. მთელი ოთხი-ხუთი საათის ასეთი „ქეიფის" შემდეგ სხვა ამხანაგებთან ერთად ისიც ბრუნდებოდა სემინარიაში. ხარჯში აუცილებლად თანაბარ მონაწილეობას იღებდა. იყო შემთხვევაც, რომ მოქეიფე ამხანაგებთან ერთად მასაც დაგვიანებია სემინარიაში დაბრუნება და ამისათვის ყოფაქცევაში ცუდი ნიშანი მიუღია.

ანა ვარდიაშვილი მეუღლესთან ერთად, 1929წ.

ტიტო გულმართალი და სანდო ამხანაგი იყო. ყველასთან კარგი განწყობილება ჰქონდა. მაინც და მაინც დიდი ნიჭიერი არ იყო, თუმცა კლასიდან კლასში გადადიოდა. მუსიკით გატაცებული, ის წიგნების კითხვას არ მისდევდა. სემინარიის ჟურნალ-გაზეთებში თავისი ძალა არ უცდია.

სემინარიის დამთავრების შემდეგ (უეჭველია, ვინმე ეყოლებოდა დამხმარე) ტიტო პოლკის მღვდლად ეკურთხა და დიდ წარმატებასაც მიაღწია: შედარებით მალე დეკანოზობა მიიღო; გულმკერდი სამხედრო ორდენებით დაიმშვენა. უეჭველია, მხიარული, ცოცხალი, მომღერალ-მგალობელი ტიტო ოფიცერთა წრეში მალე დაიმსახურებდა სიმპატიასა და სიყვარულს. ეს კი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ პოლკის მღვდლის კარიერა გაეკეთებინა.

სემინარიის შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევხვდით მე და ტიტო ერთმანეთს (თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1913-1914 წლებში). ის-ის იყო, რომ პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ტიტოს პოლკი დროებით თბილისში დაბანაკებულა და ისიც მას გადმოყოლია. ტანდაბალი ტიტო დამსხვილებულა; მოშვებულ შავ წვერ-ულვაშს მისი სახე დაუმშვენებია. გიორგის ლენტზე მას ოქროს ჯვარი ეკიდა და კიდევ სამი ორდენი. მეგობრულად მივესალმეთ ერთმანეთს; გამოვკითხეთ ამბები და დავშორდი, ტიტოს სადღაც მიეჩქარებოდა.

რევოლუციის შემდეგ ტიტოს, როგორც გავიგე, გაუხდია ანაფორა და მამაპაპეულ სოფელში დაბრუნებულა და სოფლის მეურნეობისათვის მოუკდია ხელი. ანაფორა გახდილი ტიტო მე არ მინახავს (აქ იპოლიტე ცდება, დეკანოზი დიმიტრი, მართალია, სოფელში დაბრუნდა, მაგრამ იგი ბოლომდე მსახურობდა და ანაფორა არ გაუხდია — გ.მ). 1924 წლის გამოსვლებში მონაწილეობა მიუღია და უაზროდ და უმიზნოდ თავი დაუღუპავს".

ჰყავდა მეუღლე - ოლიკო მანსვეტაშვილი, რომელიც 1898 წელს ტუბერკულიოზით გარდაიცვალა. დარჩათ ერთი ასული — ანა (დაბ. 30.05.1896-1978წწ.).

ანა ვარდიაშვილი იყო დუდუკებზე მომღერალი პირველი ქალი. მისი მშობლები და, საერთოდ, ვარდიაშვილების საგვარეულო, დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით. ანა 1928-1931 წლებში სწავლობდა რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ იმავე თეატრის მსახიობი იყო. 1927 წელს პირველად გამოვიდა ფანდურით თელავში, ახვლედიანის მოთავეობით გამართულ პოეტ მარიჯანისადმი მიძღვნილ კონცერტზე. 1939 წელს შედგა მისი, როგორც მომღერლის დებიუტი მედუდუკეთა ანსამბლთან ერთად, თავიდანვე წარმატებით ასრულებდა ქალაქურ სიმღერებს და დიდი პოპულარობა მოიპოვა. XX ს-ის 40-იან წლებში სსრკ რადიოკომიტეტის დავალებით ატარებდა კონცერტებს ტალგაუკოვის მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით, პარალელურად, იყო ფილარმონიის სოლისტი. 1941 წელს მიიწვიეს საქართველოს რადიოკომიტეტში, სადაც მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და რომანსებს. 1939-1947 წლებში იყო საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტი. 1941-1945 წლებში მუშაობდა თბილისის პიონერთა სასახლეში. 1948 წლიდან მუშაობდა სიმღერის მასწავლებლად ქ. ქლუხორის ბავშვთა სახლში. 1949-1957 წლებში გახლდათ თბილისის სხვადასხვა სკოლის მასწავლებელი. მის რეპერტუარში, ძირითადად, ქართული ხალხური ხიმღერები შედიოდა, მათ შორის: „იავნანა", „არწივი", „გუთნური", „ციცინათელა", „სალამი, ჩიტუნებო", „სიზმარი", „მოხევის ქალო თინაო", „მშვენიერო", „შენ გეტრფი", „მუხამბაზი", „კეკელა და მარო", „თამარ-ქალის სიმღერა". 200 სიმღერიდან მხოლოდ 10 სიმღერაა შემორჩენილი. ეს ის საუკეთესო სიმღერებია, რომლებიც ომის პერიოდში ჩაიწერა. იმ დროს დუდუკებზე დაკვრა მკაცრად იკრძალებოდა. იგი იყო შემსრულებელი სიმღერისა, რომელიც შეიქმნა კარლო კალაძის ლექსზე — „ჩემი გმირი გიწოდე...". მისი სიმღერები სრულდებოდა როგორც დუდუკის თანხლებით, ასევე ჩონგურისა და გიტარის დამატებით. აღსანიშნავია, რომ ანა ვარდიაშვილი მეგობრობდა ელენე ახვლედიანთან, ისინი კლასელები იყვნენ. ვარდიაშ-

დეკანოზი დიმიტრი ვარდიაშვილი

ვილის ღვაწლი განსაკუთრებულია ქალაქური (თბილისური) ანსამბლის („დასტის") აღმოსავლური რეპერტუარის გაქართულებაში. აღსანიშნავია, რომ მან ანსამბლის ტრადიციულ საკვრავებს მესამე დუდუკი დაუმატა, რითაც შემდგომში შესაძლებელი გახდა სამხმიანი ქართული სიმღერების შესრულება. 1960 წელს ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ანა ვარდიაშვილს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. ხელოვნებათცმდონე ლია ბუაძე თავის სტატიაში „ჩვენი უკვდავების საიდუმლო" ანა ვარდიაშვილზე წერდა: „უფროსი თაობის წარმომადგენლები დღესაც ჰყვებიან ლეგენდებს მასზე. საოცარი პიროვნება ყოფილა. მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ... მამა 1924 წელს დაუხვრიტეს „სრულიად გასაგები მიზეზით" — იგი მღვდელი იყო. ჩამოართვეს ხისაივნიანი ლამაზი სახლი სოფელ საბუეში, სწორედ ის სახლი, რომლის შემოგარენს გატაცებით ხატავდა მისი მეგობარი ელენე ახვლედიანი. მიუხედავად იმისა, რომ მომღერალი ქალი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში, მაშინდელი „ელიტარული სამყარო" მას სდევნიდა, აქაოდა „სარდაფის ინსტრუმენტი" სცენაზე გამოიტანაო. არადა, მართლაც დაუვიწყარია მის მიერ დუდუკზე დამღერებული ჩვენი ხალხური ჰანგები, ის საოცარი მთლიანობა, ანა ვარდიაშვილის ხმა და ხალხურ საკრავთა მრავალხმოვანი აკონპანიმენტი რომ ჰქმნის")).

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №4964; საქმე №18533; საქმე №21364; საქმე №26546; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №3212; საქმე №62080; ფ. 1258, აღწერა 1, საქმე №4; ფ. 1698, აღწერა 1, საქმე №6; საქმე №7; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე 50; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1895წ. №13; 1896წ. №11; 1901წ. №11; გაზეთი „ივერია" 1905წ. №12, გვ. 2; Журнал „Вестник военного духовенства" 1892წ. №22; 1903წ. №8; 1905წ. №11; 1906წ. №3; 10; 1907წ. №3; 1910წ. №10; 1912წ. №24; 1913წ. №18; 1915წ. №1; №19; №21; გაზეთი „სახალხო გაზეთი" 1913წ. №944, გვ. 1; გაზეთი „საქართველო" 1915წ. №35, გვ. 4; 1916წ. №17, გვ. 4; №118, გვ. 3; გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი" 1989წ., 12 სექტემბერი, გვ. 7; ქუთათელი მიტროპოლიტ ნაზარის (ლეჟავა) საოჯახო არქივი.

ლიტ: იპ. ვართაგავა „ჩემი სკოლის ამხანაგები, მოწაფეები და მეგობრები" /მოგონებანი/ ქ. თბილისი 1948წ., გვ. 114-116; კ. ცინცაძე „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში" თბ. 1994წ., გვ. 253; „ქართველები პირველ მსოფლიო ომში" (კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გ. კალანდია), 2014წ. ქ. თბილისი, გვ. 86; „ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921" (რედაქტორი და შემდგენელი დ. შულლიაშვილი), ქ. თბილისი 2015წ., გვ. 480-484.

ავტორი
დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი არსენ ჭალაგანიძე 1840-1923/1924

დეკანოზი არსენ იოაკიმეს ძე ჭალაგანიძე 1840 წელს სამეგრელოს სამთავროში, სენაკის მაზრაში, სოფ. ნოსირში აზნაურის ოჯახში დაიბადა. სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. საეკლესიო ტიბიკონი და გალობა მარტვილის საკათედრო ტაძარში ისწავლა. 1873 წლის 6 მარტს სამეგრელოს ეპარქიის დროებითმა მმართველმა, არქიმანდრიტმა გრიგოლმა (დადიანი) მარტვილის საკათედრო ტაძრის მედავითნედ დაადგინა. 1873 წლის 21 მაისს მასვე დაევალა სამეგრელოს ეპარქიის კანცელარიაში მწერლის მოვალეობის შესრულება. იმავე წლის 2 აგვისტოს იმერეთის ეპარქიაზე სამეგრელოს ეპარქიის მიერთების გამო, რასაც ოჯახური მდგომარეობაც დაერთო, არსენი გათავისუფლდა მწერლის თანამდებობიდან. 1878 წლის 15 აპრილს სამეგრელოს ეპარქიის ქორეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) კერძო დიაკვნად გამოარჩია და მარტვილის საკათედრო ტაძრის კრებულში დაადგინა. 1880 წლის 20 აპრილს ქორეპისკოპოსმა ბესარიონმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა და იმავე ადგილზე დატოვა. 1882 წლის 15 მაისს მეორე დიაკვნის შტატში გადაიყვანეს. 1886 წელს, როდესაც გურია-სამეგრელოს ეპარქია შეიქმნა, დიაკონი არსენი ფოთის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. საკათედრო ტაძარში მეორე დიაკვნის შტატში დაინიშნა, სადაც 1887 წლის 8 სექტემბრამდე იმსახურა. 1887 წლის 8 სექტემბრიდან 1888 წლის 6 იანვრამდე უადგილოდ იყო. 1888 წლის 6 იანვარს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) მღვდლად დაასხა ხელი და ფოთის საკათედრო ტაძრის კრებულში დაადგინა. 1888 წლის 18 თებერვალს ალავერტის ოლქის სასულიერო გამომძიებლად დაინიშნა. 1889 წლის 3 მაისს წყემის წმ. ბარბარეს სახ. ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1889 წლის 29 ივნისს ერთგული და პატიოსანი სამსახურისათვის საგვერდულით დაჯილდოვდა. 1892 წლის 10 იანვარს თავისი ხარჯებით, ტაძართან გახსნა სამრევლო-საეკლესიო სკოლა, სადაც მასწავლებლად, მღვდელ არსენის თხოვნით, თავისი შვილობილი გიორგი მილორავა დაინიშნა, რომელმაც საქმეს კარგად გაართვა თავი და 1895 წლის დეკემბერში გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლო კომიტეტისაგან მადლობა გამოეცხადა. 1892 წლის 22 იანვარს მღვდელი არსენი მის მიერ გახსნილი სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა.

1893 წელს გაზეთ „მწყემსში" გამოქვეყნდა ვრცელი სტატია, სადაც მღვდელ არსენის დამსახურებებსა და საქმეებზეა საუბარი. წერილი უავტოროა. მისი სათაურია „კეთილი მწყემსის გავლენა მთელს მის სამწყსოზე": *„ვინ არ იცის, რომ ხალხის კეთილდღეობა დამყარებულია იმ გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე, რომლის შემწეობითაც კაცი ხერხიანად ებრძვის ბუნებას და ამ ბრძოლაშიდ სრულიად არ ეხება თავის თანამოძმის ინტერესებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა განვითარებას ერთობ მოკლებულია ხალხი, როგორც საზოგადოთ, ეგრეთვე ნამეტურ ჩვენში. მიზეზი ამისა, რასაკვირველია, არის ის განცალკევება, რომელიც სუფევს უბრალო ხალხისა და ინტელიგენციის შუა. ვინც კი დაკვირვებია ჩვენი სოფლელების ცხოვრებას, ის უსათუოდ შენიშნავდა, რომ ის სოფელი, რომელსაც ბედმა შემთხვევით არგუნა ერთი ანუ ორი ცოტათი მაინც განათლებული კაცი, ბევრათ განირჩევა იმ სოფლებიდამ, რომელსაც ეს ბედი არ შეხვედრია.*

როგორც მაგალითი ამისთანა გონებრივ განვითარებული კაცის გავლენისა მთელს სოფლის მცხოვრებლებზედ, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ს. წყემის (სენაკის მაზრა) მრევლის მღვდელი. 3 წელიწადია, რაც ფოთის საკათედრო ტაძრიდამ წყემის წმ. ვარვარას ეკლესიაშიდ გარდმოყვანილია მღვ. ა. ჭ — ძე. ამ 3 წლის მოღვაწეობა ამა პატივცემულის და ღირსეულის მღვდლისა იმდენათ რთული და ნაყოფიერია თავის სამრევლოსათვის, რომ არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ ვსთქვათ ამ საგანზედ.

სავსე კეთილის გრძნობით და გამსჭვალული ხალხისადმი სამსახურის სურვილით, მ. ა., რაკი დამკვიდრდა ახალ სამრევლოშიდ, იმ წამსვე შეიქნა ხალხისათვის საუკეთესო მოძმედ და, რასაკვირველია, მალე მოიხვეჭა მისი სიყვარულიც. როგორც მოძღვარი, ის არა სჯერდება თავისი აუცილებელ მოვალეობის ასრულებას, რომელსაც შეადგენს თავის დროზედ წირვა-ლოცვა და სხვა წმ. საიდუმლოების აღსრულება. ის დაუახლოვდა ხალხს და ნიადაგ მისი საუკეთესო მრჩეველია ყოველ-ნაირ გაჭირვებაშიდ. ეწვევა თუ არა რაიმე უბედურება რომელსამე ოჯახს სამრევლოშიდ, მ. ა. იმ წამსვე მიეშურება იქ და თავის გონიერი და გრძნობით სავსე სიტყვით ამხნევებს მთელს ოჯახობას და ამ სულიერ გამხნევებასთან, როდესაც საჭიროება მოითხოვს, არ აკლებს, შეძლებისა გვარად, არც ნივთიერ დახმარებას.

ჩვენ, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ თითოეულად ის კეთილ-მოქმედება, რომელიც უსათუოდ მიუძღვის მ. ა — ს თავის სამრევლოსადმი, ამისათვის საჭიროდ ვრაცხთ იმის მრავალ კეთილ-მოქმედებიდამ აღვნიშნოთ მხოლოდ უმთავრესი და

იმისთანა, რომელსაც აქვს საზოგადოებრივი ხასიათი. გარდა იმისა, რომ შრომით და შემწეობით ამა ღირსეულ მღვდლისა დამშვენებულია თვით წმ. ვარვარის ეკლესია, რომელიც აქამდისინ ერთობ ცუდს მდგომარეობაში იყო, მისივე მოთაობით და მოქმედებით ს. წყემში გაკეთდა მრავალი გზა. სადაც აქამდისინ ავდრიანობის დროს კაცს ვერც კი შეეძლო გავლა და პირუტყვებიც ეგრე უწყალოდ იხრჩობოდენ ტბა-ტალახებში, ეხლა მ. არ — ის შემწეობით და შრომით მშვენიერი გზატკეცილია გამართული და რაც უნდა ავდარი იყოს, მგზავრი თავისუფლად დადის. ეს გარემოება მით უფრო სასიამოვნოა და მოსახსენებელი, რომ, ზოგ ჩვენს ადმინისტრატორებს ბევრათარ ანუხებს ჩვენი სოფლების უგზოობა. ეს არის მიზეზი კიდევაც, რომ მახლობელი სოფლელები შენატრიან ს. წყემის მდგომარეობას, სადაც არის, ხალხის სიტყვით, იმისთანა „თავიანთი კაცი", როგორიც ბრძანდება მ. არსენი.

როგორც მოეხსენებათ მკითხველებს, სამეგრელოს საზოგადოება ამ ჟამად ძრიელ ააშფოთა ჩვენი უმეცარ მეცნიერების ბოროტ გამორკვევამ შესახებ მეგრულის ლიტერატურისა. საზოგადოებას ცოტა არ შეშინებია თვით სარწმუნოების შებღალვისაც. ამისთანა მდგომარეობაში, რასაკვირველია, ჩვენი სამრევლო სკოლები შეიქნენ ხალხისათვის იმ საფრათ, სადაც კაცი ეგრე სისწრაფით იფარავს თავს მავნებელ ქარიშხლისაგან. როგორც წუნკი ქორის დანახვა ზედ ქათმის ნიწილები მიეშურებიან დედისაკენ და იმის ფრთებ ქვეშ ეძებენ შველას, ეგრეთვე ამ ჟამად ჩვენი ბავშვები რალაც, ინსტიქტიურად, თითქოს მოსჩვენებოდეთ რალაცა ქორის მსგავსი, მიეშურებიან სამრევლო სკოლებისაკენ.

ამისთანა მდგომარეობაშიდ, რასაკვირველია, ჩვენში სამრევლო სკოლებს დიდი მნიშვნელობა ექნებათ. ეს მნიშვნელობა კარგად აქვს შეგნებული მამა ა — ნს, რომელსაც დიდი შრომა და ნივთიერი დახმარება მიუძღვის წყემში სამრევლო სკოლის დაარსებისათვის. მ. არ — მა თავის ხარჯით ააშენა ამ სკოლისათვის სადგომი, რომელიც დაუჯდა 300 მანეთამდის. სკოლას აქვს მოშენებული პატარა ბაღი, სადაც შაგირდები თავის დროზედ დიდის ნადილით მუშაობენ. მამა არ — ნის ზედამხედველობით და მოღვაწეობით ეს ბაღი ზაფხულში ძრიელ სასიამოვნო სანახავია. გასრულ მარიამობისთვეში ამ სკოლას ენვია მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგორი და დიდათ კმაყოფილი დარჩა ამ სკოლის ბავშვების ბეჯითი და მარჯვე პასუხით.

ძრიელ სასურველია, რომ მ. არ — ის მაგალითი არ დარჩეს უყურადღებოდ მის მოძმეთაგან და მათაც მიბაძონ მის საქებ საქციელს".

1894 წლის 15 თებერვალს განათლების დარგში შეტანილი ღვაწლისათვის ეპისკოპოსმა გრიგოლმა მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1894

წყემის წმ. ბარბარეს ტაძარი

წლის 3 მაისს, საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენსკი) მას უმწიკვლო და დამსახურებული სამსახურის გამო, სკუფია უბოძა. 1894 წლის 15 მაისიდან 1897 წლის 20 აგვისტომდე ოლქის სამღვდელოების მხრიდან იყო დეპუტატი სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის საქმეებზე. 1897 წლის 20 აგვისტოს ნოსირის ოლქის სამღვდელოებამ თავის სულიერ მოძღვრად აირჩია და 1898 წლის 23 იანვარს ეპისკოპოსმა გრიგოლმა დაამტკიცა ამ პოსტზე.

1900 წელს მღვდელმა არსენმა გადაწყვიტა სკოლის აშენება წყემის ტაძართან და მხარდაჭერისა და დახმარებისათვის ქართულ საზოგადოებას მიმართა. აი, რას წერდა იგი გაზეთ „ივერიაში" ამასთან დაკავშირებით: „განვიზრახე-რა აგება სკოლის შენობისა ჩემდამო რწმუნებულის წყემის წმიდის ბარბარეს ეკლესიასთან, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, მივმართე თხოვნით ნათესავებს და ნაცნობებს, რათა აღმოეჩინათ ჩემთვის ნივთიერი შემწეობა; თხოვნა ჩემი შეწყნარებულ იქმნა: ბ-ბმა ალექსანდრე რატიანმა, სპირიდონ ნარაკიძემ, ყარამან ჯავახიამ და ალექსანდრე მელიამ აღმომიჩინეს დიდი შემწეობა როგორც თავიანთი საკუთრებიდამ, ისე სხვებისაგან ფულების მოგროვებით, რისთვისაც მათ მე და სრულიად ჩემი სამრევლო შევწირავთ უღრმესს მადლობას და აგრეთვე სხვა შემომწირველებსაც დიდად ვმადლობთ". წერილს დართული აქვს შემომწირველთა სია. სულ შეგროვდა 252 მანეთი და 90 კაპიკი. 1905 წლის 6 მაისს მღვდელი არსენი სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

1910 წლის 29 აგვისტოს მღვდელმა არსენ ჭალაგანიძემ მღვდელ პირფილე იესეს ძე სისორდიასთან ერთად მრავალი ხალხის თანდასწრებით აკურთხეს სოფ. ნოსირის სახალხო სამკითხველო. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ქართულ პრესაში უცნობი კორესპონდენტი ფსევდონიმით „ივანე": *„ნოსირის სამკითხველოს კურთხევას ადგილობრივი მღვდელი არ დასწრებია. ამ მღვდელს დიდ მოანგარეს სახელი აქვს დავარდნილი და ხალხი ოხუნჯობ-*

დეკანოზი არსენ ჭალაგანიძე მეუღლესთან ერთად

და: ალბათ იმიტომ არ მობრძანდა, რომ ვერას მიიღებდაო. გათავდა თუ არა კურთხევა, მამა არსენმა ხალხს მიულოცა სამკითხველოს გახსნა, და ორიოდე სიტყვით შეეხო სამკითხველოს მნიშვნელობას".

მღვდელი არსენი 1912 წლის 15 მაისს წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს ისევ წყემის ტაძრის წინამძღვრად იხსენიება და დეკანოზის ხარისხი აქვს.

ჰყავდა მეუღლე აგრაფინა სილიბისტროს ასული (დაბ. 1867წ.). შვილები არ ჰყავდა. მან იშვილა და გაზარდა გიორგი მილორავა, რომელიც მასთან მედავითნედ მსახურობდა. მისი შთამომავლები შემდეგ ცნობებს გვაწვდიან მღვდელ არსენის შესახებ: *„გურია-სამეგრელოს ეპარქიის №1 საბლალოჩინო ოლქის ბლალოჩინი არსენი გადმოცემით ქუთაისის გუბერნიის სოფელ ბზვანიდან ყოფილა. იგი ეკლესიის ახლოს მეუღლესთან, აგრაფინა ჭალაგანიძესთან ერთად ცხოვრობდა. არსენს შვილი არ ჰყავდა და უშვილებია სამრევლო სკოლის მასწავლებელი გიორგი მილორავა, რომელიც შემდეგ ლონდონში (სხვა ვერსიით პეტერბურგში) სასწავლებლად გაუგზავნია. ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი მამა არსენთან ერთად წყემის ეკლესიაში დიაკვნად მოღვაწეობდა. მისი მეუღლე აგრაფინა არსენამდე გარდაიცვალა ჭლექით და ეკლესიის ეზოში დიდი ცაცხვის ძირას დაუსაფლავებიათ. თავად მამა არსენი კომუნისტების დროსაც მოესწრო და საკმაოდ მოხუცი გარდაიცვალა. სოფლის მკვიდრ უხუცესებს კარგად ახსოვთ მღვდელი არსენი. ერთი ასეთი გადმოცემაც კი არსებობს, რომ კომუნისტებს იგი გაუპარსავთ და ვირის კუდზე მიბმული სოფელში ჩამოუტარებიათ. მამა არსენის შვილიშვილი იხსენებს, რომ ბაბუას შეურაცხყოფა და გაპარსვა ყოველთვის სურდათ კომუნისტებს, მაგრამ მამა (ანუ მამა არსენის შვილობილი) არ აძლევდათ უფლებასო. მამა არსენის გარდაცვალებაც კარგად ახსოვთ, უამრავი ხალხი მისულა სანთლებით ხელში. მამა გიორგის იგი მეუღლის, აგრაფინა ჭალაგანიძის გვერდით დაუსაფლავებია".*

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №48043; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №54; გაზეთი „მწყემსი" 1893წ. №2, გვ. 5-6; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1894წ. №10; 1899წ. №11; 1905წ. №11-12; გაზეთი „ივერია" 1900წ. №57, გვ. 4; გაზეთი „სახალხო გაზეთი" 1910წ. №102, გვ. 3; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1912წ. №11; გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" 2002წ. №3, გვ. 8.

ავტორი დიაკონი
გიორგი მაჩურიშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონები: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი მიხეილ გურგენიძე „შემწე, მზრუნველი და ყოველივე კეთილის მსურველი სტუდენტებისთვის“ 1822-1868

დეკანოზი მიხეილ სვიმონის ძე გურგენიძე 1822 წლის 30 ოქტომბერს ქ. თბილისში მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1837-1843 წლებში თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, სადაც საფუძვლიანი განათლება მიიღო. კარგად ფლობდა რუსულ სალაპარაკო ენასაც. 1843 წელს მიხეილი დაქორწინდა მელანია გაბრიელის ასულზე (დაბ. 1823წ.), რომელთანაც 1844 წელს ერთი ასული — მარიამი შეეძინა. 1843 წლის 10 ოქტომბერში თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა ევგენიმ (ბაჟენოვი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 17 ოქტომბერს მღვდლად დაასხა ხელი და თბილისის მაცხოვრის მირქმის სახ. ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. 1845 წლის მიწურულს თბილისის ეკლესიების მთავარხუცესის თანაშემწედ დაინიშნა. ამავე წელს დაქვრივდა. 1848 წელს, როდესაც აღიძრა საკითხი მოსკოვში ქართული საღვთო და საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნების ბეჭდვისა, მამა მიხეილს, როგორც ქართულის კარგად მცოდნეს, დაევალა კორექტორობა და ამ მიზნით გაიგზავნა მოსკოვში. აქ იგი დაუახლოვდა ქართველ ბატონიშვილებს, საქართველოს უკანასკნელ დედოფალ მარიამს, რომელმაც ჩარიცხა იგი თავის ამალაში. 1850 წელს დედოფლის გარდაცვალების შემდეგ, დაეინიშნა პენსია 400 მანეთის ოდენობით. 1850 წელსვე დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტში და აგრეთვე მოსკოვის კონსტანტინეს სამიჯნაო ინსტიტუტში. 1857 წელს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1859-1960 წლებში თან ახლდა ქართველ ბატონიშვილებს საზღვარგარეთ მოგზაურობისას, მათთან ერთად მოიარა ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები. იყო ქველმოქმედი, თავმდაბალი, მოყვარული სამშობლოსი და მამობრივად მზრუნველი რუსეთში მოსწავლე ქართველი სტუდენტებისა. 1864 წლიდან ითხოვა საქართველოში დაბრუნების ნებართვა, მაგრამ რატომღაც მისი დაბრუნების საკითხი დროში გაიწელა. 1868 წელს, სააღდგომოდ, დეკანოზი მიხეილი გაცივდა და იმავე წლის 18 ივლისს, მოსკოვში ჭლექით გარდაიცვალა. დაასაფლავეს 21 ივლისს.

მოსკოვი. 19 ს-ის გრავიურა

მოსკოვში დეკანოზ მიხეილის დაკრძალვას დაესწრო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ცხვედაძე, რომელმაც გაზეთ „დროებაში“ მცირედი წერილიც გამოაქვეყნა მის შესახებ. იგი მოკლედ აღწერს მის ცხოვრებას და საუბრობს მის დადებით თვისებებსა და სიკეთეზე, რაც მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე აღასრულა. აი, რას წერდა იგი: **„განსვენებულ დეკანოზ მიხეილ გურგენიძის ხასიათში სხვათა შორის ის იყო შესანიშნავი, რომ მხოლოდ ის ქართველები უყვარდა, რომელიც თავის საქმეს ბეჯითად ეკიდებოდნენ. ამგვარი ყმაწვილისათვის ის თავს არ ზოგავდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ გვარი კაცები თავის დროზე გამოსადეგი იქნებიან თავის ქვეყნისათვის. რამდენ ახალგაზრდა ქართველს, სწავლის მიღების მსურველს, კუჭი რომ დასწვია შიმშილისაგან, დაუწყვია სანსალი აქა იქ, რომ, რა არის, შეხუდეს ვისმე კეთილ კაცს და ხელი გაიმართოს. მაგრამ საუბედუროდ ამ გვარი გაჭირვებული ყმაწვილები ერთი კაცის მეტს ძნელად პოულობდნენ, იმისთანა კაცებსა, რომლებსაც თავიანთ ქუეყანა ჰყვარებოდათ და ამისა გამო თავიანთ ქუეყნის კაცებისათვის არაფერი დაეზოგათ. ეს ერთი კაცი იყო განსვენებული დეკანოზი მიხეილ გურგენიძე. ვისაც მოსკოვის უნივერსიტეტში და სასულიერო აკადემიაში შეუსრულებია კურსი, ყველამ იცის ამისი გულკეთილობა და ლტოლვილობა მისდამი, რომ მიუცია შემწეობა შევიწროებული სტუდენტებისათვის. არათუ მოსკოველებს, პეტერბურღის სტუდენტებ-**

საც კი აძლევდა შემწეობას. ბევრჯელ საქართველოში წამოსასვლელად უთხოვნიათ ფული სესხად და ამ ცხონებულს შვიდ-შვიდ თუმნობით და ათ-ათ თუმნობით მიუცია. განსვენებულის მზრუნველობა აქაურ ქართველებზე იქამდინ მიაღწევდა, რომ სტუდენტს სიკვდილის დროსაც ეს უხდებოდა პატრონად. ამის ხელში სამიოდ სტუდენტი მომკვდარა და სამივე ამას დაუმარხავს.

მარიამ დედოფალი

აი, ამ მიმართულებისა, მხურვალე სიყვარულის მქონე თავის მამულისადმი, გონიერი მამა აქაური ქართველებისა იყო ის კაცი, რომელიც 18 ივლისს გარდაიცვალა და 21-ს გამოასვენეს ქართველი ბატონიშვილების კარის ეკლესიიდან და გაამგზავრეს დიდი ცერემონიით იმ საიქიოს.

დეკანოზი მიხეილი ამ სოფლად მოკვდა; მაგრამ არ მომკვდარა და არც მოკვდება მისი სახელი ჩვენ ყმაწვილ კაცებს შორის. ახალ თაობას მოსდევს იმოდენი ძალი, სიმართლის სიყვარული და ცოცხალი მეხსიერება, რომ მაგ გვარი მიმართულების კაცების სახელი ჩაიბეჭდოს თავის გონებაში და ღირსეულად მოიხსენიოს ხოლმე".

ვრცელი წერილი მიუძღვნა განსვენებული დეკანოზ მიხეილის დამსახურებებს **ვ.გამრეკელმა,** რომელიც პირადად იცნობდა მოძღვარს. აი, რას წერდა იგი მის შესახებ: „პირველად ყოველმა, ვინც კი ვიცნობდით დეკანოზ მიხეილ გურგენიძეს, უნდა შევსწიროთ გულითადი მადლობა ნ. ცხვედაძეს, რომელსაც გამოუხატავს ცხოვრება, მიმართულება და კეთილკაცობა გარდაცვალებულის დეკანოზისა მოკლედ და სრულის სიმართლით; მეორედ უნდა ვუსამძიმროთ ყოველს ქართველს სტუდენტს, რომელიც ეხლა არის და იქნება მოსკოვის უნივერსიტეტში და სხვა მოსკოვის სასწავლებლებში, რომელმაც მამა დეკანოზს მიხეილ გურგენიძეში დაკარგა შემწე, მზრუნველი და ყოველივე კეთილის მსურველი სტუდენტებისთვის. არა თუ მარტო ახალგაზრდა ყმაწვილებს მართებს მწუხარება გარდაცვალებულის დეკანოზისათვის, არამედ ყოველს ქართველს; ერთი მხრით იმითი, რომ ყოველს მამას, რომელიც გზავნიდა თავის შვილს მოსკოვში სასწავლებლად, უნდა ჰქონიყო სრული იმედი, რომ დეკანოზი გურგენიძე აღმოუჩენდა მის შვილს ყოველს მამობრივს მზრუნველობას; მეორედ, რომ მისი მზრუნველობა და მეცადინეობა იმაზე იყო მიმართული, რომ ყველა ქართველი სტუდენტები კარგად მომზადებულნი დაბრუნებულიყვნენ ჩვენს სამშობლოში და ყოფილიყვნენ სასარგებლო ქართველთათვის. მე ვიყავი ერთი მათგანი, რომელნიც ვიცნობდით ნეტარ-ხსენებულს დეკანოზს მ. გურგენიძეს დაახლოებით, გამოვცადეთ მისი მამობრიული დაუყოვედრებელი მზრუნველობა, და ვიცოდით მისი პატიოსნური აზრები და მიმართულება. ის იყო ერთი წყნარი და უწყინარი კაცი; ყოველთვის ცდილობდა, რომ მის კეთილ მოქმედებას არ ჰქონიყო ფარისევლური პირმოთნე სახე, ამიტომ არა მგონია, რომ ბევრნი ყოფილიყვნენ ამისთანანი, რომელნიც იცნობდნენ დეკანოზ მ. გურგენიძეს.

მე ვრაცხ ჩემს მოუცილებელს ვალად, რომ ვაცნობო მკითხველებს „დროებისას" რამოდენიმე კეთილი საქმე ნეტარ ხსენებულის გურგენიძისა, რომელნიც იქმნება დამატებად საქებარის სიტყვებისა ნ. ცხვედაძისა.

როდესაც 1859 წელს მე მივედი მოსკოვში, პირველი პირი, რომელიც მე გამაცნეს სიტყვიერად ქართველთ სტუდენტებმა იყო დეკანოზი მ. გურგენიძე. მათ მარწმუნეს, რომ ამ უცხო ქვეყანაში ნურასფრის გაჭირვებისა ნუ გეშინიანო, რადგანაც გურგენიძე უეჭველად და ყოველს შემთხვევაში აღმოგიჩენს მამობრიულს შემწეობას და მზრუნველობას. იმ დროს დეკანოზი გურგენიძე იყო საზღვარგარეთ. როდესაც მობრუნდა იქიდგან, ცდილობდა, რომ გადმოეცა ჩვენთვის ის, რაც შეიძინა თავის მგზავრობით. შენიშნა სხვადასხვა ხალხებზე და ყოველივე განათლების ნაყოფი, რაც დაენახა მას თვალით.

პირველი ნახვისთანავე მისმა ფრიად სიმპატიურმა სახემ ჩანერგა ჩემს გულში მისი სიყვარული, სრული მასზედ ნდობა, რომელიც არის დიდი იმედი იმათთვის, რომელნიც მოცილებულნი არიან თავის მშობლებს და გარშემო არა ჰყავს გულ-მტკივნელი ვინმე. მე მოგითხრობთ რამოდენსამე იმ მრავალს მის კეთილს მხარეებთაგანს, რომელიც ჩემის თვალით მინახავს და თვითონაც გამომიცდია. მე ვიდექი მოსკოვში ერთად ერთს ოთახში ერთს ყმაწვილ კაცთან ქართველთაგანთან, რომელიც ემზადებოდა უნივერსიტეტში შესასვლელად, ეს იყო — დიმიტრი მ — ხიშვილი. ეს ყმაწვილი კაცი იყო ძალიან კარგი მიმართულების, წყნარი და იმედი იყო, რომ ის სასარგებლო კაცი შეიქმნებოდა. გახდა სიჭლექით

ავათ და ექიმებმა იმედი გადაიწყვიტეს მის მორჩენაზე. დეკანოზმა მ. გურგენიძემ, რომელიც ძალიან ცდილობდა მისთვის და ყოველს მეცადინეობას ხმარობდა, რომ ის მომზადებულიყო და შესულიყო უნივერსიტეტში, როდესაც მე შევატყობინე ზემოხსენებული ექიმების გადაწყვეტილება, ძალიან შესწუხდა და მითხრა, რომ რა გაეწყობაო, ახლა უნდა ვეცადოთო, რომ ეგება ცოტა მოკეთდესო და შინ გავგზავნოთო. ყოველ დღეს, ხან ერთხელ და ხან ორჯერ მოვიდოდა და იჯდა ავადმყოფთან რამდენიმე საათობით; როდესაც მე სახლში არ ვიყავი, ის სულ მიუცილებლივ მასთან იყო; გარდა ამისა, წამლები. სხვადასხვა ნაირი საჭმელები, რომელსაც ექიმები უნოშნავდნენ, ყოველსავეს ის უგზავნიდა. ერთის სიტყვით უკანასკნელს საათამდის დეკანოზი გურგენიძე არ მოსცილებია მას. იმ დღეს, როდესაც მოკვდა დიმიტრი მ — ხიშვილი, მე მქონდა ეგზამენი და ამის გამო არ ვიყავი სახლში. როდესაც მოვბრუნდი და შევედი სახლში, დავინახე, რომ მიცვალებული გადმოეღო კრაოტიდგან და თავის ხელით ჰბანდა; როცა შემოსა მიცვალებული და დაასვენა კრაოტზე, დაიწყო ცხარის ცრემლით ტირილი; ერთის სიტყვით ისეთი იყო მისი მოქმედება იმ შემთხვევაში, როგორც მშობელი მამისა — გასვენება და დამარხვა მან მიიღო თავის თავზე: გაუკეთა მშვენიერი კუბო და გაასვენა დიდის პატივით, ყველა ქართველი სტუდენტების დასწრებითა.

ნიკო ცხვედაძე

მეორე შემთხვევა მე გამოვცადე თვითონ ჩემს თავზე. უკანასკნელს დროში, როდესაც ვათავებდი მე კურსს ეგზამენების დროს გავხდი ავათ, ვიგრძენ გულის ტკივილი და სისხლსაც მაფურთხებინებდა. რასაკვირველია ამ შემთხვევამ ძალიან შემაშინა; მაგრამ ჩემს ნაკლებ არც დეკანოზი გურგენიძე შეაწუხა. რომელთაც მე გამიშინჯეს გული, იმ ექიმებთან მიდიოდა და ჰკითხვიდა: ხომ არაფერი უჭირსო, ხომ ეგზამენები არ აწყენს მის სნეულებასაო; როდესაც მათ იმედი უთხრეს, მოვიდა ჩემთან და მაიმედებდა: გაათავე ეგზამენები, არა გიჭირს რაო, თუ რამე გინდაო ყოველის მოურიდებლათ მითხარიო. რასაკვირველია, რომ ამ მის მზრუნველობას მე ჩემს სიცოცხლეშიაც ვერ გადაუხდიდი, მაგრამ ის იმითი აკმაყოფილებდა თავის კეთილს აზრს. და რამოდენიმე გარდა ამ მაგალითებთა ხუთის წლის განმავლობაში ვნახე მისი კეთილი საქმეები, მხოლოდ მისი სამწუხარო ეს იყო ყოველთვის, როდესაც ქართველი სტუდენტები ზარმაცობდა, როდესაც ჩვენგანი ვინმე გაათავებდა ეგზამენს, იმან იმავე დღეს იცოდა, ვინ რა ბალი მიიღო.

ნეტარხსენებულო დეკანოზო მიხეილ! ეს რამოდენიმე ჩემი სიტყვა იყო დამამტკიცებელი იმისა, რომ შენი კეთილი მოქმედება არ არის დავიწყებული და დასასრულ ვისურვებ, რომ შენს კეთილ გზაზედ გამოვიდნენ მრავალნი, რომელთაც აღუდგენენ უკვდავს ძეგლს თავის გულში, ყოველი ყმაწვილი მოსწავლე ქართველი".

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე 62080; გაზეთი „დროება" 1868წ. 33, გვ. 2; 39, გვ. 1.

ლიტ: ბერძნიშვილი მაქსიმე „მასალები XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის". ქ. თბილისი, 1980წ., ტ. I, გვ. 200.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41
რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ეკატერინე ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გავრცელება ზაზ უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ეპისკოპოს გობრონის დასაფლავება

ქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) წმინდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით ეპისკოპოსად დაასხა ხელი და წილკნის ეპარქიის კათედრაზე დაინიშნა. **„ვიცი, მომაკვდავი ვარ, — აღნიშნა ეპისკოპოსმა გობრონმა, — მაგრამ ისეთი მადლი გადმოდის ეპისკოპოსად კურთხევის დროს კურთხევაზე, რომ ვინ იცის, იქნებ ღმერთმა ინებოს და გამომაჯამრთელოს და მეც შევძლო ეპისკოპოსად მოღვაწეობა“.** ზუსტად 48 დღე იყო მეუფე გობრონი წილკნის ეპისკოპოსი, და ისე გარდაიცვალა, რომ ვერც სვეტიცხოველში ჩავიდა და ვერც სამღვდელმთავრო წირვა-ლოცვა აღასრულა.

1954 წლის 20 თებერვალს ერთმანეთს შეხვდნენ კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის გ. ი. გოგოლაშვილი. საუბარი შეეხებოდა ეპისკოპოს გობრონის ხელდასხმას. გოგოლაშვილს აინტერესებდა, თუ სად იყო ეპისკოპოსი გობრონი და რატომ არ ჩანს ის მცხეთაში. კათოლიკოსმა უპასუხა, ჩვენი ცნობით, იგი ხელდასხმის მეორე დღიდან ლოგინად ჩავარდა და თბილისში, საკუთარ სახლში მკურნალობს. მასთან სტუმრად იყო და მოინახულა დეკანოზმა რომანოზ პეტრიაშვილმა, რომელმაც გადმომცა ეს ინფორმაცია. ამ დღეებში მე თავად ვაპირებ მასთან მისვლას და ვითარებაში გარკვევასო. ამ საუბრიდან ორ დღეში, კათოლიკოსი კვლავ შეხვდა რწმუნებულ გოგოლაშვილს და მოახსენა, რომ გუშინ, თერთმეტის ნახევარზე, ეპისკოპოსი გობრონი მოულოდნელად გარდაიცვალაო.

1954 წლის 11 მარტს, კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, პ. გაგოშიძე რწმუნებულ გ. ი. გოგოლაშვილს ოფიციალურ ბარათს უგზავნის, სადაც ვკითხულობთ: **„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კანცელარია ამით მოგახსენებთ, რომ წილკნელ ეპისკოპოსად ახლად ხელდასხმული ყოვლადსამღვდელო გობრონი ამა წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა“.**

ეპისკოპოსი გობრონი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის გალავანში, ტაძრის სამხრეთით, ეპისკოპოსების - პავლესა (ჯაფარიძე) და ტარასის (კანდელაკი) გვერდით დაასაფლავეს.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1699, აღწერა 1, საქმე №50; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღწერა 1, საქმე №1; ფ. 1879, აღწერა 1, საქმე №8; საქმე №26; საქმე №27; საქმე №31; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №729; საქმე №893; საქმე №1279; საქმე №2008; საქმე №2565; გაზეთი „საქართველო“ 1919წ. №122, გვ. 2.

ლიტ: ჟვანია ზ. „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან“, ქუთაისი 1994წ., გვ. 90-91.

დიაკონი
გიორგი მაჩურიშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე;
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გავრცელება ზაზ უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

საპატრიარქოს სიტყვანი

ისტორიის ფურცელი

ეპისკოპოსი გობრონი (წკრიალაშვილი) 1899-1954

ეპისკოპოსი გობრონი, ერისკაცობაში — მიხეილ ეფრემის ძე წკრიალაშვილი, 1899 წლის 21 ნოემბერს, ქ. თბილისში, მოქალაქის ოჯახში დაიბადა. მამამისი — ეფრემ ანდრიას ძე წკრიალაშვილი წარმოშობით იყო გორის მაზრის სოფ. შავშვებიდან. იგი 1907 წელს გარდაიცვალა. დედა — დარია ზაქარიას ასული ნადირაშვილი სოფ. კავთისხეველი გლეხის ქალი იყო.

ეპისკოპოსი გობრონი (წკრიალაშვილი)

1907-1912 წლებში მიხეილი კუკიის პეტრე დიდის სახ. სამოქალაქო ოთხწლიან სკოლაში, ხოლო 1912-1916 წლებში — თბილისის სახელოსნო ოთხწლიან სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა. 1918 წლის 26 იანვარს იგი თბილისის ახალგახსნილ უნივერსიტეტში (1918 წლის 3 სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სადაც 1919 წლის 2 დეკემბრამდე სწავლობდა. 1918 წლის 4 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ III-ის (საძაგლიშვილი) ლოცვა-კურთხევით, იგი მონაზვნად აღიკვეცა, სახელად გობრონი ეწოდა და საკათალიკოსო სასახლის კარის ეკლესიას მიაწერეს, ხოლო ოფიციალურად იგი მარტყოფის „ღვთაების" მონასტრის საძმოში ჩაირიცხა. 1919 წლის 3 თებერვალს მონაზონი გობრონი თბილისის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ იოანეს (მარღიშვილი) წერდა: **„თქვენო მაღალ ღირსებავ! უმორჩილესად გთხოვთ, აღძრათ შუამავლობა მათის უწმინდესობის წინაშე, რათა გადმოყვანილ ვიქმნე და ჩარიცხულ ძმათა შორის თქვენ მიერ რწმუნებულ მონასტერში".** როგორც საეკლესიო საბუთებიდან ჩანს, მონაზონი გობრონი პარალელურად თბილისის წმ. მარინეს სახ. ტაძარში მედავითნეობდა, რაც მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოანეს გულისწყრომას იწვევდა, რადგან თავად ფერისცვალების მონასტერი წირვა-ლოცვის გარეშე რჩებოდა. ამის გამო იგი კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს (ოქროპირიძე) წერდა: **„დღევანდელ დიდებულ დღეს, როდესაც, სულ უკანასკნელ ღარიბ და მთებში გადაკარგულ სოფელშიაც კი უსათუოდ შეიწირება უსისხლო მსხვერპლი, აქ თქვენი მეუფების ქალაქის მონასტერში, სადაც განისვენებენ დიდებული სიწმინდეები და წმ. ნაწილნი, არ გაღებულა დღეს კარი სამონასტრო ტაძრისა... გული ბოლმით მევსებოდა, როდესაც მლოცველთ ვაბრუნებდი უკან... მართალია, დღეს მონასტერში ითვლებიან კრებულის წევრებად მწირბერი გობრონი და მღვდელ-მონაზონი ამბროსი, მაგრამ მხოლოდ იურიდიულად, ფაქტიურად კი, პირველი მათგანი მედავითნეობს წმ. მარინეს ეკლესიაში, ხოლო მეორე, მღვდელ-მონაზონი ამბროსი, დღიდან მის გადმოსვლისა მონასტერში, მღვდლის თანამდებობას ასრულებს მეტეხის ციხის ეკლესიაში. მოვახსენებ რა თქვენს უწმინდესობას ამ ფრიად სამწუხარო, მეტი რომ არ ვსთქვათ, მოვლენაზე, უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს უწმინდესობას, რათა რაიმე ხელმძღვანელობითი განკარგულება მიბოძოთ".** ამ ეტაპზე საბუთებიდან აღარ ჩანს, თუ რა ღონისძიებები გაატარა უწმინდესმა ლეონიდემ მათ მიმართ, თუმცა შემდგომ წლებში, მწირმონაზონი გობრონი და მღვდელ-მონაზონი ამბროსი ისევ ფერისცვალების მონასტრის საძმოში ირიცხებიან.

გარდა წმ. მარინეს ტაძარში მედავითნეობისა, მონაზონი გობრონი იმ პერიოდში ყოფილ თბილისის საგუბერნიო 1 საპყრობილეში მწერლადაც მუშაობდა. 1919 წლის 2 ივნისს ბოროტმოქმედებმა დაარბიეს არმაზის ღვთისმშობლის მონასტერი და მოკლეს იქ მოღვაწე არქიმანდრიტი მირიანი (ბექაური) და მორჩილი გიორგი. საქართველოს საკათალიკოსო კანცელარიის დავალებით მონაზონი გობრონი არმაზის მონასტერში მიავლინეს ვითარების გასაცნობად. იგი, თბილისში დაბრუნებული, გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე წერდა: **„7 თიბათვეს მე თვითონ დავბეჭდე მონასტრის კარები და კომისრის განკარგულებით მილიციონერიც ჩავაყენე. მამა მირიანი უგზო-უკვალოდ არის დაკარგული, მოკლულია მხოლოდ მისი მორჩილი „გაგა" და მონასტერიც გაძარცვულია. უმორჩილესად გთხოვთ,**

ყოველნაირი ცნობები მირიანის შესახებ გვაცნობოთ ამ მისამართით:თბილისის ფერისცვალების მონასტერი, მამა გობრონს". რამდენიმე დღის შემდეგ მამა მირიანის ცხედარი მართლაც იპოვეს იქვე ახლოს, ერთ-ერთ ხევში, მოკლული და ნაწამები.

1919 წლის 28 ივნისს სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) იგი დიაკვნად აკურთხა. 1919 წლის 10 ივლისს ახლადნაკურთხი ბერ-დიაკონი გობრონი სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წერდა: **„უმორჩილესად გთხოვთ, მომცეთ თავისუფალი მწერლის ადგილი თქვენ მიერ რწმუნებულ სამწერლობოში".** 1920 წლის 14 თებერვალს თბილისის საეპარქიო საბჭოს მდივანი, დავით დავითაშვილი თბილისის საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს, დეკანოზ გრიგოლ გიორგაძეს სწერდა: **„ტფილისის საეპარქიო საბჭოს კანცელარია პატივისცემით გაუწყებთ ცნობად, რომ ფერისცვალების მონასტრის ბერი გობრონი, თანახმად მისივე თხოვნისა, მათი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს მიერ ამა 1920 წლის 2 იანვარს მიშვებულ იქმნა, ხოლო ამავე წლის 9 თებერვალს დამტკიცებულია მეტეხის ტაძრის მედავითნის თანამდებობაზე".**

საბუთში ბერ-დიაკონი გობრონი ბერად არის მოხსენებული, თუმცა იგი ამ დროს უკვე ხელდასხმული იყო დიაკვნის ხარისხში. როგორც ჩანს, მას, საეკლესიო წესების დარღვევის გამო, დროებით შეჩერებული ჰქონდა ღვთისმსახურება და მისი საქმე საეკლესიო სასამართლოში განიხილებოდა (კონკრეტული მიზეზი ამ ეტაპზე უცნობია — გ.მ.). ეს ჩანს 1920 წლის 11 მარტს შედგენილ საბუთიდან, რომელშიც იგივე მდივანი დ. დავითაშვილი დეკანოზ გიორგაძეს სწერდა: **„თბილისის საეპარქიო სასამართლოს სამწერლო ამით პატივისცემით გაცნობებთ ჯეროვანი განკარგულებისათვის, რომ 25 თებერვალს 1920 წელსა ხსენებულ სასამართლომ განიხილა რა ყოვლად უსამღვდელოეს სოხუმის მიტროპოლიტის ამბროსის წერილობითი განცხადება ბერ გობრონის შესახებ და განაჩინა: დღეს თბილისის მეტეხის ეკლესიაში მედავითნის ადგილზედ მყოფ ბერ გობრონს მომავალ აღდგომამდე აეკრძალოს მთავარ-დიაკვნად მოხმარება ღვთისმსახურების დროს".**

1920 წლის 20 დეკემბერს ალავერდელი ეპისკოპოს პიროსის (ოქროპირიძე) ლოცვა-კურთხევით ბერ-დიაკონი გობრონი ბოდბის წმ. ნინოს სახ. დედათა მონასტრის ღვთისმსახურად განემწესა (1950 წლის 15 იანვარს შედგენილ თავის ბიოგრაფიაში იგი ბოდბეში დანიშვნის თარიღად 1919 წელს ასახელებს, რაც ჩვენი აზრით შეცდომა უნდა იყოს, რადგან ზემოთ მოყვანილ ოფიციალურ საბუთებში იგი ისევ თბილისში იმყოფებოდა — გ.მ.) 1921 წლის 25 დეკემბერს ეპისკოპოსმა პიროსმა არქიდიაკონის წოდება მიანიჭა და თელავის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში დანიშნა. 1921 წლის 27 დეკემბერს არქიდიაკონი გობრონი ალავერდის ეპარქიის კანცელარიაში საქმის მწარმოებლად დაინიშნა.

1923 წლის 22 აპრილს უცნობმა ბოროტმოქმედებმა გატეხეს თბილისში მდებარე საკათალიკოსო კარის ეკლესია, სადაც იმ პერიოდში ცხოვრობდა და წირვა-ლოცვებს აღასრულებდა (იყო ეკონომოსიც) მღვდელ-მონაზონი ეფრემი (სიდამონიძე, შემდგომში — კათოლიკოს-პატრიარქი). ხელისუფლებამ დაკითხა მღვდელ-მონაზონი ეფრემი, რომელმაც ჩვენებაში აღნიშნა: **„21 აპრილს იყო წირვა.**



2. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) სტუმრად ალავერდის ტაძარში. მარცხნივ პირველი ზის არქიდიაკონი გობრონი

ეკლესიაში წირვის დროს შემოვიდნენ, შიკრიკი საკათალიკოსო საბჭოს კანცელარიისა ალექსანდრე კახეთელიძე, დიაკონი ლომიძე ბიძინა, მოხუცი 80 წლის კალანდარიშვილი, აღმასკომის ბუღალტერი, ახალგაზრდა კაცი ასე 25-27 წლის, რომლის გვარი არ ვიცი, და ამ დღეებში კახეთიდან ჩამოსული მთავარდიაკვანი ბერი გობრონი. წირვის დამთავრების შემდეგ ზემოთ აღნიშნული პირნი აღარ ჩანდნენ და მე მხოლოდ აღმასკომის ბუღალტერთან ერთად გამოვედი ეკლესიიდან და დავკეტე ყველა კარები".

გამომძიებელმა ასევე დაკითხა დიაკონი ბიძინა არჯევანის ძე ლომიძეც, რომელიც წირვაზე იგივე ხალხს ასახელებს, მხოლოდ დაამატა: **„გობრონს ახლდა ვიღაც სომეხი შუა ხნის კაცი და გობრონი ეხმარებოდა ეფრემს მსახურებაში. მე დავინახე, რომ ყველა პირი, ვინც აქ ჩამოვთვალე, ეზოდან გავიდა. ღია ფანჯარა არ დამინავს, რომ დამენახა, დავკეტავდი".**

1924 წლის 27 ივნისს არქიდიაკონი გობრონი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ იოანეს (მარღიშვილი) წერდა: **„უპირველეს ყოვლის ვეამბორები თქვენს წმ. მარჯვენას და შემდგომ შევსთხოვ ყოვლად შემძლებელ ღმერთს თქვენი მეუფების ჯანმრთელობას საკეთილდღეოდ ერისა და ეკლესიისა ჩვენისა. მე ლოცვითა თქვენი მეუფებისათა კარგად გახლავართ... ვითმენ ყოველსა ტანჯვასა აღთქმისაებრ ჩემისა.**

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ!

მოგმართავთ რა თხოვნით, ვიმედოვნებ, შემისრულებთ სურვილს და ოფიციალურად კანცელარიის საშუალებით მაცნობებთ დადასტურებას თქვენი მეუფების მიერ, რომ მღვდელ-მონაზონ სერაფიმეს დაკრძალვის შემდგომ მისმა მემკვიდრეებმა თქვენი მეუფების თანდასწრებით გადმომცეს ერთი ყუთი სხვადასხვა საღვთისმეტყველო წიგნები 1919 წლის მაისის თვეში ტფილისის ფერისცვალების მონასტერში".

ამასთან დაკავშირებით, 1924 წლის 23 ივლისს, მიტროპოლიტი იოანე ოფიციალურ ცნობას აგზავნის თელავში: **„ვადასტურებ, რომ 1919 წლის გაზაფხულზე როდესაც ჩვენი ფერისცვალების მონასტრის გარდაცვალებულ მღვდელ-მონაზონი სერაფიმეს (მიმინოშვილი) ნივთებს ვამოწმებდით, მაშინ მისმა მემკვიდრემ, ბარბარე სპირიდონის ასულმა მიმინოშვილმა გადასცა საჩუქრად იეროდიაკონ გობრონს რამდენიმე ძვირფასი საღვთისმეტყველო წიგნი".** როგორც ჩანს, არქიდიაკონ გობრონს მამა სერაფიმესგან მიღებულ ქონებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა ხელისუფლებასთან, რის გამოც საჭირო გახდა მეუფე იოანეს ჩარევა.

1925 წლის 20 იანვარს, პირადი თხოვნის საფუძველზე, არქიდიაკონი გობრონი გათავისუფლდა ალავერდის ეპარქიისა და საქართველოს ეკლესიის სამსახურიდან და სომხეთში უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა, სადაც 1925 წლის 23 იანვრიდან 1926 წლის 22 მარტამდე მუშაობდა ყაფანში, ზანგეზურის თითბირის სადნობ ქარხანა-მაღაროების სამმართველოში საქმეთა მმართველის თანამდებობაზე. 1926 წლის 20 მარტიდან 1929 წლის 31 დეკემბრამდე იყო ყაფანის მუშათა საავადმყოფოს გამგე. 1930 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის 20 აგვისტომდე სწავლობდა ქ. ერევნის ინსტიტუტში შესვლის გადასამზადებელ კურსებზე. 1930-1935 წლებში, სწავლობდა ერევნის სამედიცინო ვეტერინარულ ინსტიტუტში და რადგან ერთ და იმავე დროს ორი ფაკულტეტის დამთავრება არ შეიძლებოდა, სახელმწიფო გამოცდებზე დაშვებულ იქნა მხოლოდ ვეტერინარულ სამკურნალო ფაკულტეტზე.

1935 წლის 15 მარტს, ინსტიტუტიდან განაწილებით, მუშაობა დაიწყო სამხრეთ ოსეთის მიწსახკომში უფროსი ექიმის თანამდებობაზე, სადაც დაჰყო 1935 წლის 1 სექტემბრამდე. 1935 წლის 3 სექტემბრიდან 1937 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მიწსახკომის განკარგულებით მსახურობდა ავჭალის სასოფლო საბჭოში და ამავდროულად, 1936 წლიდან 1941 წლის 10 მარტამდე იყო ზემო ავჭალის მცირეწლოვანთა შინსახკომის კოლონიის საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის დირექტორის მოადგილე და ლაბორატორიის გამგე. 1940 წლის 5 მაისიდან იმავე წლის 11 ივნისამდე გაიარა ექიმთა გადასამზადებელი ცენტრის სისხლის გადასხმის ინსტიტუტთან არსებული კურსი — „სისხლის გადასხმა და გემოტოლოგია" პროფესორ მუხაძის ხელმძღვანელობით. 1941 წლის 16 მარტს ზემოთ ხსენებული საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის დახურვის გამო, საქართველოს ჯანსახკომის მიერ გადაყვანილ იქნა თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში, სადაც დაჰყო 1941 წლის 21 სექტემბრამდე. 1941 წლის 25 სექტემბერს მიწსახკომის მიერ მობილიზებულ იქნა წალკის რაიონში მთავარ ექიმად. 1945 წლის 2 აპრილიდან 1946 წლის 6 სექტემბარმდე მუშაობდა ქ. გორში და გორის რაიონში მთავარ ექიმად, ხოლო 1946 წლის 6 სექტემბრიდან იყო მარნეულის რაიონის მთავარი ექიმი.

ამავე პერიოდში სამეცნიერო ხარისხის მოსაპოებლად გაგზავნილი ჰქონდა შრომა ქ. მოსკოვის ს. ს. მეცნიერების აკადემიაში პროფ. ტომმეს კათედრაზე.

1950 წლის 26 იანვარს, ავადმყოფობის გამო, პირადი თხოვნის საფუძველზე, გობრონ წკრიალაშვილი გათავისუფლდა ექიმის თანამდებობიდან და 51 წლის ასაკში კვლავ მშობელ ეკლესიას მიაშურა. მან ვრცელი წერილით მიმართა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ეფრემს (სიდამონიძე) და ითხოვა სასულიერო ხარისხში აღდგენა. მეუფე ეფრემმა ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდეს კალისტრატეს (ცინცაძე) მოახსენა, რომლისგანაც ნებართვა მიიღო. 1950 წლის 27

იანვარს გობრონი აღადგინეს არქიდიაკვნის ხარისხში, ხოლო მეორე დღეს, 28 იანვარს, ქუთაისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახ. საკათედრო ტაძარში მიტროპოლიტმა ეფრემმა მღვდლად დაასხა ხელი და ამავე ტაძრის მესამე მღვდლის ადგილზე დაადგინა.

1950 წლის 8 თებერვალს მღვდელ-მონაზონი გობრონი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში,, სოხუმის წმ. ნიკოლოზის სახ. საკათედრო ტაძრის მეორე მღვდლის ადგილზე და სოხუმის ოლქის მთავარხუცესად დაინიშნა. 1950 წლის 28 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა. 1951 წლის 21 აპრილს იგი თბილისში, კუკიის წმ. ნინოს სახ. ტაძრის მღვდელმსახურად გადმოიყვანეს. 1951 წლის 31 ივლისს მღვდელ-მონაზონი გობრონი სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახ. საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილედ დაინიშნა. 1951 წლის 10 ოქტომბერს არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა.

სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მოღვაწეობის პერიოდზე შემორჩენილია მცირე მოგონება არქიმანდრიტ გობრონზე, რომელიც ქალბატონმა მედიკო კვანტალიანმა შემოგვინახა. მისი თქმით ეპისკოპოსი გობრონი ყოფილა მშვენიერი ფიზიკური აღნაგობის, განათლებული და საქართველოს ისტორიის ბრწყინვალედ მცოდნე. საქართველოში საბერძნეთიდან ჩამოსული სტუმრები, რომელთაც სურვილი ჰქონიათ ენახათ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი. ეს ნატვრა აუსრულეს და როდესაც ისინი ჩავიდნენ მცხეთაში და მოინახულეს სვეტიცხოველი, მეგზურობას უწევდათ მაშინ არქიმანდრიტის ხარისხში მყოფი გობრონი. მან ჩამოსულებს ბერძნულ ენაზე ბრწყინვალედ მოუთხრო საქართველოს ეკლესიის მდიდარი ისტორია. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ღრმა ცოდნამ. როდესაც ისინი ჩავიდნენ საბერძნეთში, თავიანთი სამშობლოდან მათ მადლობა გამოუგზავნეს საქართველოს მაშინდელ მთავრობას ასეთი განათლებული საეკლესიო პირის გამო.

1952 წლის 5 აპრილს, არქიმანდრიტი გობრონი, როგორც მცხეთა-თბილისის ეპარქიის დელეგატი, ესწრებოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის IX საეკლესიო კრებას, სადაც კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე).

1953 წლის 5 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III-მ (ფხალაძე) მიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრებს - მიტროპოლიტ ეფრემს (სიდამონიძე) და ეპისკოპოსებს - გაბრიელს (ჩაჩანიძე), ანტონს (გიგინეიშვილი), დიმიტრის (იაშვილი), წერილობით გამოეთქვათ თავიანთი აზრი არქიმანდრიტ გობრონის ეპისკოპოსად კურთხევის განზრახვაზე. ყველანი დაეთანხმნენ უწმინდეს მელქისედეკს, თუმცა მიტროპოლიტ ეფრემის აზრით, თავშეკავება აჯობებდა. აი, რას წერდა 1953 წლის 28 ნოემბერს ამასთან დაკავშირებით კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის მდივანი პოლიევქტოს გაგოშიძე მეუფე ეფრემს: **„დღეს მივიღე თქვენი ბარათი და თქვენივე ნააზრალი გობრონის გამღვდელმთავრების შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი ნააზრალი სწორუპოვარია და საჭიროა საქმეში იქნეს ჩაკერებული, თუმცა, შესაძლებელია, უწმიდესს საწყენად დაურჩეს. წინასწარ ნიადაგს მოვშინჯავ და თუ შევატყე რაიმე ზიანი მოჰყვება თქვენთვის, მაშინ არ გადავსცემ. ამ შემთხვევაში, თქვენ რომ ჩამობრძანდებით 8 დეკემბრისათვის, მაშინ თვითონ თქვენ მოახსენეთ: „რადგანაც თქვენი სურვილია და სხვებიც თანახმანი არიან, იყავნ ნება თქვენი. გობრონი მძიმე ავადმყოფია, მაგრამ მაინც, აწი თუ არ შესცვალა, შობას — მცხეთაში უპირებს კურთხევას — წილკნელის სახელით“.**

1954 წლის 2 იანვარს მოხდა არქიმანდრიტ გობრონის ეპისკოპოსად სახელდება, მეორე დღეს კი — სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარ-

მიტროპოლიტ მელქისედეკის (ფხალაძე) კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა. 1952წ. მარჯვნივ სათვალეებით ზის არქიმანდრიტი გობრონი

თუმცა ეს მხოლოდ 2019 წელს მოხერხდა, რამაც ადგილობრივი მართლმადიდებელი ქართველების დიდი სიხარული გამოიწვია. მამა დიმიტრი სუხიტაშვილმა (რომელიც ამჟამად თბილისის ქვაშვეთის ტაძრის დეკანოზია) ქოთოქლოს წმინდა სამების ეკლესიის ნახევრადდამწვარ საკურთხეველში 1988 წელს ნაპოვნი ძველი საეკლესიო ნივთები ახლადნაკურხ ტაძარს ამოქმედების შემდეგ, 2019 წელს დაუბრუნა. თბილისიდან საინგილოში ეს საეკლესიო ნივთები მახარე ჯანაშვილმა ჩააბრძანა.

ტაძრის მოვლა-პატრონობისა და ამოქმედების საქმეში, რასაც მრავალწლიანი შრომა უძღოდა წინ, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მახარე ჯანაშვილის დედას - ამავე სოფლის გერმანული ენის მასწავლებელს, 80 წლის ვერა ბერიკაშვილს, რომელსაც „საყდარ ბებოს" სახელით იცნობენ.

მახარე ჯანაშვილი 54 წლის იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 90-იან წლებში მახარე ჯანაშვილი იყო ტაოკლარჯეთისა და კაბადოკიის პირველი მკვლევარი და პილიგრიმთა გზამკვლევი, ვინც დაიწყო ექსპედიციები და ქართველ მომლოცველთა ორგანიზებული ჩაყვანა თურქეთის ქართული სიწმინდეების მოსალოცად (იგი სრულყოფილად ფლობდა აზარბაიჯანულ და თურქულ ენებსაც).

იგი 10 დეკემბერს გარდაიცვალა თბილისში და 12 დეკემბერს გადაასვენეს მის მშობლიურ კუთხეში.

მახარე ჯანაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა და ოჯახს მიუსამძიმრა საქართველოს რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ - ზაზა ვაშაყმაძემ, რომელიც წელს მარიამობის დღესასწაულზე კახის რაიონის სოფელ

კახის რაიონის სოფელ ქოთოქლოს წმინდა სამების ეკლესია

ქოთოქლოში ვიზიტის დროს შეხვდა და ესაუბრა ღვაწლმოსილ „საყდარ ბებოს" - ვერა ბერიკაშვილს (აღსანიშნავია, რომ კახის რაიონის გამგებელმა - მუსა შექილიევმა სცადა წინააღმდეგობა გაეწია ქართული დელეგაციისთვის ჩასულიყო სოფელ ქოთოქლოს ეკლესიისა და ადგილობრივი ინგილო ქართველების მოსანახულებლად, თუმცა პირადად ზაზა ვაშაყმაძის არადიპლომატიური, მკაცრი და კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, მუსა შექილიევი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ქართული დელეგაციის სოფელ ქოთოქლოში სტუმრობას).

ვიზიარებთ ოჯახის მწუხარებას და მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მახარე.

სერგო კერესელიძე

ისტორიის ფურცელი

უშაფათელი ბოკუჩავების ოჯახი

ჩვენი გაზეთის საშუალებით რამდენჯერმე გიამბეთ იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომელთა წინაპრები საუკუნეების განმავლობაში ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდნენ დედაეკლესიას. ამჯერად, კიდევ ერთი ასეთი ოჯახი გვინდა გაგაცნოთ, რომელთა გვარიდან რამდენიმე ღირსეული სასულიერო პირი აღიზარდა ეკლესიის წიაღში. მართალია ამ გვარში უკანასკნელმა სასულიერო პირმა ვერ გაუძლო კომუნისტური რეჟიმის რეპრესიებს და ანაფორა გაიხადა, მაგრამ ვისაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია იმჟამინდელ სუსხიან წლებთან, დაგვეთანხმება რომ იმ დევნის გაძლება ადვილი საქმე არ გახლდათ.

ბოკუჩავების ეს გვარი სამეგრელოდან, სოფ. უშაფათიდან მომდინარეობს. მათ თავიანთი მსახურებითა და მოღვაწეობით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს საქართველოს საეკლესიო ისტორიაში.

მღვდელი თადეოზ ბოკუჩავა 1795 წელს სამეგრელოს სამთავროში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. ქართულ ენაზე საეკლესიო წიგნი და წერა მარტვილის მამათა მონასტერში მღვდელ-მონაზონ გაბრიელთან ისწავლა. 1820 წელს ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ბესარიონმა (დადიანი) მღვდლად დაასხა ხელი და უშაფათის მაცხოვრის სახ. ტაძარში განამწესა. ჰყავდა შვილები: **მღვდელი იოანე** (დაბ. 1822, სხვა ვერსიით 1826 წელს.); **მედავითნე ბესარიონი** (დაბ. 1844წ.). ამ ეტაპზე, მისი გარდაცვალების წელი უცნობია.

მღვდელი იოანე ბოკუჩავა

მღვდელმა იოანე თადეოზის ძე ბოკუჩავამ დაამთავრა სამეგრელოს ორკლასიანი სასულიერო სასწავლებელი, სადაც ისწავლა რუსულ ენაზე მსახურებაც. ქართულ ენაზე საღმრთო ისტორია, წმინდა წერილი, კითხვა, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი მარტვილის საკათედრო ტაძრის დეკანოზთან ისწავლა. 1847 წლის 1 მარტს სამეგრელოს ეპისკოპოსმა ანტონმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა და უშაფათის მაცხოვრის სახ. ტაძარში განამწესა. 1854 წლის 12 მარტს სამეგრელოს ეპისკოპოსმა თეოფანემ (გაბუნია) მღვდლად დაასხა ხელი და იმავე ტაძარში დაადგინა. 1858-1875 წლებში იყო უშაფათის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწე. 1864-1874 წლებში იყო უშაფათის ოლქის სამღვდელოების სულიერი მოძღვარი. 1869-1874 წლებში უშაფათის ოლქის სამღვდელოების მხრიდან იყო დეპუატატად არჩეული სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის საქმეებზე. 1875 წლიდან უშაფათის ოლქის მთავარხუცესის კანდიდატია. ჰქონდა ჯილდო — ყირიმის ომის (1853-1856) სამახსოვრო წმ. ვლადიმერის ლენტიანი ბრინჯაოს ჯვარი. 1869 წლის 1 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1879 წელს სკუფია უბოძეს. 1883 წლის 3 ივლისს წითელი ჯვრის საზოგადოებამ სამახსოვრო ჯვარი გადასცა. 1885 წლის 24 მარტს „კამილავკა" ეწყალობა. 1889 წლის 9 დეკემბერს, ავადმყოფობის გამო, შტატიდან გავიდა. 1890 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. მღვდელი იოანე იყო კატეხიზმოს კარგი მცოდნე, ხშირად ქადაგებდა მრევლში სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ჰქონდა დახვეწილი კალიგრაფია, როგორც ქართულ, ისე რუსული დამწერლობაში. მისი ძალისხმევით განახლდა უშაფათის ძველი ტაძარი და ეკურთხა 1879 წელს, ამ საქმისთვის მან პირადი სახსრებიდან 100 მანეთი გაიღო. 1885 წელს უკვე ქვრივია. დარჩა შვილები: **მღვდელი იოსები** (1851-1913წწ.); **ალექსანდრე** (დაბ. 1857წ.). მისი გარდაცვალების წელი უცნობია.

მღვდელი იოსებ იოანეს ძე ბოკუჩავა 1850 წელს დაიბადა. მამის მსგავსად სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. ქართულ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, ტიბიკონი და გალობა მარტვილის მონასტერში ისწავლა. 1874 წლის 4 აგვისტოს სენაკის მაცხოვრის ამაღლების სახ. ტაძრის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. 1883 წლის 1 ივლისს შტატში დაამტკიცეს. 1885 წლის 29 იანვარს უშაფათის მაცხოვრის აღდგომის სახ. ტაძარში გადაიყვანეს და მასვე დაევალა ტაძართან არსებულ სკოლაში პედაგოგად მუშაობა. 1885 წლის 8 დეკემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა და იმავე ტაძარში დაადგინა. 1889 წლის 3 დეკემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) მღვდლად დაასხა ხელი და უშაფათის მაცხოვრის აღდგომის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა. 1892 წელს გახსნა სკოლა ტაძართან, თავადვე ააშენა ახალი შენობა ამ სკოლისთვის და პირადი სახსრებიდან 100 მანეთი დახარჯა. მასვე დაევალა სკოლაში საღვთო სჯულის სწავლება. 1892 წლის 16 ოქტომბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. შემდგომში მან ტაძარს შესწირა ერთი ქცევა მიწა, რის გამოც 1901 წლის 14 აპრილს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) მწყემსმთავრული მადლობა გამოუცხადა. 1905 წლის 1 მარტს სკუფია უბოძეს. 1911 წლის 6 მაისს „კამილავკა" ეწყალობა. მღვდელი იოსები 1913 წლის 25 დეკემბერს გარდაიცვალა. ჰყავდა მეუღლე ოლღა პეტრეს ასული ცხონდია (1862-1940წწ.) და შვილები: **აპოლონი** (დაბ. 1883წ.); **მღვდელი გერონტი** (1886-1963წწ.); **დოროთე** (დაბ. 1888წ.); **კაპიტონი** (1890წ.); **იოანე** (1898წ.); **ლიდია** (1891წ.); **ციბუ/ვალენტინა** (1895წ.); **ვერა** (დაბ. 1893წ.).

მღვდელი გერონტი იოსების ძე ბოკუჩავა 1886 წელს დაიბადა. 1903 წელს დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი. 1904 წლის 6 ივნისს მეორე შხეფის მთავარანგელოზთა სახ. ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. 1907 წლის 17 ოქტომბერს უშაფათის ერთკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებელი გახდა. 1914 წლის 28 ნოემბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 30 ნოემბერს მღვდლად დაასხა ხელი და ცალიკარის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად განამწესა. 1917 წლის 20 ივნისს სოფ. კინიაში მოხდა სახალხო მასწავლებელთა ყრილობა. კრებას დაესწრო სალხინოს, თამაკონის, კინიის, ფოცხოსა და უშაფათის საზოგადოების მასწავლებელნი, სულ ოცი კაცი. კრების მიზანი იყო ფილიალების გახსნა ამ რაიონის მასწავლებელთათვის. კრებაზე დაადგინეს რომ გახსნილიყო აღნიშნული საზოგადოებების მასწავლებელთათვის განყოფილება სახელწოდებით — კინიის რაიონის ფილიალური განყოფილება დ. ს. ს.

მასწავლებელთა კავშირისა. საგამომძიებლო კომისიაში აირჩიეს წევრები, რომელთა შორის იყო მღვდელი გერონტი ბოკუჩავა. 1917 წლის 23 ოქტომბერს უშაფათის სამრევლო სკოლის დარბაზში ზემოხსენებული სკოლის მონაფეთა მშობლებისა კრება შედგა. დღის წესრიგში შედიოდა სკოლის საბჭოს წევრთა არჩევა. სკოლის საბჭოს მნიშვნელობაზე მოკლე მოხსენება გააკეთა ნიკოლოზ ბოკუჩავამ. მცირე კამათის შემდეგ კრებამ საბჭოს წევრებად 6 კაცი აირჩია. მასწავლებელთა წრიდან საბჭოში შევიდნენ მღვდელი გერონტი ბოკუჩავა, გერმანე ჩაჩიბაია, აკაკი ხუნწარია; მშობელთა წრიდან: მღვდელი ვარლაამ ბოკუჩავა, სევერი შეროზია და ზურაბ გაბელია. კრება ის იყო მთავრდებოდა, რომ ამ დროს გამოჩნდა ამავე სკოლის ყოფილი მასწავლებელი სოც.რევოლუციონერი ერასტო თოდუა. მან თხოვნით მიმართა კრებას, რომ არ დაშლილიყო და მისი პროპაგანდა მოესმინა, რასაც არავინ შეწინააღმდეგებია.

მღვდელი გერონტი ბოკუჩავა

1917 წლის ნოემბერში უცნობი ავტორი ფსევდონიმით „ხალხის შვილი მიდდიო" გაზეთ „ერთობაში" მღვდელ გერონტი ბოკუჩავას შესახებ წერდა: **„სოფ. უშაფათი. ადგილობრივ სამართველოში არ ჰყავდათ მდივანი. ეხლა მდივნათ არის თენგიზ ტაიას ძე სანაია. ძველი რეჟიმის დროს ის იყო ბოქაულის მდივნად. ეს ვერ შეურიგდა ახალ წესწყობილებას. საინტერესოა, ვინ მისცა მას ეს ადგილი! უშაფათის საზოგადოება, დარწმუნებული ვარ, ახლოს არ მიიკარებს მას, როგორც მოტრფიალე ძველი მთავრობისა, ხალხში აღელვებაა და ეკითხებიან ერთმანეთს: „ეხლაც აქვს ამისთანა კაცს გავლენაო?". ეს ადგილობრივი კომისარის გრიგოლ ჭოჭუას მოქმედება უნდა იყოს. ეს ჭოჭუა საზოგადოებისთვის რაღაცა არა სასურველ საქმეებს აკეთებს. როგორც გადმოგვცეს, სანაიას შეუდგენია ერთი ჯგუფი, ვითომც და უშაფათის საზოგადოების მონინავე ელემენტებისაგან. ჯგუფის წევრები არიან: მღვდელი გერონტი ბოკუჩავა, მღვდელი დიანოზ გოგინავა და ბართლომე საბახტარიშვილი. ჯგუფის თავჯდომარედ არჩეულია მღვდელი გერონტი ბოკუჩავა, მის ამხანაგად გრიგოლ ჭოჭუა. ჯგუფს არ ჰყავდა თურმე მდივანი და იმიტომ დაუყენებიათ მდივნათ ბ-ნი სანაია, რომელიც დაექვემდებარება მათ. ხსენებულ ჯგუფს სურს გახდეს მთელი უშაფათის საზოგადოების მმართველი. ბ-ნი ჭოჭუა ხსენებულ ჯგუფის შემწეობით ძველებურად მუშაობს. ჭოჭუა და ხსენებულ ჯგუფის წევრები სარგებლობენ ხალხის უცოდინრობით და მეცადინეობენ საზოგადოების მეთაურნი და წინამძღოლნი გახდენ. ამიტომ ისინი ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ უშაფათის საზოგადოების მონინავე და მცოდნე ელემენტების წინააღმდეგ: ეწევიან აგიტაციას ხალხში, რათა დაუკარგონ მათ ხალხის ნდობა. ზოგიერთები მართლაც აყვენ მათ ქადაგებას და იმის მაგიერ, რომ ყველა მონინავე პირები შეაკავშირონ, არევ-დარევა და შუღლი შეაქვთ. სამწუხაროა ასეთი საქციელი ჯგუფის ორ წევრთაგან: მღვდ. გ. ბოკუჩავას და მღვდ. დ. გოგინავას მხრივ. მათი ზნეობრივი ვალია მოუწოდონ ხალხს სოლიდარობა-შეკავშირებისაკენ და მათ კი განხეთქილება და შუღლი შეაქვთ. მათ არ სურთ სიმართლე უთხრან ხალხს დღესაც კი, თავისუფალ ხანაში. მაგრამ არა გვგონია დიდხანს გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა. ხალხი დაბოლოს გაარჩევს თავის მტერ-მოყვარეს და ყველას შესაფერად მიუზღავს...".**

გაზეთი „ერთობა" სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გახლდათ. პარტიული გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაზეთი იდეოლოგიური მიზანდასახულობით გამოირჩეოდა, სადაც შერჩეული, მეტწილად ინფორმაციული ხასიათის მასალები იბეჭდებოდა და მენშევიკური ხელისუფლების იდეური მხარდაჭერის ფუნქციას ასრულებდა, ხოლო მენშევიკები ეკლესიას როგორაც სწყალობდნენ, ყველასთვის ცნობილია.

მამა გერონტი 1917 წლის 30 დეკემბერს კვლავ გაზეთი „ერთობის" სამიზნე ხდება, ამჯერად სტატიის ავტორი ფსევდონიმით „ხალხის შვილი „ხუტა" მას კომისარ გრ. ჭოჭუასთან ერთად ადანაშაულებს უშაფათის საზოგადოების მოტყუებაში.: **„აქაური კომისარი გრიგოლ ჭოჭუა ძალიან ჭკვიანი კაცი უნდა იყოს, რომ მარტოკა აწარმოებს ამოდენა საქმეებს. კოოპერატივის საქმეს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ბიბლიოთეკარის მოვალეობის ასრულებას და სხვ. ლესიჭინის ცენტრში არსებობს კოოპერატივი „სიმაგრე", წვრილი კრედიტის ბანკი, სამეურნეო ამხანაგობა და ახლად დაარსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ჯერ გახსნა სამმართველოსთან დუქანი, რომელიც გამოცხადდა კოოპერატივათ. ბატონ ჭოჭუამ და გერონტი ბოკუჩავამ დუქანი ჯერ კერძო პირებიდან ნასესხი ფულით გააღეს და მერე, როცა გაავრცელეს ხმა სამმართველოსთან კოოპერატივი დაარსდაო, შეუდგენ აგიტაციის გაწევას ხალხში. კოოპერატივის გამგეობაში ჩააყენეს მღვდელი ხორავა, მისი „პრიჩეტნიკი"** (იგულისხმება მედავითნე — გ.მ.) **და ბართლომე საბახ-**

მღვდელი იოსებ ბოკუჩავა ცოლ-შვილით

ტარიშვილი, რომლებიც ხალხისთვის ერთ ნაბიჯს არ გადასდგამენ უსასყიდლოთ. საქმეს თავის გუნებაზე მართავენ. სამი დღის უკან გამოირკვა, რომ გამგეობას გაუფლანგავს კოოპერატივის თანხიდან 600 მანეთი და სამას ნახევარი მანეთიანები ყალბი ფული აღმოუჩენია სარევიზიო კომისიას. გარდა ამისა, დიდი ზარალი მოუტანეს ჭოჭუამ და გერონტი ბოკუჩავამ უშაფათის საზოგადოებას. უშაფათის საზოგადოება, რომლის მცხოვრებლები მუდამ იყვენ ჭირ-ლხინში და ყოველივე საქმეში ერთად მუშაობდენ ხელი-ხელ ჩაკიდებულათ — გაიყო ორ ბანაკად და სამუდამოდ განშორდენ ერთმანეთს. თითოეული მხარე ცდილობს ერთმანეთის დაჩაგვრას და დაქვეითებას როგორც მატერიალურად ისე გონებრივადაც. ეს ყველაფერი ბ. გრიგოლ ჭოჭუას და სულიერ მამა გერონტი ბოკუჩავას მოქმედების ნაყოფია".

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ბრალმდებელი სტატიის მიუხედავად მღვდელ გერონტის პასუხი არ გაუცია ავტორებისთვის და არც თავის დაცვა უცდია.

მღვდელი გერონტი ბოკუჩავა 1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს უშაფათის მაცხოვრის სახ. ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. სავარაუდოდ, 1924 წელს მან ანაფორა გაიხადა, რადგან 1927 წელს იგი თხოულობს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. ამონაწერი 1927 წლის 1 თებერვლის სენაკის სამაზრო საარჩევნო კომისიის ოქმიდან: **„მოისმინეს — ნოქალაქევის თემსაარჩევნო კომისიის შუამდგომლობა ყოფ. მღვდელ-დიაკვნების გერონტი და ვარლაამ ბოკუჩავების, ილია ლაკიას, თეოდორე ბედიას, ვლადიმერ კვარაცხელიას, დომენტი ბაბილუას და თეოფილე როგავას საარჩევნო უფლებებში აღდგენის შესახებ და დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე მხოლოდ მოქ. თეოდორე ბედიასა და თეოფილე როგავას აღდგენის შესახებ".** როგორც ამ ოქმიდან ჩანს, ყოფილი მოძღვრის, გერონტი ბოკუჩავას საქმე არ განიხილეს. სიცოცხლის უკანასკნელი წლები იგი ქ. სენაკში ცხოვრობდა, სადაც გარდაიცვალა 1963 წელს. ჰყავდა მეუღლე ელენე მაქსიმეს ასული (დაბ. 1889წ.) და შვილები: **ლეონიდე** (დაბ. 1910წ.); **ლუბოვი** (დაბ. 1913წ., მეუღლე საშა ეჯიბია); **შურა** (მეუღლე ოლია წულეისკირი); **ხუტა** (მეუღლე ლუბა გვასალია); **გივი** (მეუღლე გულნარა სიმონია).

წყარო: საქართველოს ეროვნული საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №812; საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №40390; საქმე №40398; საქმე №48052; საქმე №57618; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №54; საქმე №615; გაზეთი „მწყემსი" 1885წ. №7, გვ. 4; 1890წ. №6-7, გვ. 2; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата" 1891წ. №17; 1905წ. №8; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1911წ. №10; 1914წ. №2; 1915წ. №3; გაზეთი „ერთობა" 1917წ. №101, გვ. 4; №186, გვ. 4; №193, გვ. 4; №229, გვ. 4; გაზეთი „თბილისი" 1963წ. №47, გვ. 4.

მღვდელი
გიორგი მაჩურიშვილი

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე;
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გავრცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

რად ქალბატონი თინათინი ემსახურებოდა ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველებს: სასულიერო პირებს, აკადემია-სემინარიის სტუდენტებს, ეხმარებოდა მათ სასურველი ლიტერატურის მოძიებაში. შრომისმოყვარეობასთან ერთად ქალბატონი თინა თანამშრომლებს შორის გამოირჩეოდა განსაკუთრებული პატიოსნებით, მოწყალებითა და ღვთივსათნოებით, მას არასოდეს ავიწყდებოდა თანამშრომელთათვის ღირშესანიშნავი დღეების აღნიშვნა. იგი წელიწადში სამჯერ (ახალ წელს, აღდგომას და დაბადების დღეს) სამსახურში მისულ თანამშრომლებს სამუშაო მაგიდაზე სიურპრიზად საჩუქრებს გვახვედრებდა.

ქალბატონი თინათინი საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში მუშაობდა 2020 წლის ოქტომბრის თვემდე.

დიდია მისი ამაგი საქართველოს ეკლესიისა და საპატრიარქოს ბიბლიოთეკის წინაშე!

თინათინ ყანდარელი გარდაიცვალა 2021 წლის 1 ივლისს. დაკრძალულია მეუღლის გურამ კორძახიას გვერდით, თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონ თინათინის უკვდავი სული და დაამკვიდროს სადაც მართალნი განისვენებენ, ამინ.

ბიბლიოგრაფი
კონსტანტინე ალიბეგაშვილი

ისტორიის ფურცელი

ეპისკოპოსი დავითი (ბურდულაძე)
1877-1963

„ოჯახში კარგი სადილი თუ ჰქონდათ „ამ სადილს სტუმარი უხდებაო" — იტყოდა თურმე და მაშინვე ვინმეს მოიპატიჟებდა"

ეპისკოპოსი დავითი — ერისკაცობაში **დავით აღათონის ძე ბურდულაძე** 1877 წლის 12 მარტს, თბილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრის სოფ. ვაქირში მედავითნის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში მიიღო, სადაც მხოლოდ ორი კლასი ისწავლა. 1893 წელს, 16 წლის ასაკში, დავითს მსახურება დაუწყია თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში მორჩილ-მოსამსახურედ. მან ხუთი წლის განმავლობაში საფუძვლიანად შეისწავლა საეკლესიო წესები: კითხვა, გალობა, ტიპიკონი. 1898 წლის 19 დეკემბერს გორის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) იგი თელავის მაზრის სოფ. ვარდისუბნის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მედავითნედ დანიშნა. გარდა ამისა, დავითს დაევალა ვარდისუბნის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში საეკლესიო გალობისა და საღვთო სჯულს სწავლება. 1901 წლამდე იგი უსასყიდლოდ ასრულებდა თავის მოვალეობას. ღვთისმსახურებაში მონაწილეობისათვის მას მოწაფეთაგან შეუქმნია მგალობელთა გუნდი. 1911 წლის 14 დეკემბერს, პირადი თხოვნის საფუძველზე, იგი სოფ. შილდის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის მედავითნედ გადაიყვანეს. დავითი მთელი ძალისხმევით ზრუნავდა ქართული გალობის აღდგენა-აღორძინებისათვის, ამიტომ მას აქაც შეუქმნია მგალობელთა გუნდი.

ეპისკოპოს დავითზე მოგონებები შემოგვინახა მისმა შვილიშვილმა, ქალბატონმა ციალა ბურდულაძე-სამადაშვილმა: **„ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია პაპას, არასოდეს დაავიწყდებოდა მისი პიროვნება. იყო მაღალი ტანისა, თხელი აღნაგობის, წელში მუდამ გასწორებული. მრავლისმეტყველი ცისფერი თვალებით, თეთრი წვერითა და არაჩვეულებრივი სათნო იერით. იცოდა კარგი საუბარი. უაღრესად განათლებული იყო, წიგნის გარეშე არსებობა არ შეეძლო, კითხულობდა ბევრს: როგორც ქართულად, ისე რუსულად. თვალყურს ადევნებდა ჟურნალ-გაზეთებს, თანამედროვე ცხოვრებას, პოლიტიკას. არასოდეს მინახავს წამოწოლილს ეკითხოს — წელში გასწორებული იჯდა სკამზე და ისე კითხულობდა. ეხერხებოდა წერაც, ლექსებიც უწერია (ბებიას შენახული ჰქონდა ხელით ნაწერი კრებული მისი ლექსებისა, რომელიც შემდეგ ვეღარ ვნახეთ), იცოდა მოკლე წერილების მოწერა, მაგრამ შინაარსიანის. ეს ფაქტი საპატრიარქოდან მის დაკრძალვაზე ჩამობრძანებულმა პირებმაც აღნიშნეს".**

1915 წელს გორის ეპისკოპოსმა ანტონმა(გიორგაძე) იგი დიაკვნად აკურთხა. 1917 წლის 8-17 სექტემბერს, დიაკონი დავითი, როგორც თელავის მაზრის, ნაფარეულის ოლქის დელეგატი, ესწრებოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებას.

1918 წლის 1 თებერვალს ალავერდელმა ეპისკოპოსმა პიროსმა (ოქროპირიძე) მღვდლად დაასხა ხელი და სოფ. ვაჩნაძიანის (სოფ. ვაჩნაძიანი გარკვეული პერიოდი იწოდებოდა „შრომად". ამჟამად გურჯაანის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და საგარეჯო-გურჯაანის ეპარქიის ფარგლებში იმყოფება) ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის წინამძღვრად დაადგინა. 1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს ისევ ვაჩნაძიანის ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. 1925 წელს მღვდელი დავითი, მისივე თხოვნის საფუძველზე, ალავერდელმა მიტროპოლიტმა იოანემ (მარღიშვილი) კვლავ შილდაში, ამჯერად ჯვრის გამოჩინების სახ. ტაძარში განამწესა.

იმდროინდელი კომუნისტური ხელისუფლება აქტიურად იბრძოდა ათეისტური იდეოლოგიის დასამყარებლად, ეკლესია კი საშიშ მოწინააღმდეგედ მიიჩნეოდა, ამის გამო სასულიერო პირთა სასტიკი დევნა დაიწყო. სხვა მრავალ მოღვაწესთან ერთად, მღვდელ დავითს აეკრძალა ყოველგვარი ღვთისმსახურება. 1929 წლის დასაწყისში თელავის მაზრის პროკურორთან საგადასახადო უწყებიდან შეიტანეს განცხადება, სადაც ჩამოთვლილი იყო ალავერდის ეპარქიაში მოქმედი ზოგიერთი სასულიერო პირი, რომლებიც ზედმეტად იყვნენ დაბეგრილი. ამ სიაში რიგით მეექვსე გახლდათ მამა დავითი. აი, რა ეწერა მის შესახებ: **„მღვდელი დავით ბურდულაძე — შილდის ჯვრის გამოჩინების ეკლესიის წინამძღვარი — 1928 წელს გადაიხადა 60 მანეთი, კიდევ შეაწერეს 130 მანეთი, 1929 წლის იანვარში თავი დაანება ღვთისმსახურებას".** ულუკმაპუროდ დარჩენილი მოძღვარი იძულებული ხდება, ოჯახის სარჩენად მუშაობა დაიწყოს თელავის სახელმწიფო მუზეუმში მებაღედ (დღესაც არის მუზეუმის ეზოში მისი დარგული ვაზი) და სამხედრო ჰოსპიტლის (ნადიკვარზე) ღამის დარაჯად.

1929 წელს დატრიალებულ ამბებს მისი შვილიშვილი ასე იხსენებს: „გადმოცემით ვიცი სოფ. შილდაში მსახურების დროს დაიბარეს სოფლის საბჭოში, ძალით გახადეს ანაფორა, წვერი გაკრიჭეს, ახსნეს ჯვარი, სახლიდან წაიღეს საეკლესიო ნივთები. პაპა ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა ამ ფაქტს. ვიცი ისიც, რომ მას არასოდეს მიუტოვებია თავისი საქმე, თუმცა ეს მაშინ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ოცდაჩვიდმეტს წელს, როცა უამრავი ხალხი დაიჭირეს — ზოგი დახვრიტეს და ზოგიც ციმბირის გზას გაუყენეს (დაიჭირეს მეუფე დავითის სიძეც, ქალიშვილის ქმარი, შალვა ელიოზიშვილი, სრულიად უდანაშაულო), პაპას თბილი ტანსაცმელი შეკრული ჰქონდა და ყოველ ღამეს ელოდა თურმე კარზე დაკაკუნებას, მაგრამ გადარჩა, რადგან ყველას უყვარდა და არავინ დააბეზღა. თვითონ იტყოდა ხოლმე: „ღმერთმა დამიფარაო".

შილდაში მსახურების პერიოდში მოძღვარმა

მგალობელთა გუნდი.
ცენტრში ზის - მორჩილი მაქსიმე ჩიგოგიძე,
უკანა რიგში მარცხნივ - დავით ბურდულაძე

არენდით აიღო მირიანაშვილების საკარმიდამო და ფიზიკურ მუშაობას მიჰყო ხელი. უვლიდა ვენახს, მოჰყავდა საზამთრო, ნესვი. ძალიან მშრომელი იყო. მოგვიანებით, როდესაც თელავში გადასახლდნენ, იქაც ჰქონდა პატარა ეზო, რომელსაც თავადვე უვლიდა, სანამ შეეძლო. თავისუფალ დროს უყვარდა თავის ბაღში ჩამოჯდომა და წიგნების კითხვა. უყვარდა, სხვებს რომ ეხმარებოდა, ბავშვივით გულუბრყვილო ყოფილა, ვერც კი წარმოიდგენდა, ვინმე ტყუილს თუ იტყოდა ან მისი სიკეთით ისარგებლებდა. ძალზე ჰყვარებია სტუმრები. ახალგაზრდობიდანვე ოჯახში კარგი სადილი თუ ჰქონდათ, — „ამ სადილს სტუმარი უხდებაო", — იტყოდა თურმე და მაშინვე ვინმეს მოიპატიჟებდა.

1943 წელს ხელისუფლების მხრიდან დევნილშეზღუდული საქართველოს ეკლესია ნებართვას იღებს რამდენიმე ტაძრის ამოქმედებაზე. იმავე პერიოდში ახმეტა-მატან-პანკისის მორწმუნენი თხოვნით მიმართავენ უწმინდესსა და უნეტარესს, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს, რათა მათთან მოძღვარი მიავლინოს. ამ თხოვნის საფუძველზე, უწმინდესმა კალისტრატემ მღვდელ დავითს აღუდგინა სამღვდელო პატივი და განამწესა ახმეტა-მატან-პანკისის სამრევლოების წინამძღვრად.

ახმეტაში მსახურების დროს მღვდელ დავითს ასეთი განსაცდელი გადახდა თავს. ერთ წელიწადს დიდი გვალვა დაიჭირა... გადიოდა დღეები, კვირები და წვიმა არსად ჩანდა. გლეხობა ერთობ შეწუხდა. ენანებოდათ, მათი შრომა რომ ერთბაშად ნადგურდებოდა სიცხისგან. მოძღვარმა ერთი პატარა მდი-

მეოდავითნე დავით ბურდულაძე ოჯახთან ერთად

ნარის პირას უწვიმრობის პარაკლისი აღასრულა, შესთხოვდა მამაზეციერ ღმერთს, რომ წვიმა მოსულიყო და ხალხი დიდ გაჭირვებას გადარჩენილიყო. მოხდა სასწაული და იმ ღამეს კოკისპირული წვიმა მოვიდა და რამდენიმე დღე არ გადაუღია. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხალხისგან განსხვავებით, ძალიან ეწყინათ ეს ამბავი ხელისუფლებას. მამა დავითი დაიბარეს რაიკომში და უბრძანეს, სასწრაფოდ დაეტოვებინა იქაურობა. მაშინ ტრანსპორტი ადვილი საშოვნელი არ იყო და თელავამდე ნახევარი გზა ფეხით უვლია შეშინებულსა და დათრგუნულს. რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩასულა და პატრიარქი უნახავს, რომელსაც დაუმშვიდებია: იმათ შენი დათხოვნის ნება არ ჰქონდათო, — და კიდეც აღადგინეს მალევე.

1946 წლის 10 სექტემბერს ალავერდის ეპარქიის მთავარხუცესი, დეკანოზი მათე ალბუთაშვილი კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) უგზავნის ცნობას ეპარქიაში უზომოდ დაბეგრილი მღვდლების შესახებ, სადაც კარგად ჩანს, თუ რა ოდენობის გადასახადების გადახდა უწევდათ მაშინდელ სასულიერო პირებს. სიაში რიგით მეოთხეა მღვდელი დავით ბურდულაძე, რომელსაც იმ წელს 7060 მანეთი გამოსძალა ფინგანმა.

1952 წელს ალავერდელ-ბოდბელ ეპისკოპოს გაბრიელის (ჩაჩანიძე) წარდგინებითა და უწმინდეს მელქისედეკ III-ის (ფხალაძე) ლოცვა-კურთხევით, მღვდელ დავითს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1952 წლის 5 აპრილს, დეკანოზი დავითი, როგორც ალავერდის ეპარქიის დელეგატი, მონაწილეობდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეცხრე საეკლესიო კრებაში.

1952 წლის 21 ივლისს დეკანოზი დავითი თელავის მაცხოვრის ფერისცვალების (ღვთაების) სახ. საკათედრო ტაძარში მეორე მღვდლის ადგილზე დაინიშნა. 1954 წლის იანვარში დეკანოზი დავითი კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ბრძანებით ალავერდის ეპარქიის მთავარხუცესად და თელავის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს.

1958 წლის 18 სექტემბერს მთავარხუცეს დავითს კათოლიკოსის კანცელარიიდან ატყობინებენ, რომ სათანადოდ მოემზადოს სვეტიცხოვლობისათვის და ერთი კვირით ადრე ჩაბრძანდეს თბილისში. აღნიშნული შეტყობინების თანახმად, ის 7 ოქტომბერს ჩავიდა თბილისში, სადაც 9 ოქტომბერს, იოანე ღვთისმეტყველის ხსენების დღეს, თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. ტაძარში ბერად აღკვეცეს და მარგვეთის მთავრის — წმიდა დავითის პატივსაცემად დავითი უწოდეს.

12 ოქტომბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში მიენიჭა არქიმანდრიტის წოდება. 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, საღვთო ლიტურგიის ჟამს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ეპისკოპოსად დაასხეს ხელი და ალავერდის ეპარქიის მღვდელმთავრად დაადგინეს. ხელდასხმის წესი აღასრულეს: ბათუმ-შემოქმედელმა და ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ეფრემმა (სიდამონიძე, შემდგომში — კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II), მარგველმა ეპისკოპოსმა დავითმა (დევდარიანი, შემდგომში — კათოლიკოს-პატრიარქი დავით V) და ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა ნაუმმა (შავიანიძე).

ალავერდელი ეპისკოპოსი დავითი 5 წლის განმავლობაში განაგებდა ალავერდის ეპარქიის სამწყსოს. იმ დროს რეზიდენციაც კი არ ჰქონდა და ღვთაების ეკლესიიდან მისთვის გამოყოფილი მანქანით დადიოდა. ბერად აღკვეცის შემდეგ ღვთაების ტაძრის რეზიდენციასთან არსებულ ოთახში ცხოვრობდა, და მხოლოდ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ოჯახის წევრების თხოვნით, უკვე ავადმყოფი, ცოტა ხნით გადასულა სახლში, სადაც აღესრულა კიდეც.

თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა ეპისკოპოს დავითს თავისი მღვდელმთავრული მოვალეობის აღსრულება, კარგად ჩანს წერილში, რომელიც 1962 წლის 7 ოქტომბერს მან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს (სიდამონიძე) გა-

უგზავნა: **„ალავერდობის დღესასწაულზე, წირვის დროს, ტაძარში შემოვიდნენ ახმეტის აღმასკომის თავჯდომარე მაღლაკელიძე მილიციელების თანხლებით და შეტევით მომმართა: როგორ გაბედე ალავერდში ჩამოსვლა და ტაძარში შემოსვლა, მე ვუპასუხე, მე ალავერდის ეპისკოპოსი ვარ და ჩემს მოვალეობას შეადგენს ამ ტაძარში საღმრთო ვედრების შესრულება-თქო... მათ უნდოდათ წირვა შემეწყვიტა და გავსულიყავი ტაძრიდან, მაგრამ როდესაც დაინახეს მაგრად დავუდექი და წირვის შეწყვეტას არ ვაპირებდი, ბოლოს მაღლაკელიძემ მითხრა, შენს მოხუცებულობას ვცემთ პატივს და გაპატიებთ, მაგრამ როცა წირვას დაამთავრებთ დაუყოვნებლივ დატოვე ალავერდის ტაძარიო“.**

ეპისკოპოსი დავითი (ბურდულაძე)

მისი შვილიშვილი, ქალბატონი ციალა, ეპისკოპოს დავითის უკანასკნელ დღეებზე წერდა: **„ოთხმოცდაექვსი წლის ასაკში დაეწყო სტენოკარდიული შეტევები. ყველა ღონეს ვხმარობდით, მაგრამ არაფერი შველოდა. მოითხოვა ჩემი ნახვა, მეც მაშინვე ჩავედი თელავში მეუღლესთან და ორ პატარა ბავშვთან ერთად. დამინახა თუ არა, გამოცოცხლდა. მეორე დღეს გამიმიხილა — უნდა მაზიაროთო. დავიბარეთ მღვდელი, ოთახში მარტო მე დამტოვა. ეს სურათი ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება. იწვა პაპა, არაჩვეულებრივად ლამაზი სანახავი, სათნო, სიკეთით სავსე თვალებით. გამხდარ ხელისგულზე სეფისკვერი ედო. მიყურებდა მე და ცრემლი ჩამოსდიოდა. მეც ვერ ვიკავებდი თავს და ცრემლად ვიღვრებოდი მთელი ზიარების განმავლობაში. პაპა ეთხოვებოდა ამქვეყნიურს, მეთხოვებოდა მე, ერთადერთ ნუგეშს ორი ვაჟიშვილიდან. ეს ჩემთვის უდიდესი განცდა იყო. მეორე დღეს გარდაიცვალა. აღდგომის შემდგომი პერიოდი იყო. საეკლესიო პანაშვიდი სრულდებოდა ყოველდღე. „ქრისტე აღდგა მკვდრეთით“ — ეს გალობა გაისმოდა, მე უხმოდ ვიჯექი, ვუსმენდი და მინდოდა ამ გალობაში პაპის ხმა მეცნო, მას ხომ შესანიშნავი ხმა ჰქონდა“.**

ეპისკოპოსი დავითი 1963 წლის მაისში აღესრულა. მწყემსმთავარი, ნაცვლად მისთვის განკუთვნილი და შესაფერისი განსასვენებლისა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, დაკრძალეს თელავის საზოგადო სასაფლაოზე, ნათესავთა გვერდით. დაკრძალვამდე ერთი დღით ადრე მისი ცხედარი გადააასვენეს ალავერდის საკათედრო ტაძარში. დაკრძალვის დღეს ჩამობრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II (სიდამონიძე), სამღვდელოებითა და მგალობელთა გუნდის თანხლებით. ეპისკოპოსი დავითი დიდი პატივით დაკრძალეს, თუმცა, როგორც მისი შვილიშვილი, ქალბატონი ციალა იგონებს: **„დასაფლავების დღეს კიდევ ერთი შეცდომა დავუშვითო — სასაფლაოზე თაღი ამოვაშენებინეთ. ახლაც ყურებში მიდგას პატრიარქის სიტყვები: „ეს კიდევ ერთი შეცდომა, შვილო ჩემო, მიწა ხარ და მიწად უნდა იქცე, თაღი არ იყო საჭირო“. მე სულ ვწუხდი და ვნერვიულობდი, რომ ჩემ გამო დავით ალავერდელს დააკლდა ის, რაც მას ეკუთვნოდა. პირველ შეცდომად მისი საერო სასაფლაოზე დაკრძალვა იყო“.**

და აი, 2001 წლის 15 მაისს, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მეუფე დავითის ნეშტი, 38 წლის შემდეგ, ალავერდის წმ. გიორგის სახ. საკათედრო ტაძარში გადაასვენეს. საზოგადო სასაფლაოზე სამარხის გახსნისა და ახალ ლუსკუმაში გადასვენებისას ეპარქიის სამღვდელოების მიერ აღესრულა დიდი პანაშვიდი. ალავერდის საკათედრო ტაძარში ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა (მახარაძე), ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, გადაიხადა მცირე პანაშვიდი. პროცესიას ესწრებოდნენ განსვენებული მეუფე დავითის ნა-

დავით ბურდულაძე თელავის მუზეუმის თანამშრომლებთან

ეპისკოპოსი დავითი ოჯახის წევრებთან ერთად

თესავები, მათი შთამომავალნი, ეპარქიის მრევლი და საერო ხელისუფალნი.

რეკავდა ალავერდის დედოზარი, მგალობელნი გალობდნენ „ქრისტე აღდგას". აღსანიშნავია, რომ მეუფის გარდაცვალებაც და გადმოსვენებაც აღდგომიდან ამაღლებამდე პერიოდში აღესრულა, მაშინც და ახლაც მის ცხედარს გარშემორტყმული მგალობელნი მაცხოვრის აღდგომის, სიკვდილითა სიკვდილის მოკვდინებისა და ცხოვრების მომნიჭებელი მადლის საგალობელს გალობდნენ.

ალავერდის ეპარქიის მწყემსმთავარს უფალმა ოთხი ათეული წლის შემდგომ მიუჩინა კუთვნილი ადგილი. მეუფე დავითი საკათედრო ტაძარში ალავერდელ მღვდელმთავართა – ეპისკოპოს პიროსსა (ოქროპირიძე) და მიტროპოლიტ გრიგოლს (ცერცვაძე) შორის დაიკრძალა.

აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოსი პიროსი გახლდათ მეუფე დავითის მღვდლად მაკურთხეველი, მისი ერთ-ერთი მასწავლებელი და მოძღვარი, მიტროპოლიტი გრიგოლი კი — მისი მემკვიდრე ალავერდის კათედრაზე. ამ ორ მღვდელმთავარს შორის ეპისკოპოსი დავითის დაკრძალვით სიმბოლურად აღდგა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ერთიანი ჯაჭვი, რასაც მეუფე დავითის სახით ერთი რგოლი აკლდა. ამჯერად იგი გამთლიანდა და შედუღაბდა.

ეპისკოპოს დავითის ყოფილი მეუღლე გახლდათ სოფ. შილდაში მცხოვრები და შილდის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძრის დიაკვან იოანე გიორგის ძე ძეძამიძის (1852-1911წწ.) ასული — დარეჯანი (დაბ. 1877წ.). შილდაში მსახურების პერიოდში მღვდელი დავითი სწორედ მეუღლის კარმიდამოში ცხოვრობდა, სადაც შეეძინათ სამი შვილი: შალვა, ელიზბარი და ქსენია. ელიზბარი ახალგაზრდობაში გარდაიცვალა, შალვას ორი შვილი ჰყავდა: ციალა და დავითი - პაპის მოსახელე, რომელიც ტრაგიკულად დაღუპულა 24 წლის ასაკში. თავად შალვა II მსოფლიო ომიდან აღარ დაბრუნებულა.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №53057; ფ. 1698, აღწერა 1, საქმე №6; საქმე №9; საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №50; კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის ფონდი, საქმე №74, ფურცელი 1-2; ფურცელი 22; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1630; საქმე №2421; Журнал „Вестник Грузинского Экзархата" 1912წ. №1; გაზეთი „თბილისი" 1963წ. №107, გვ. 4; გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" 2001წ. №26, გვ. 14-15; ჟურნალი „მოყვასი" 2004წ. №1 (16), გვ. 21-23 (ალავერდის ეპარქიის ყოველთვიური გამოცემა).

ლიტ: ზ. ჟვანია, „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქ. ქუთაისი, 1994წ. გვ. 48-49; გ. მაჩურიშვილი „ალავერდის ეპარქიის ისტორია 1917 წლიდან დღემდე" ქ. თბილისი 2009წ., გვ. 37; გვ. 63; გვ. 66-68; გვ. 124-125; გ. მაჩურიშვილი, ლ. ტოგონიძე „XVIII-XX საუკუნეში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა" ქ. თბილისი 2012წ., გვ. 177-182; ს. ვარდოსანიძე „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წწ.), ქ. თბილისი, 2017წ., გვ. 567;

მოამზადა მღვდელმა
გიორგი მაჩურიშვილმა

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. ჩვენი ტელეფონები: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე;
გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გავრცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი

ტის ჯვარი საარქიმანდრიტო; 28) ერთი ხის ჯვარი; 29) ერთი დანა-ჩანგალი ერთ მანეთში გაკეთებული; 30) შავი ოკრიბის ქვის კრიალოსანი; 31) სანდლის კრიალოსანი; 32) ქისა ერთი; 33) ბოხჩა ერთი; 34) საათის ბუდე ერთი; 35) შავი აბრეშუმის პაიჭი ერთი წყვილი; 36) შენდობის წიგნი ერთი; 37) ღრუბელი ერთი პატარა; 38) იოანე დამასკელის წიგნი ერთი; 39) გიხაროდენი ერთი; 40) ჟამნი ერთი ძველი; 41) რჯულის წერილი ერთი; 42) შეუკერავი კატეხიზმო ერთი; 43) პარაკლისი ხელთ ნაწერი; 44) ძველი აღსარების წიგნი; 45) მცირე სტანბა დაუჯდომელი; 46) ერთი ხელნაწერი ლოღიკა; 47) მიხითარის რიტორება ერთი; 48) ვახტანგ მეფის პარაკლიტონი; 49) ათანასეს სტანბის სახარება; 50) პარაკლისი ხელთ ნაწერი ერთი; 51) კატიღორია ხელთ ნაწერი ერთი; 52) სამოციქულო ათანასის სტანბისა ერთი; 53) ეკლესიის განმარტების წიგნი ერთი; 54) დავითნი სტანბა ერთი; 55) მეფე ერეკლეს სტამბის ზატიკი ერთი; 56) სადღესასწაულო ხელთ ნაწერი შეუკერავი ერთი; 57) დაბადება ერთი; 58) ბოხჩა დარბაისა ერთი; 59) ორი წყვილი ფუსტალი შავი; 60) სამოსლის თეთრი ბოხჩა ერთი; 61) ძველი ლურჯი ტილოს ბოხჩა ერთი — ეს ნივთები აღწერეს გორის ზემსკის პოლიციის უფროსმა რევაზ თუმანიშვილმა, სასულიეროს მხრიდან გორის ოქონის ეკლესიის მღვდელმა იესე გარსევანიშვილმა, ხოლო არქიმანდრიტ ნეოფიტეს ნაქონი ხატები: სამი ნათლისმცემლის ხატი, წმ. მარინესი და წმ. ნეოფიტესი ჯერჯერობით ისევ დარჩა თორნიკე ერისთავის ოჯახში, ვიდრე სასულიერო კანტორა არ მოიკითხავდა მას.

წყარო: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №274; საქმე №2635; საქმე №61908; საქმე №61996; დეკ. პ. კარბელაშვილის პირადი ფ. №1461, აღწერა 1, საქმე №549; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1893წ. №3, გვ. 22-23.

ლიტ: „Акты“ 1870г. Т. IV, ст. 154; „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (H) კოლექციისა“, ტ. I, (ილ. აბულაძის რედაქციით), ქ. თბილისი 1946წ., გვ. 283; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (A) კოლექციისა“, ტ. IV, (კ. კეკელიძის საერთო რედაქციით), ქ. თბილისი 1954წ., გვ. 21-23; „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა“, ტ. I, გვ. 420; ტ. II, (ილ. აბულაძის რედაქციით), ქ. თბილისი 1958წ., გვ. 232; „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (S) კოლექციისა“, ტ. I, (ე. მეტრეველის რედაქციით), ქ. თბილისი 1959წ., გვ. 136; ბაგრატიონი იოანე „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, ქ. თბილისი 1982წ. გვ. 185; იოსელიანი პლ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ქ. თბილისი, 1978წ. გვ. 253; ვ. გურული „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება“ ქ. თბილისი 2010წ., გვ. 68-70; ელ. ბუბულაშვილი „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II“ (1788-1811), ქ. თბილისი 2011წ., გვ. 85.

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტერთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი.
ჩვენი ტელეფონებია: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.
9 772587 506008
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: **ნანა ბოკუჩავა** ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, დიაკონი გიორგი მაჩურიშვილი, ია ზაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი